საერთო გაზეთი

№35 (397) • 21 სექტემბერი, 2016 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ბიძინა ივანიშვილი:

„ყველაზე დიდი ქველმოქმედება, რაც გავაკეთე, ის არის რომ საკუთარ პიროვნებას იმის ფუფუნებას არ ვაძლევ, ჩრდილში წავიდე და ჩემთვის ვიცხოვრო ფუფუნებაში. ის ცოდნა, ენერგია და გამოცდილება, რაც მაქვს, მინდა ჩემს ქვეყანას მოვახმარო, რომ სწორად განვითარდეს“.

სოსო მანჯავიძე:

ხელისუფლებას ვაფრთხილებ –ამ არჩევნებზე „ნაციონალები“ შეეცდებიან არეულობა და სამოქალაქო დაპირისპირება სამეგრელოდან დაიწყონ

ქალბატონი, რომლის ბედ-იღბალი სპეცსამსახურების კაბინეტებში დაიწერა

დროა, დაფიქრდნენ სანდრას წმინდანობით „შეპყრობილი“ ადამიანები. მიშა სანდრაა, სანდრა, რომელიც ჯაშუშურად შემოიჭრა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და მოფარფატე ანგელოზის ნიღაბაფარებული უტიფრად ცდილობს, თავის უმანკოებაში დაარწმუნოს გონებადაბნელებული ადამიანების მცირე ჯგუფი

მერაბ ქვარაია:

ზუგდიდელებს ვპირდები – ჩემი სახით მათ ეყოლებათ ერთ-ერთი საუკეთესო მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც ზუგდიდის ისტორიაში ოდესმე ყოფილა

დარწმუნებული ვარ, „ნაცმოძრაობა“ ვერ მიიღებს მხარდაჭერას სამეგრელოში და სანდრა რულოვსის გამოჩენა, ალბათ, მათი უკანასკნელი გაბრძოლება და განწირული ნაბიჯი იყო სრულ ფიასკომდე.

ლაშა გვასალია:

„ქართული ოცნება“ უთუოდ გაიმარჯვებს და თანაც მეტად დამაჯერებლად

სანდრა რულოვსისთვის მხარდაჭერა ნიშნავს უბედურებისთვის მხარდაჭერას, გაუპატიურების, წამების, უზნეობის, უღმერთობისა და ბოროტების გამართლებას. ღვთისმშობლის კვართის მეპატრონე კოლხებმა ამ უარაფრო დედაკაცს როგორ უნდა მისცენ ხმა?!

შოთა ხაბარელი:

დარწმუნებული ვარ, წლევანდელ არჩევნებზე „ნაცმოძრაობის“ პარპაშს წერტილი დაესმება

მერწმუნეთ, ჩვენს ყველა პირობას, რომელსაც ხალხს ვპირდებოდით და ვპირდებით, შევასრულებთ. გიმეორებთ, მომავალში გაგრძელდება და დასრულდება ის პროცესები, რაც დაწყებულია, რასაც ხალხი ითხოვს.

ნიკოლოზ მქავანაძე:

8 ოქტომბრის მერე ფსიქიატრებს პაციენტები მოემატებათ, ციხეებს პატიმრები, პოლიტიკურ სანაგვეს კი არჩევნებში გაბითურებული პოლიტიკოსები

სახელმწიფო გადატრიალების მომზადება და შესაბამისი მოწოდებები დასჯადია, აუცილებელი არ არის, მაინც და მაინც გადატრიალების დაწყებისას დააპატიმრო ორგანიზატორები და მონაწილეები, მანამდე უნდა მოხდეს რეაგირება

ბიძინა ივანიშვილის შეხვედრები რეგიონულ მედიასთან

რაჭა

„კიდევ ერთხელ შევახსენებ მოსახლეობას, „ნაციონალებს“ 2012 წლის გამარჯვების შემდეგ ექვს თვეშივე უნდოდათ უკვე გადატრიალების მოხდენა, ამისთვის მზაობები ჩემი პრემიერობის დროსაც ჰქონდათ რამდენჯერმე. გახსოვთ, მაშინაც კარგი ტრიუკი ჩავუტარეთ, კანონმდებლობას ვერ ვცვლიდით პრეზიდენტთან დაკავშირებით „ნაციონალების“ ხმების მხარდაჭერის გარეშე. ბოლო წუთამდე კარგად ვათამაშეთ და ბოლოს თვითონვე იყვნენ გაოგნებულები როგორ დაგვიჭირეს მხარი. მოკლედ, ასეთი დამოკიდებულება იყო ამ ოთხი წლის განმავლობაში, გაზაფხულზე რომ ვერ მოახერხებდნენ გადატრიალებას, გვპირდებოდნენ რომ შემოდგომამდე მოითმინეთო, ამით ამაგრებდნენ გუნდს. შემოდგომაზე არ გამოსდიოდათ, არ ჰქონდათ რესურსი და ისევ გაზაფხულამდე აიმედებდნენ. ახლა დარჩათ ბოლო შემოდგომა და რა თქმა უნდა, კუთხეში არიან შეყრილები. ძალიან კარგად იციან, რომ არჩევნების გზით, ლეგიტიმურად არავითარი შანსი მათ არ აქვთ რომ ხელისუფლება აიღონ. 46 კაცი ჰყავდათ პარლამენტში და მაგაზე უკეთესი შედეგი ახლა 10 კაცია, შესაბამისად, ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან. უარესი შედეგი, შეიძლება ისიც იყოს, რომ პარლამენტში ვერ შევიდნენ. ერთადერთი, რაზეც შეიძლება აქცენტი გააკეთონ, ეს არის ძალადობა, რომ ძალით რაღაც გააკეთონ, რევოლუცია მოხდინონ. ის კაცი უკრაინიდან გამოდის დაუფარავად და რაღაცებს გვმოძღვრავს, თავისუფალი ტელევიზიის „რუსთავი-2-ის“ დირექტორიც, ნახეთ, რა დღეშია, როგორ დაუფარავ განცხადებებს აკეთებს. რა თქმა უნდა, ცთუნება აქვთ ძალიან დიდი, მაგრამ რესურსი არ გააჩნიათ და ვერაფერსაც ვერ იზამენ. მცდელობა ექნებათ, პროვოკაციები იქნება, მაგრამ მე ვფიქრობ, იქნება რაღაც მინი, პატარა პროვოკაციები. მთავრობამ, უპირველესად, შსს-მ მაქსიმალურად უნდა გააკეთოს მობილიზება, რომ ეს პროვოკაციებიც ავიცილოთ თავიდან.“

* * *

„ნიკა გვარამია, რომელიც მაგ მოსმენების და მიყურადებების სპეციალისტი იყო — ეს კადრები რომ კეთდებოდა, მთავარი პროკურორის მოადგილე იყო მაშინ. საიდან მოხვდა ეს კაცი ტელევიზიის დირექტორად და როგორ კბილებით იცავს თავისუფალ მედიას ეს პროკურორის მოადგილე და რატოა იქ არავინ კითხვას არ სვამს და როგორ საუბრობს თანაც..

აღმაშფოთებელი რა არის, ორ მომენტს გამოვყოფდი ამ ჩანაწერში — ის, რომ ჩანაწერი არის ნამდვილი, თვითონ დაადასტურა და ამით ეჭვსაც აღრმავებს, რომ მას ეს უნდოდა, თავისი ვაჟკაცობა აჩვენა „ნაციონალებისთვის“ თუ თავისი გუნდისთვის; თუ მოსახლეობას ისევ გვემუქრება, არ ვიცი, მაგრამ დიდი ეჭვები არის რომ მანვე გაავრცელა ეს ჩანაწერი, მას შეეძლო ყველაზე იოლად ნასაუბრების გავრცელება. მან აჩვენა როგორ უჭირავს ხელში... როგორ აღშფოთებულია, რომ რომელიღაც წევრი რაღაცას ამბობს იმის მსგავსს, რომ თემატურ საკითხებში თანამშრომლობა შეიძლება. ლამის ტყავი გააძრო კაცს.

გვარამია ეგეთია საინტერესო, როგორიც არის — ეგეთი გვარამია და ეგეთი „რუსთავი-2“ არის წამალი საზოგადოების განვითარებისთვის, რომ ჩვენ კარგად დავინახოთ, მკვეთრი ფერებით, ვინ იყვნენ ეს ხალხი — ძველი რომ არ გავიხსენოთ რას აკეთებდნენ. ახლა შეხედეთ რა დღეში არიან, ახლა შეხედეთ, როგორი დემოკრატიული, როგორი თავისუფალი მედიაა „რუსთავი-2“, დაპყრობილი მედია ხომ თავიდან ბოლომდე. ამ კაცს, მთავარი პროკურორის მოადგილეს უჭირავს, მთელ „ნაციონალურ მოძრაობას“ — ესაა თავისუფალი მედია? ეს არის თავისუფალი მედიის ხელმძღვანელი? — მაგრამ, კარგია რომ არის. იმისათვის, რომ ჩვენ სწრაფად გავიზარდოთ და სწრაფად გამოვნახოთ სწორი გზა, საით წავიდეთ, ვის უნდა მივცეთ ხმა და დავუჭიროთ მხარი.“

* * *

„დღეს ცარიელი პრეტენზიები აქვთ რამდენიმე პარტიას, მაგრამ არ აქვთ მაგის რესურსი და არ აქვთ ამის ნიჭიერება — ესეც ვიტყოდი. „ქართულ ოცნებას“ დღეს არ ჰყავს ალტერნატივა, ამ პარტიამ ის სტანდარტები შეინარჩუნა, რაც მე ჩემ ჯგუფთან ერთად დავტოვე, როდესაც პრინციპულად შეცვალე დამოკიდებულება — ეს რესურსები ამ ხელისუფლებას გააჩნია.“

„პირველი, რასაც ვიტყვი — ეს არის მტკნარი სიცრუე (საუბარია დავით უსუფაშვილის პრემიერობაზე - ჟურნ) აბსოლუტური სიცრუეა რომ „რესპუბლიკუტი პარტია“ უნდა გამხდარიყო ძირითადი ძალა და უსუფაშვილი პრემიერ-მინისტრი. აბსოლუტური სიცრუეა — თანაც, კვირიკაშვილი არც მისი აღმოჩენაა. აბსოლუტური სიცრუეა“.

* * *

„როდესაც შედარებით ამაღლებული წარმოდგენა მქონდა უსუფაშვილზე „რესპუბლიკურ პარტიაზე“ მაშინაც არ მომივიდოდა აზრად თავში, რომ მათთვის შემეთავაზებინა ქვეყნის მართვა — წარმოუდგენელი იყო. იმ სიტუაციაში, როცა 2015 წლამდე უკვე საკმაოდ დაძაბული სიტუაცია იყო გუნდში და მათი ქმედებიდან გამომდინარე მხოლოდ! — და ეს ვთქვი სწორედ, როდესაც დავიწყე დახასიათება „რესპუბლიკური პარტიის“, რომ საკუთარ პარტიაზე გადაგებული ყველაფერს ამსხვრევდნენ და ამტვრევდნენ...

როგორ წარმოუდგენია საზოგადოებას უეცრად პრემიერი უსუფაშვილი — ხომ გადაირეოდა?!“

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

ბიძინა ივანიშვილის შეხვედრები რეგიონულ მედიასთან

სამცხე-ჯავახეთი

„ქართული ოცნება“ იცავს იმ სტანდარტებს, რაც ჩემი მოსვლით პოლიტიკაში დაფუძნდა. სხვა პარტიას ვერ ვხედავ, რომ პარალელურად მოვუწოდო საზოგადოებას. ოდესღაც გამოჩნდება უკეთესი პარტია, რომელიც სწორ ორიენტაციას აირჩევს, უფრო სწორად დაალაგებს, უფრო სწორი იდეოლოგია ექნება და „ქართული ოცნება“ არ იქნება ჩემი დოგმა“.

* * *

„ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ სიტუაცია აბსოლუტურად შეცვლილია. 2012 წლამდე ყველაზე მაფიოზური ქვეყნების რიგში იდგა საქართველო, 75-ე ადგილზე იყო, დღეს იკავებს მე-17 ადგილს. ამ მხრივ, ევროპაში, 29 ქვეყანას შორის, მე-9 ადგილზე ვართ. საქართველოში ორგანიზებული დანაშაული აღარ არის. ორგანიზებული დანაშაული იგულისხმება ძირითადად, როდესაც მთავრობა ერთვება. სახელმწიფოც სწორედ ამ დროს ითვლება მაფიოზურად. მიუხედავად ოპონენტების განცხადებისა, რომ კრიმინალი გაბშირდა, ყველა კარგად ხედავს, რომ პოლიცია კარგად მუშაობს“.

* * *

„სანამ ეს ხელისუფლება მოვიდოდა, საზოგადოებაში დაუცველობის სინდორომი იგრძნობოდა. „ნაციონალური მოძრაობის“ დროს პოლიცია ხალხის დათრგუნვის ძირითადი იარაღი იყო. რეალურად მოქალაქე იყო სრულიად დაუცველი, დაუცველობის სინდრომი იგრძნობოდა ყველგან“.

* * *

„თავდაცვის სამინისტროში, როცა მინისტრი იყო „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ალასანია, შევიდა პროკურატურა. როგორც კი ეჭვი გაჩნდა, ალასანიაზე კი არა, ალასანიას სამეგობროზე, შეიძლება 5 მილიონი ლარი მოიპარეს ბიუჯეტიდანო, არც აციეს და არც აცხელეს და... საქართველომ ევროატლანტიკური მიმართულება შეცვალაო. აღარ იცოდნენ, როგორ „გაეპრავებინათ“. როგორ ვიკადრეთ ეჭვის აღება ამ კაცზე?! როგორც „ნაციონალები“ ამბობენ, რომ მერაბიშვილი, უგულავა, ახალაიაც ჩემი პირადი პატიმრები არიან, „თავისუფალმა დემოკრატებმაც“ ასეთივე პარალელი გაავლეს — თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები არიან ბიძინა ივანიშვილის პირადი პატიმრებიო. რა შუაშია ივანიშვილი? იმ შუაში ხომ არაა, რომ დავტოვე სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, კანონი, პირველ რიგში, უნდა დაიცვას ხელისუფალმა. ვისაც მეტი აქვს თანამდებობა, მით მეტად უნდა გაუფრთხილდეს კანონს. თავდაცვის მინისტრს ჩვენი ევროატლანტიკური კურსი კი არ უნდა დაეყენებინა ეჭქვეშ, არამედ პროკურატურას უნდა დახმარებოდა გამოძიებაში“.

* * *

„ეროვნულ ფორუმი“ კოალიციის პარტნიორი იყო. უშუალოდ გუბაზთან, ვთქვათ მოკლედ, პირადი კონფლიქტი არასოდეს მქონია. გადმოხტა და ისიც ცუდად მომიხსენიებს. გაიხსენეთ მისი ინტერვიუ, სადაც ამბობდა, რომ მილიონერი უნდა გახდეს. მოვიდა პოლიტიკაში ეს კაცი, ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობაც ეკავა — პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე იყო, მაგრამ ფული ვერ იშოვა.

მე ვიყავი ლიდერი, როცა დამკვიდრდა ის ფასეულობები, რომ პოლიტიკა ფულის საკეთებელი არ არის. შენი ადგილი კარგად უნდა გაიგო. პოლიტიკაში თუ ხარ და დიდი ადგილი გიჭირავს, ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა, კანონს პატივი სცე, შენ გაქვს. ვისაც ამას სთხოვენ, სულ ყველა გამოდის და მაგინებს“.

* * *

„თურმე „რესპუბლიკურ პარტიას“ დავპირდი, რომ მთავარ პარტიად უნდა გამხდარიყო და პრემიერ-მინისტრი უსუფაშვილი უნდა ყოფილიყო — ამ ლეგენდის აღიარებას ითხოვენ ჩემგან, და თუ ამას არ ვაღიარებ, იმუქრებიან, მაშინ დააბრუნე ის 2012 წელი და ჩვენ მარტო შევებრძოლებით „ნაციონალურ მოძრაობასო“ — ეს პრეტენზია და ამხელა ამბიცია აქვთ. მარტო შევებრძოლებითო და ამ შებრძოლებაში, ალბათ, დამარცხებაც იგულისხმება.

დაბალანსებულ პიროვნებას მოთხოვნილებები და შესაძლებლობები ძალიან ახლოს უნდა ჰქონდეს. მოთხოვნილებები შეიძლება უსწრებდეს, მაგრამ არ უნდა იყოს დიდი სხვაობა მათ შორის. მათი წყვეტის ნაცვლად დავლოცავდი, რომ მათ მოეხერხებინოთ და საკუთარი მოთხოვნილებები და შესაძლებლობები დაეხლოვებინოთ ჩემი გამოყენების გარეშე. იმხელა სხვაობაა მათ მოთხოვნილებებსა და რეალურ შესაძლებლობებს შორის, რომ სასწაული უნდა მოახდინო, ისინი ერთმანეთს დაუახლოო. ამ სასწაულის მოხდენას ითხოვენ ჩემგან“.

* * *

„2030 წელი ტყუილად არ დავგეგმე, როდესაც „საზოგადოება 2030“ ჩემი ინიციატივით ჩამოყალიბდა. სამწუხაროდ, ვერ განვითარდა ისე, როგორც დაგეგმილი მქონდა. დღეს ეკონომიკის ზრდის ტემპები დაბალია, თუმცა ამას თავისი მიზეზები აქვს. ტემპით დღეს რეგიონში პირველ ადგილზე ვართ, რაც არასდროს ყოფილა „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს, თუმცა 3-4 პროცენტი არ არის შესაშური ზრდის ტემპი. ამის მიზეზი ის არის, რომ რეგიონში დღესაც კრიზისია. ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკა ზოგან მინუსებში წავიდა, ზოგან სტაგნაციის პერიოდშია, ევროპაშიც მძიმე პერიოდია. შესაბამისად, როდესაც გლობალური სიტუაცია არის მძიმე, იქ ერთი ქვეყანა 10-15 პროცენტით ეკონომიკას ვერ განავითარებს. ამ ფონზე 3-4 პროცენტიც შთამბეჭდავია.

წინა ხელისუფლების დროს ორ დღეში კომპანიას კი გახსნიდი, მაგრამ როგორც კი კვამლი ამოვიდოდა, მოდიოდნენ და ეპატრონებოდნენ. ამ მხრივ არანაირი კითხვა არ არსებობს. ამას „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებიც კი ვერ ახერხებენ. მე პირადად, მთავრობის წევრი არ გახლავართ, მაგრამ, როგორც მოქალაქე, ყველაზე მეტ ყურადღებას ამ ნაწილს ვუთმობ, რომ ბიზნესი იყოს თავისუფალი, არ მოხდეს არც ერთ შემთხვევაში ბიზნესში ჩარევა ხელისუფლების მხრიდან. ჩარევა უნდა მოხდეს მარტო ერთი მიმართულებით, რომ ხელისუფლებამ უნდა აუშენოს ინფრასტრუქტურა და რაც შეიძლება სწრაფად და ხარისხიანად, რომ ბიზნესი სწრაფად განვითარდეს და უნდა დაეხმაროს ბაზრების მოპოვებაში. ამ მხრივ კვირიკაშვილი არის მთავრობის იდეალური მეთაური და ბიზნესი არის თავისუფალი“.

* * *

„საქართველოში 2012 წლის შემდგომ მედიის თავისუფლების თვალსაზრისით არსებული ვითარება რადიკალურად შეიცვალა და ამჟამად საქართველო მედიის თავისუფლების ინდექსით ევროპის ქვეყნებსაც უსწრებს — უფრო თავისუფალია, ვიდრე იტალიაში, უნგრეთში, სამხრეთ კორეაში, იაპონიაში და შეგვიძლია კიდევ ჩამოვთვალოთ ევროპის ქვეყნები. 2012 წელს ასეულს მიღმა ვიყავით და 104-ე ადგილს იჭერდა საქართველო მედიათავისუფლებით. ვიტყოდი, რომ ხელისუფლებას დღეს არანაირი მედია არ აქვს საკუთრებაში და არც არავითარი გავლენა აქვს მედიაზე. თავისი, დასაკუთრებული მედია ჰყავს ისევ „ნაციონალურ მოძრაობას“, და არა მარტო „რუსთავი 2“, კიდევ არიან სხვები, „ტაბულაც“ და სხვებიც. შედარებით უფრო რბილია „ტაბულა“, „რუსთავი 2“ აბსოლუტურად აგრესიულად „ნაციონალური მოძრაობის“ აგიტაციას ეწევა. ის სიცრუეზეა დაფუძნებული.

მედიის მხრივ რა იყო, უნდა გავიხსენოთ — პირველივე წერილში ვთქვი, რომ მედია ტოტალურად კონტროლდებოდა. ორი ფსევდოტელევიზია დავასახელე მაშინ და აგრესიული განცხადებები გააკეთეს „კავკასიამაც“ და „მაესტრომაც“. „მაესტრომ“ მოახერხა თავის დახსნა, „კავკასია“ კეკლუცობს და აფორმებს ჩემს შენიშვნებს. არავითარი პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ აგრესიული გამოსვლები ჰქონდათ. ისინი უფრო ცუდ როლს თამაშობდნენ. 26 მაისს „მაესტრომ“ გადააჭარბა „რუსთავი 2“-ს, ისე დაუდგა გვერდით ხელისუფლებას“.

* * *

„ყველაზე დიდი ქველმოქმედება, რაც გავაკეთე, არის რომ საკუთარ პიროვნებას იმის ფუფუნებას არ ვაძლევ, რომ ჩრდილში წავიდე და ჩემთვის ვიცხოვრო ფუფუნებაში. ის ცოდნა, ენერგია და გამოცდილება, რაც მაქვს, მინდა ჩემს ქვეყანას მოვახმარო, რომ სწორად განვითარდეს“.

ზუგდიდელებს ვპირდები – ჩემი სახით მათ ეყოლებათ ერთ-ერთი საუკეთესო მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც ზუგდიდის ისტორიაში ოდესმე ყოფილა

გვესაუბრება ზუგდიდის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე, ქალაქ ზუგდიდის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი **მერაბ ქვარაია**

დაიბადა 1972 წლის 13 ივლისს ქალაქ ზუგდიდში;

1989 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. ზუგდიდის მერაბ კოსტავას სახელობის # 2 საშუალო სკოლა;

1989-1994 წლებში სწავლობდა და ასევე წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მინიჭებული აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი;

სპეციალობით ეკონომისტი (მაკროეკონომისტი) და სამართლისმცოდნეა, დამთავრებული აქვს ასპირანტურა, ამჟამად დოქტორანტია;

1995 წლიდან მუშაობდა საქართველოს კონტროლის პალატისა და შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის სტრუქტურებში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე;

1998, 2002 და 2014 წლებში არჩეული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში საკრებულოს წევრად;

1998-2002 წლებში იყო ზუგდიდის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე;

2002-2005 წლებში ზუგდიდის საკრებულოს იურიდიულ კომისიას თავმჯდომარეობდა;

გაიმარჯვა 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში, რომლის შედეგებიც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მოგვიანებით ბათილად ცნო;

2005-2012 წლებში დაპატიმრებული იყო და სასჯელს საქართველოს სხვადასხვა ციხე-საპატიმროებში იხდიდა. ადამიანის უფლებათა დამცველი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად არის აღიარებული და უკანონო პატიმართა სიაშია შეყვანილი;

2102 წელს იყო კოალიცია „ქართული ოცნების“ ზუგდიდის შტაბის ხელმძღვანელი;

2013 წელს მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვისა და პოლიტპატიმრების საკითხზე მომუშავე სპეციალური კომისიის საქმიანობაში;

გავლილი აქვს სტაჟირება და სასწავლო პროგრამები უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი მიმართულებებით;

2013-2014 წლებში იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

2014 წლიდან ბოლო პერიოდამდე იყო ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.

— ბატონო მერაბ, თქვენი საკრებულოს თავმჯდომარეობის პერიოდში რა წარმატებებს მიაღწიეთ, რა დაგხვდათ და რისი გაკეთება მოახერხეთ ამ ხნის განმავლობაში?

— 2012 წლის არჩევნების შემდეგ ქვეყანაში მოვიდა აბსოლუტურად სხვა ძალა, 2014 წელს ადგილობრივი ხელისუფლებაც შეიცვალა, „ქართული ოცნება“ ადგილობრივ ხელისუფლებაშიც მმართველი პარტია გახდა. თუმცა მე ვთვლი, რომ ყველაზე მყარი ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელია დემოკრატიული, ჯანსაღი პროცესები, ადამიანთა უფლებები, რომელთა დეკლარირება მუდმივად ხდება.

წინა ხელისუფლების პერიოდში ეს იყო ფსევდოგანცხადებების დონეზე. სინამდვილეში ადამიანთა უფლებების შელახვის უამრავი შემთხვევები ვნახეთ.

ჩემს ამოცანად ადგილობრივ ხელისუფლებაში მოსვლისას მივიჩნიე, რომ ხელისუფლება და, განსაკუთრებით, არჩევითი შტო, წარმომადგენლობა — საკრებულო გამეხადა. თუ მანამდე რიგითი მოქალაქეებისთვის, ფაქტობრივად, ჩაკეტილი იყო ხელისუფლების კარები და მათთვის ჩინოვნიკთან შეხვედრა, საუბარი, დიალოგი, მიუწვდომელი იყო, შევეცადეთ, საკრებულო გაგვეხადა სახალხო დაწესებულებად. მე ვფიქრობ, რომ ეს შევძელით. ვთვლი, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მოსახლეობასთან ინტეგრირება შესანიშნავად მოვახერხეთ. იმის გარდა, რომ გვქონდა სისტემატიური შეხვედრები მოსახლეობასთან, ვხვდებოდით არასამთავრობო სექტორს, თვით ბიუჯეტსაც აბსოლუტურად ღიად განვიხილავდით. ღიად ვმსჯელობდით იმაზე, რა რესურსი გააჩნია ქალაქს, როგორ გამოგვეყენებინა რაციონალურად. დღემდე ვთვლი, რომ მმართველობის ერთ-ერთი სწორი გზა არის ურთიერთთანამშრომლობის გზა.

ნებისმიერ განსახილველ საკითხს ვაანონსებდით, ვეკითხებოდით აზრს მოსახლეობას, არასამთავრობოებს, ბიზნესმენებს, სხვა, დაინტერესებულ ფოკუს-ჯგუფებს, რითაც მოსახლეობას ჰქონოდა იმის განცდა, რომ ისინი ხელისუფლებასთან ერთად თავად არიან ქალაქის ცხოვრების აქტიური თანამონაწილენი. შევქმენით ფეისბუკ-გვერდი, ვებ-გვერდი, მეტად საჯარო რომ ყოფილიყო ჩვენი საქმიანობა.

— რა იყო ძირითადი მოთხოვნები და პრეტენზიები მოსახლეობის მხრიდან 9-წლიანი რეპრესიული მანქანის, ასე ვთქვათ, გაჩერების შემდეგ?

— პირველ რიგში, მოსახლეობა გაკვირვებული იყო იმით, რომ საჯარო პირს, საკრებულოს თავმჯდომარეს შეეძლო და პოულობდა დროს, ეპასუხა მათთვის თუნდაც სოციალური ქსელის საშუალებით. ინტერნეტით ვთანხმდებოდით დროზე, ვხვდებოდით ერთმანეთს და იმ პრობლემაზე, რომელიც აწუხებდათ, ვმსჯელობდით. ეს მნიშვნელოვანი სიახლე იყო მათ ცხოვრებაში.

როცა ბიუჯეტს ვიხილავდით და დემოკრატიული ჩართულობის ცენტრს შევუკვეთეთ, რომ გვსურდა შევხვედროდით ყველა ფოკუს-ჯგუფს — ახალგაზრდებს, პედაგოგებს, სპორტის, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს შევხვედროდით იმაზე სამსჯელოდ, რისთვის დავხარჯოთ ქალაქის საბიუჯეტო რესურსები. თავიდან გაკვირვებულები იყვნენ, არ სჯეროდათ, რომ მათი წინადადებები გაზიარებული იქნებოდა. თანდათან ჩვენი ურთიერთობები მშვენივრად ჩამოყალიბდა და ურთიერთთანამშრომლობის საინტერესო პროცესები დაიწყო.

ამ იდეების წარმატებით განხორციელებისთვის სხვადასხვა ქვეყნებში სტაჟირებაც გავიარე, შევისწავლე თვითმმართველობის საქმიანობა უცხოეთის ქვეყნებში, თვითმმართველი ქალაქების განვითარების გზები და პერსპექტივები, დემოკრატიული პროცესებს წარმართვის მიმართულებები.

1998 წელს საქართველოში პირველი თვითმმართველობა რომ ყალიბდებოდა. იმ დროიდან ვმუშაობ თვითმმართველობის საკითხებზე. ვიყავი საკრებულოს წევრი, როგორც ქალაქის, ასე რაიონის, 2002 წელსაც, მესამედ 2014 წლიდან ვარ ქალაქის საკრებულოში, ასე რომ, ჩემს თვალწინ გაიარა თვითმმართველობის განვითარებამ და გამოცდილებაც დამიგროვდა.

რეფორმა, რომელიც ჩვენ, „ქართულმა ოცნებამ“ დავაანონსეთ, ეს იყო აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი ზუგდიდისთვის და არა მხოლოდ ზუგდიდისთვის. საქართველოს სჭირდება რეალური თვითმმართველობა. პირველი ეტაპი გადავლახეთ, თუმცა არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ყველაფერი მიღწეულია. აუცილებელია, ყველა მმართველმა უჯრედმა დამოუკიდებლობას მიაღწიოს, „ისუნთქოს“ თვითონ, მიეჩვიოს პასუხისმგებლობის, ვალდებულებების საკუთარ თავზე აღებას და თუ ექნებათ ფინანსური რესურსებიც, უფრო გამარტივდება საქმე.

ზუგდიდის საკრებულოში ჩემი მოსვლის პერიოდში პროლემები, ცხადია, უამრავი იყო. ჩვენც ყველა პრობლემის აღმოფხვრა ვერ შევძელით. პრინციპში, პრობლემას მთლიანად ვერასდროს მოსპობ, ეს არის ჩვენი ყოველდღიურობა და ამ ყოველდღიურობაში ახალ-ახალი თავსატეხი ჩნდება. ჩვენთან ჯერ კიდევ არის მძიმე სოციალური ფონი, ბევრ ოჯახს უჭირს, არის საბინაო, ყოფითი, სხვა ყოველდღიური პრობლემები. სისტემა, რომელიც დღეს საქართველოში მოქმედებს, შესაცვლელია. ის სოციალური პაკეტი, რომელიც უკვე მოძველებულია, უნდა შეიცვალოს...

რაც შეეხება ქალაქს, ქალაქში დაგვხვდა ძალიან ბევრი ინფრასტრუქტურული პრობლემა.

აქტიური სამუშაოები განვახორციელეთ წყლისა და საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაციის კუთხით.

წლეულს ამ თვალსაზრისით აქტიური მოშაობა მიმდინარეობს. პროექტი 50 მლნ-იანია და ორი წლის განმავლობაში გაგრძელდება. 2018 წელს მთელი ზუგდიდი წყლით უზრუნველყოფილი იქნება.

— ზუგდიდს ყოველთვის ჰქონდა ეს პრობლემა, არადა, ენგური აქვეა. არ შეიძლება ამ რესურსის გამოყენება?

— დიახ, ენგურის სანაპიროდან იწყება წყლის ამოტუმბვის სამუშაოები, გადაიტანენ კორცხელის ტერიტორიაზე და იქედან წყალი თვითდინებით მიეწოდება ზუგდიდს. ეს საუკუნის პროექტია და მისი ღი-

რებულება 250 მლნ. ლარია.

თქვენ სწორად შენიშნეთ, წყლის პრობლემა, რომელიც მუდმივად იდგა ზუგდიდში, უფრო და უფრო კრიზისული ხდება. წყლის დონე ადგილობრივ ჭებში საგრძნობლად იკლებს.

კანალიზაციის პრობლემაც მწვავედ დგას ქალაქში.

ამ 250-მლნ-იანი პროექტის ფარგლებში იგეგმება ქალაქში გამწმენდი ნაგებობის მშენებლობაც, რომელიც საქართველოს არც ერთ ქალაქში ჯერ არ დამონტაჟებულა. თქვენ ხედავთ, ქუჩებში მუშაობა უკვე მიმდინარეობს. ეს პროექტი ორ წელიწადში ძალაში შევა და ამ კუთხითაც ქალაქი კეთილმოწყობილი იქნება.

მიმდინარეობს სტადიონის მშენებლობაც. მოგეხსენებათ, ქალაქს არ ჰქონდა სტადიონი. ენგურქაღალდკომბინატის ტერიტორიაზე უკვე დაწყებულია სტადიონის მშენებლობა და ზუგდიდელებს მალე ექნებათ უეფას მესამე კატეგორიის სტადიონი,. რომელიც ორ მონაკვეთად იქნება გაყოფილი — ძირითად და სათადარიგო ტერიტორიებად. სტადიონი 7500 მაყურებელზეა გათვლილი და არის მართლაც უნიკალური პროექტი თანამედროვე ინფრასტრუქტურით. სტადიონის მშენებლობა მომავალ წელს უკვე დასრულებული იქნება და ზუგდიდს ექნება ახალი, საერთაშორისო სტანდარტების მქონე სტადიონი. ძალიან მალე დაიწყება ასევე ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია. მთავრობამ თანხები გამოყო და მშენებლობა მალე შევა ძალაში.

ამას გარდა, ქალაქის 120-ზე მეტი ქუჩა გავანათეთ და სულ რამდენიმე ქუჩაღაა დარჩენილი, რომ ზუგდიდი მთლიანად იყოს განათებული. 2017 წლის ბოლოს არც ერთი ქუჩა აღარ იქნება ზუგდიდში ქუჩის განათების გარეშე. ზუგდიდი უნდა იყოს ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ქალაქი საქართველოში. ჩვენ მოვხსენით სანიაღვრე სისტემების პრობლემა, დავაგეთ ფილები ქალაქის ქუჩებში, გადავხურეთ, დაახლოებით, 28 ბინა და მრავალსართულიანი სახლი.

მნიშვნელოვანი თანხებია დახარჯული სოციალური დახმარების თვალსაზრისით, ჯანდაცვის კუთხით.

ჩართული ვართ C ჰეპატიტის ლიკვიდაციის პროგრამაში, რომელიც არის უნიკალური პრეცედენტი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიო მასშტაბით.

პროგრამები, რომლებიც ავამოქმედეთ სოციალურად შეჭირვებული ადამიანებისთვის, ერთნაირად ხელმისაწვდომია, როგორც ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობისთვის, ასევე დევნილებისთვისაც. დევნილები ისეთივე ძვირფასი და მნიშვნელოვანია ჩვენთვის, როგორც მკვიდრი მოსახლეობა და ასე იქნება, სანამ არ დავბრუნდებით აფხაზეთის ტერიტორიაზე.

— ფიქრობთ, რომ აქედან გამომდინარე, მოსახლეობამ თქვენ — პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატს, მხარი უნდა დაგიჭირონ?!

— დიდი მოლოდინები იყო 2012 წელს, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენი ქვეყანა უნდა განვავითაროთ ისე, რომ დავდგეთ ევროპის განვითარებული ქვეყნების გვერდით, თუმცა ყველაფერი ერთ და ორ წელიწადში ვერ მოხდება. ამას სჭირდება შრომა, დიდი ძალისხმევა.

„ქართულმა ოცნებამ“ შეძლო ის, რომ დემოკრატიული გახდა ქვეყანა, გათავისუფლდა მოსახლეობა ურთიერთობების მახინჯი ფორმებისგან, გათავისუფლდა ბიზნესი ზეწოლისგან, ძალადობისგან, სახელისუფლო ტერორისგან.

ჩემი აზრით, მოსახლეობას ყველაფერი ძალიან კარგად ესმის, თუმცა აუცილებელია, სახალხო კეთილდღეობა და ჩვენი წინასაარჩევნო სლოგანიც ასე ჟღერს — **„თავისუფლება, სწრაფი განვითარება და სახალხო კეთილდღეობა!“**

ამ თვალსაზრისით, ბევრი რამ არის გაკეთებული.

მე თავად ვარ იმ უმძიმესი რეპრესიების მსხვერპლი, რასაც ახორციელებდა ნაციონალური რეჟიმი. ამიტომ, იმის გარდა, რომ ზუგდიდის და სამეგრელოს პრობლემები პრიორიტეტული იქნება ჩემთვის ჩემი პარლამენტის დეპუტატობისას, ასევე შევეცდები უდიდესი ყურადღება მივაქციო ადამიანის უფლებების დაცვას, ვაპირებ ვიმუშავო განათლების და დასაქმების სისტემის დახვეწის კუთხით. არ არსებობს შრომის ბირჟა, შრომის ბაზარი, რაც ადამიანებს ნორმალური ცხოვრების საშუალებას მისცემს. ჩემს ამომრჩეველს ვპირდები, აქტიური ვიქნები ამ მიმართულებით. დაგეგმილი მაქვს, დედათა და ბავშვთა პრობლემების მოგვარებაში აქტიური მონაწილეობა მივიღო, რადგან მიმაჩნია, რომ საქართველოში ამ კუთხით ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ვაპირებ, ვიყო მუდმივად კონტაქტური დეპუტატი, ვიცხოვრო ჩემს ამომრჩეველთან ერთად, ჩემი ადგილობრივი ბიურო იყოს განსაკუთრებულად აქტიური, ვგეგმავ, შევქმნა ადგილობრივი ახალგაზრდული სათათბირო და ა. შ. ზუგდიდს მუდმივად უნდა ჰქონდეს წვდომა საპარლამენტო ინსტიტუტებთან და მთავრობასთან. მე ვიქნები შუამავალი ჩემს ამომრჩეველს, ხელისუფლებასა და მთავრობას შორის, მსურს, კიდევ ერთი დამხმარე რგოლი ვიყო ზუგდიდის საზოგადოებისთვის.

— თქვენი აზრით, რატომ ვერ მოახერხა წინა დეპუტატმა ზუგდიდის პრობლემების მიტანა ხელისუფლებამდე?

— ყველაზე მძიმე, რაც მოხდა სამეგრელოში, ეს იყო არჩევნების გაყალბების პრეცედენტი წინა ხელისუფლების მხრიდან. ამის შედეგად მოხვდა პარლამენტში „ნაცმოძრაობის“ კანდიდატი. ყოფილი დეპუტატი, ფაქტობრივად, ატროფირებული პარლამენტის წევრი გახლდათ, რომელიც თავის ამომრჩევლებს საარჩევნო კამპანიის მერე ერთხელაც არ შეხვედრია.

— რატომ არ ხვდებოდა, თქვენი აზრით?

— ვფიქრობ, მას არ ჰქონდა მორალური უფლება ამომრჩეველთან შეხვედრის.

ბუნებრივია, „ნაცმოძრაობის“ კანდიდატს ავტორიტეტი ვერ ექნება სამეგრელოში.

სამწუხაროდ, ამ დეპუტატთან მძიმე პროცესები არის დაკავშირებული — დაჭერები, ცემა-წამება და სასტიკი რეპრესიები სამეგრელოში, ამიტომ ზუგდიდის მოსახლეობა მას არასდროს არ აღიქვამს საკუთარ წარმომადგენლად საქართველოს პარლამენტში.

ეს იყო დაკარგული მანდატი სამეგრელოსთვის, თუმცა სხვა დეპუტატებმაც ვერ გაიბრწყინეს ამ კუთხით და ზუგდიდს არ ჰყოლია მისი ინტერესების გამტარებელი დეპუტატი, ამიტომაც ვაპირებ, მე ვიყო ჩემი ქალაქის ლობისტი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

ზუგდიდელებს ვპირდები — ჩემი სახით მათ ეყოლებათ ერთ-ერთი საუკეთესო მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც ზუგდიდის ისტორიაში ოდესმე ყოფილა.

— მოკლედ, უნდა გენდოთ ზუგდიდი?

— დიახ, ეს მე დავამტკიცე ჩემი საქმიანობით, როცა ამირჩია ხალხმა ადგილობრივ ხელისუფლებაში, არ ჩავკეტილვართ, პრობლემებს არ გავქცევივართ, ჩემი ტელეფონის ნომერი არ შეცვლილა, კონტაქტი მაქვს ათასობით ადამიანთან, მე ვიყავი კონტაქტური, ვაკეთებდი ყველაფერს, რაც ჩემს კომპეტენციაში შედიოდა და ასე ვაპირებ, გავაგრძელო. ზუსტად და ზედმიწევნით ვიცი, სად უჭირს ჩემს ქალაქს, რა პრობლემები აწუხებს ჩემი ქალაქის მოსახლეობას, ზედმიწევნით ვიცი ყველაფერი.

ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება „ნაცმოძრაობის“ კანდიდატი ზუგდიდში, რადგან „ნაცმოძრაობა“ არის ორგანიზაცია, რომელმაც უამრავი უპატიებელი დანაშაული ჩაიდინა სამეგრელოში. ეს ძალა არის შავი ძალა, რომელმაც მახინჯი ისტორია დაწერა. ჩემი თვალით მაქვს ნანახი, რა ხდებოდა, იყო ძალადობა, სახელისუფლებო დიქტატი, ტერორი, გაუგონარი უსამართლობა. ჩემი აზრით, „ნაცმოძრაობა“ ამ არჩევნებში თავის პოლიტიკურ მოღვაწეობას დაასრულებს. „ქართული ოცნება“ დიდი უპირატესობით შევა პარლამენტში და დიდი იმედი მაქვს, ეს იქნება არა მხოლოდ ჩვეულებრივი, არამედ საკონსტიტუციო უმრავლესობა.

დარწმუნებული ვარ, „ნაცმოძრაობა“ ვერ მიიღებს მხარდაჭერას სამეგრელოში და სანდრა რულოვსის გამოჩენა, ალბათ, მათი უკანასკნელი გაბრძოლება და განწირული ნაბიჯი იყო სრულ ფიასკომდე. აბსოლუტურად გაუგებარია, რა პარამეტრით უნდა ყოფილიყო ეს ქალბატონი კანდიდატი. ის არ არის პოლიტიკოსი, არ აქვს პოლიტიკური წარსული, არ აქვს სამეურნეო საქმიანობის გამოცდილება, არ აქვს რაიმე სახის ურთიერთობითი კაპიტალი სამეგრელოს მოსახლეობასთან და საქართველოსთანაც, გარდა იმისა, რომ ექსპრეზიდენტის მეუღლე გახლავთ. არ ვიცი, რა პრინციპით შეარჩიეს. ეს იყო მორიგი მოდელირებული ფარსი.

სამწუხაროდ, ააკაშვილმა კარგად ითამაშა თავის დროზე სამეგრელოს მგრძნობიარე სიმებზე, თუმცა დღეს ჩვენი კუთხე სხვანაირად უყურებს ყოველივე ამას. ასე რომ, „ქართული ოცნება“ დამაჯერებელ შედეგებს დადებს სამეგრელოში. ჩვენი რეგიონის დეპუტაცია კი ღირსეული იქნება საქართველოს პარლამენტში.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

®

ლაშა გვასალია:

„ქართული ოცნება“ უთუოდ გაიმარჯვებს და თანაც მეტად დამაჯერებლად

ინტერვიუ სამეგრელო-ზემო სვანეთის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელთან, ბატონ ლაშა გვასალიასთან

„სანდრა რულოვსისთვის მხარდაჭერა ნიშნავს უბედურებისთვის მხარდაჭერას, გაუპატიურების, წამების, უზნეობის, უღმერთობისა და ბოროტების გამართლებას“.

— ბატონო ლაშა, მოგეხსენებათ, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი საკმაოდ დიდი და ამავე დროს პოლიტიკურად აქტიური კუთხეა. საკმაოდ რთულ მისიას უნდა გაართვათ თავი. როგორი მდგომარეობაა რეგიონში, რას უნდა ველოდეთ 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებიდან. დაუჭერს მხარს სამეგრელო „ქართულ ოცნებას“?

— შტაბის ხელმძღვანელობა ისეთ ურთულეს რეგიონში, როგორიცაა ზუგდიდი, მართლაც მეტად რთული და საპასუხისმგებლოა, რაც ჩემთვის თვითმიზანი, ცხადია, ვერ იქნებოდა, მაგრამ ცენტრალური საარჩევნო შტაბიდან და ხელისუფლებიდან ასეთი ნდობის გამოცხადების შემდგომ, იძულებული ხარ შეიმსუბუქო ტვირთიცა და საფიქრალიც, საქმეს მოკიდო ხელი და ყველაფერი გააკეთო გამარჯვების მოსანაგრებლად.

ალექსანდრე დიუმა „გრაფ მონტე კრისტოში“ ამბობს : „მთელი საკაცობრიო სიბრძნე ორიოდე სიტყვაში გამოიხატება — ელოდე და იმედი გქონდეს“. მეც ვმუშაობ, ვშრომობ თვალმოუხუჭავად, ველოდები გამარჯვებას და იმედი მაქვს, ეს შედეგი მთელი ქვეყნისთვის გამოსადეგარი და გასახარი იქნება. ასეთი განწყობითა და შემართებით შევეჭიდე ამ საქმეს.

რადგან თავად არაფერი მითქვამს გამარჯვებაზე, თქვენი კითხვიდან ჩანს, რომ გჯერათ ჩვენი გამარჯვების, რაც მახარებს მეტად.

„ქართული ოცნება“ უთუოდ გაიმარჯვებს და თანაც მეტად დამაჯერებლად.

ამის თქმის უფლებას მაძლევს მოსახლეობის განწყობა „ქართული ოცნების“ მიმართ. ყველაზე უკეთ ხალხმა უწყის, ვის დაუჭიროს მხარი და ვის მხარეს დადგეს. ჩვენ წარმოვადგენთ ძალას, რომელმაც ერი 9-წლიანი ენით აუწერელი რეჟიმისაგან და ამ რეჟიმით გათარანებული საძაგლობებისაგან იხსნა. „ნაც-ბანდიტებმა“ უბედურებათა პლაცდარმად აქციეს საქართველო. გაამართლეს გოეთეს „ფაუსტში“ ეშმაკისეული შეგონება: „ამქვეყნად არ არსებობს ცოდვა, რომელსაც მე ვერ ჩავიდენდი“. დიახ, არ მოიძებნება პლანეტაზე ცოდვა და დანაშაული, რომელიც სააკაშვილის „ნაც-მსტოვრებს“ არ ჩაუდენიათ. ეს იყო ძალა, რომელიც მოქმედებდა დევიზით: „ არა მოვედ მოფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა“ (მათე 10,34).

თითქოს გავარვარებულ ღუმელში გვქონდა 9 წელიწადი თავი შეყოფილი, „გვწვავდნენ და გვხრუკავდნენ“ ეს ჯოჯოები და სატანისეულები.

ხალხმა ნათელი დაინახა, სიმშვიდე და თავისუფლება იხილა, აღმშენებლობა და ზრუნვა იგრძნო და ვის მხარეს დადგება, თუ არა „ქართული ოცნების“?! რომ არაფერი ვთქვათ იმ საოცარ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, უამრავ სოციალურ სიკეთეებზე, უფასო ჯანდაცვაზე, C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაზე, უფასო ბაგა-ბაღებზე, უფასო სასკოლო წიგნებზე, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ 17 უფასო ფაკულტეტზე უმაღლეს სასწავლებლებში, ამ ხელისუფლებას უდიდეს მიღწევად ისიც ჩაეთვლება, რომ ადამიანებს ტელეფონებით საუბრის აღარ ეშინიათ, არც იმის, რომ ვიღაც ნარკოტიკს ჩაუდებს, ან ვითომ იარაღის აღმოჩენით გაისტუმრებს ცხრაკლიტულში. აბსოლუტურ თავისუფლებაში ვცხოვრობთ და ვისაც ეს არ მოსწონს და არ უნდა — ახია მათზე, იცხოვროს „მუმიფიცირებული მიშას“ იდეებით. ხოლო ის ადამიანები, რომლებიც ზურგს უკან ლაპარაკობენ, ყოველთვის იქ დარჩებიან, მათი სამყოფელი უკანა მიდამოეთშია!..

„ქართული ოცნების“ გამარჯვება აუცილებელიცაა და სავალდებულოც. ყოფნა-არ ყოფნის ჟამი უდგას ქვეყანას. ვის, რომელ ძალას ხედავს მოსახლეობა უფრო პასუხისმგებლიანს, თავის თავზე ქვეყნის აღმშენებლობის ამღებს და რაიმეს შემძლებს?! „ქართული ოცნების“ საპირისპირო პინა მეტად მსუბუქია, ჰორიზონტზე არ ჩანან, სამწუხაროდ, ღირსეული მოწინააღმდეგები, რომელთაც შეეძლებათ არათუ ქვეყნის მართვა, არამედ, იმ სტაბილიზაციითა და თანხმობით გაჯერებული გარემოს შენარჩუნება, რომელსაც დიდი შრომის ფასად მიაღწია არსებულმა ხელისუფლებამ. ჩვენს ხალხსა და ქვეყანას არა აქვს ექსპერიმენტების არც დრო და არც განწყობა. ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი, ასაშენებელი, დასამშვენებელი, ნაბიჯი გადასადგმელი ქვეყნის გაერთიანებისკენ და რა დროის უპასუხისმგებლო, არაფრისმკეთებელი, კეთილი საქმეების გასაფუჭებლად ბოროტად ჩასაფრებული ადამიანებისა თუ ძალების პარპაშია? უნდა შეიგნონ, ვისაც დღემდე ვერ გაუგია ის ჭეშმარიტება, რომ სააკაშვილის ერთპიროვნული, დიქტატორული რეჟიმის დისკურსი შეიცვალა აბსოლუტურად დემოკრატიული კომუნიკაციის ფორმებით, რომლის შეჩერება გამოიწვევს კატასტროფას ყველა მიმართულებით. მით უფრო, როცა ხელისუფლებაში მოსვლაზე პრეტენზიას აცხადებენ ისეთი ძალები, რომელთაც არასდროს გააჩნდათ საკუთარი სამშობლოს ტკივილის განცდის ერთიანი ნიადაგი. ჩვენს ხელისუფლებას კი გააჩნია ერთმანეთან შეთავსებული და სისტემურად გამართული გეგმა და შეხედულება იმ სახელმწიფოს შესახებ, რომელსაც ის აშენებს.

აი, ამიტომაც უნდა გაიმარჯვოს „ქართულმა ოცნებამ“ და იმიტომაც, რომ არ მოვიდნენ ხელისუფლებაში კვლავაც ისეთი ძალები, რომლებიც ძალაუფლების უგუნური გამოყენებით, ძალადობას ინტელექტუალურ, მორალურ და პიროვნებისეულ სივრცეში გადაიყვანენ, რაც საფუძველი გახდება ტოტალიტარული რეჟიმის ხელახლა ჩამოყალიბებისა.

ასე რომ, „ქართული ოცნების“ დამაჯერებლად გამარჯვება მთავარიცაა და აუცილებელიც.

— გასაგებია თქვენი განწყობები, მაგრამ, რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, სამეგრელოში „ნაცმოძრაობას“ მხარდამჭერები კვლავ ჰყავს. კონკრეტული მიზეზი არც მე ვიცი, მაგრამ კორცხელის შემთხვევამ დაადასტურა, რომ საქმე არც ისე მარტივადაა. ახლახან ჯიხაშკარშიც მოხდა დაპირისპირება.

— კორცხელის ინციდენტი პროვოცირებული იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ. ნიკოლოზ მელიამ დაიწყო ეს ინციდენტი, რომელზეც წამოეგნენ ჩვენი მომხრეები და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

რაც შეეხება ჯიხაშკარს, იქ „ნაციონალურ მოძრაობაზე“ გაგულისებული ადამიანები მიუვარდნენ ნაცებს. ეს გახლდათ სამართლიანი რეაქცია ტირანიაზე. ხალხს აუპატიურებდნენ, კლავდნენ, ასახიჩრებდნენ, სულიერ

რად, ფსიქოლოგიურად ანადგურებდნენ და ეს უკვირთ? ჩვენ კარგად გვესმის, რომ არჩევნები მოიცავს არა მარტო კენჭისყრის პროცესს, ხმის მიცემას, არამედ აბსოლუტურ თავისუფლებას. ამისთვის კი აუცილებელია, შესაბამისად, კარგი პოლიტიკური გარემო. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ პრობლემა თავისუფალი არჩევანის გაკეთების, არავის შეექმნას. აუცილებელია, ეროვნული თანხმობის მიღწევა, ამისთვის კი დაძლეული უნდა იქნას სოციალური და პოლიტიკური შურისძიების იდეა. დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის პირობებში ეროვნული თანხმობის მიზანს სტაბილიზაციის დამყარება წარმოადგენს. ეს კი უმთავრესი გზავნილია ჩვენი ხელისუფლებისგან.

ნაცებს კი უნდა ახსოვდეთ: არ უნდა ჩაიდინო ისეთი რამ, საკუთარი ხალხი გაფურთხებდეს და გაძაგებდეს!

ერთი ასეთი საოცარი სიტყვაა ღვთაებრივ სვანურში – „ფადაას“, რაც ნიშნავს კოლექტიურ, ერთიან სვლას საერთო გამარჯვებისკენ. სხვადასხვა საუკუნეებში სხვა კუთხეები განიცდიდნენ მხარდაჭერის საჭიროებას. კოხტასთავზეც ამიტომ იყო აბრძანებული ცოტნე დადიანი. როცა ერთი კუთხე საფრთხეშია, სხვა შორიდან კი არ უნდა უმზერდეს ფართოდ გახელილი თვალებით, არამედ ყველაფერს აკეთებდეს ქართული ერთიანი სხეულის შესანარჩუნებლად. „შორიდან ყურების“ პოლიტიკამ რაც მოგვიტანა, აფხაზეთის ომის დროს ვიხილეთ ყველამ და მსგავსი უბედურება არ უნდა განმეორდეს.

უჭირს დღეს სამეგრელოს. ღვთისმშობლის ყოვლადწმინდა კვართის სამყოფელს სატანის მოციქულები უტევენ და სანამ უბედურება არ დატრიალებულა, სრულიად საქართველო უნდა მიეშველოს კოლხეთს. „საერთო გაზეთმა“ სწორედ ეს მოძრაობა დაიწყო და ამიტომაც ხართ ილიასეული „ივერიის“ გზის გამგრძელებელი და ყველამ უნდა აგიბათ მხარი ამ საღვთო და ეროვნულ საქმეში. მაშინ ვერანაირი პროვოკაციები ვერც „აფხაზათის“ და ვერც „სამხრეთ ოსეთის“ მხრიდან ვერაფერს დაგვაკლებს. ეს იქნება პრეზიდენციაც და საერთო „ეროვნული კედელიც“, როგორც არჩილ ჯორჯაძე იტყოდა, საერთო საშიშროებისგან დასაცავად.

– რას იტყვით დეპუტატობის კანდიდატებზე?

– ჩვენი კანდიდატები ღირსეული, მეურნე, მენეჯერული ნიჭით დაჯილდოებული და გამოცდილი ადამიანები არიან. ისინი ქუჩიდან კი არ შედიან უმაღლეს საკანონდებლო ორგანოში, არამედ აღმასრულებელი ორგანოდან შეუერთდებიან კანონშემოქმედებით გუნდს. თითოეული კანდიდატის უკან დგას „ქართული ოცნება“. ბატონები: ბიძინა ივანიშვილი, გიორგი კვირიკაშვილი და ის ჯარი, რომელმაც მშვიდობიანად და ღირსეულად დაამარცხა საკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმი. ირაკლი დანელია, ირაკლი ბერაია, ირაკლი ხახუბია, ირაკლი (დაჩი) ბერაია, ედიშერ თოლორაია, მერაბ ქვარაია, გოგა გულორდავა არიან ის ადამიანები, რომელთაც ძალუძთ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება, როგორც ჩვენი ქვეყნისთვის ისე რეგიონისთვის. დარწმუნებული ვარ, ეს „შესანიშნავი შვიდეული“ თვალდასარჩენი აქტიურობით გამორჩეული დეპუტატები იქნებიან ქართულ პარლამენტში. ჩვენ ვიამაყებთ მათი საქმიანობითა და პრობლემებისადმი ღირსეული დამოკიდებულებით. ისინი არ გახლავთ: ყეყეჩი, მოჩემარი, უსალმო, ცა დაღრუბლული ადამიანები, არამედ უბრალოებითა და თავდამბლობით ამომრჩევლების უდიდეს სიყვარულს ინაგრებენ. შეიძლება სხვა პარტიებშიც იყვნენ ცალკეულად ღირსეული და გამორჩეული ლიდერები, მაგრამ ისინი ოპონირებისა და კრიტიკის გარდა ვერაფერს შემატებენ პარლამენტს, მით უფრო მოსახლეობას.

ამ ჯერზეც ჩვენი პარტიისა და კანდიდატების ძირითად ოპონენტად, ჩვენდა სამწუხაროდ, კვლავაც „ნაციონალური მოძრაობა“ სახელდება. სამწუხაროდ, ესეც ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური უმწიფარობის დამსახურებაა. „ქართულმა ოცნებამ“ მოახერხა ამ ბოროტი ძალის (მით უფრო მაშინ, როცა ისინი ხელისუფლებაში იყვნენ) დამარცხება, სხვა პოლიტიკურმა ძალებმა კი ვერაფერი მოუხერხეს დემორალიზებულ, ყოველნაირად სახელშელახულ ჯგუფს. კი, ბატონო, ძნელია მეორე ბიძინა ივანიშვილის პოვნა, მაგრამ ხალხში გასვლა, მოსახლეობის პრობლემების გაცნობა და მათი დარაზმვა, თუნდაც დამარცხებული ძალის წინააღმდეგ, რათა მათი ჩანაცვლება მოახდინო, არ უნდა იყოს ძნელი? თუმცაღა მხოლოდ ოპონენტის ლანძღვა-გინებაზე გადასული ძალებისგან სხვას რას უნდა ელოდო, საქმიანი ოპონირება კი მხოლოდ განათლებულ, გამოცდილ და ღირსეულ ადამიანებს ძალუძთ.

– ბატონო ლაშა, სანდრა რულოვსის საარჩევნო მარათონში გამოჩენაზე რა აზრის ხართ. მოსახლეობა მხარდაჭერას ჰპირდება. ასეთი გულუბრყვილოა სამეგრელო?

– რაც შეეხება სანდრა რულოვსის კანდიდატურას და მისდამი ჩვენი თანაკუთხელების ღიმილიან დამოკიდებულებას, ეს ნიშანია იმისა, რომ მონური აზროვნების ლაბირინთიდან ჯერაც არა ვართ გამოსულნი და უგუნურობისა და უმეცრების გამო ბარაბას ვუკმევთ სარკმეველს. გაუნათლებლობა ყველაზე დიდი მტერია ადამიანის. ჭეშმარიტებაა: ცივილიზაციათა გადმოძახილებს თუ საკუთარი სამშვენისები არ შეაგებე, წაილეკები და აღიგვები პირისაგან მიწისა.

სანდრა რულოვსისთვის მხარდაჭერა ნიშნავს უბედურებისთვის მხარდაჭერას, გაუპატიურების, წამების, უზნეობის, უღმერთობისა და ბოროტების გამართლებას.

ღვთისმშობლის კვართის მეპატრონე კოლხეთმა ამ უარაფრო დედაკაცს როგორ უნდა მისცენ ხმა?!

ორი გზაა: გზა უფლისა და გზა ბოროტებისა, როგორც დიდი ზვიად გამსახურდია ბრძანებდა, აირჩიე ქართველო ერო, ან სიკვდილი და გადაშენება „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი პარტნიორებისათვის მხარდაჭერით, ან სიცოცხლე, გამარჯვება და ჭეშმარიტი გზით სიარულით!

მჯერა, ჩემი თანამემამულეების გონიერების. ჩვენ გავიმარჯვებთ!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

®

სოსო მანჯავიძე:

ხელისუფლებას ვაფრთხილებ –ამ არჩევნებზე „ნაციონალები“ შეეცდებიან არეულობა და სამოქალაქო დაპირისპირება სამეგრელოდან დაიწყონ

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ბატონი სოსო მანჯავიძე

— ბატონო სოსო, დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდიდან სამეგრელოს დაწყნარება არ ღირსებია, ახლაც, რომ იტყვიან, ცეცხლში ტრიალებს. ჩვენი ერთიანი ქართული ორგანიზმის ეს ნაწილი მეტ ყურადღებას საჭიროებს. რას ფიქრობთ, რა გარემოებებმა განაპირობეს სამეგრელოს ცხელ წერტილად ქცევა და როგორ შეიძლება დავიცვათ იგი მოსალოდნელი საფრთხეებისგან?

— პრობლემები ჩნდება გასული საუკუნის 90-იანი წლების სახელმწიფო გადატრიალებიდან, რომელსაც შეფასება არ მიეცა. სამეგრელოში განსაკუთრებით ძლიერი იყო ეროვნული მუხტი და სახელმწიფოებრივი შეგრძნება და როცა ზვიად გამსახურდია დაამხეს, კაცი, პრეზიდენტი, რომელსაც განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ სამეგრელოში ისევე, როგორც კონსტანტინე გამსახურდიას, და როდესაც სრულიად გაუგებარი, ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებები დაიწყო თბილისში, განსაკუთრებული პროტესტი ამან სამეგრელოში გამოიწვია. სამეგრელოში ეს აღქმული იქნა ძალიან მძიმედ

და დაიწყო საპროტესტო მოძრაობა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, მერე მოხდა რეპრესიები... როგორც ვთქვი, იმ უბედურებებზე რეაგირება მომდევნო ხელისუფალთა და მმართველობების მიერ არ მომხდარა, არადა, დრო ასეთ დანაშაულებებზე მკურნალი ნამდვილად არ არის. მერე, როცა „ვარდების რევოლუცია“ მოხდა, ძალიან ბევრს გაუჩნდა სააკაშვილისა და მისი გუნდის მიმართ ნდობა და სიმპათიები, როგორც სამართლის დამკვიდრების მებარახტრისა და შევარდნაძის წინააღმდეგ მებრძოლის მიმართ. ყოველივე ამას თავისი ბნელი მიზნებისთვის ოსტატურად იყენებდა მიხეილ სააკაშვილი და მთელი „ნაციონალური მოძრაობა“. თვით სააკაშვილი სპეციალურად ემზადებოდა და ცდილობდა მიებაძა ზვიად გამსახურდიასათვის, მის მანერებსაც კი სპეციალურად სწავლობდა, არაფერს ვამბობ იმაზე, სანდრა რულოვსის გამოყენება რომ ხდებოდა და მეგრელების კუთხურ გრძნობებზე რომ თამაშობდა ვითომ მეგრული ლაპარაკით და სიმღერით.

ყოველივე ეს მუდმივად აღვივებდა და დღემდე აღვივებს თბილისის და კერძოდ, ცენტრალური ხელისუფლების მიმართ უარყოფით განწყობილებებს.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ სააკაშვილი განსაკუთრებულ პოსტებს სთავაზობდა მეგრელებს, მნიშვნელოვან ადგილებს იმ რეპრესირებული მანქანის სათავეებთან, რომელიც მან შექმნა.

ნაციონალების გამარჯვება სამეგრელოში, ისევე, როგორც აჭარაში, იქნება ქართული სახელმწიფოს დასასრულის დასაწყისი, რადგან ეს გამოიწვევს ურთიერთბრალდებების კასკადს, დაპირისპირებებს მოსახლეობას შორის. თუმცა არც მინდა ამაზე ან ვილაპარაკო, ან ვიფიქრო, იმდენად არასახარიელო, მძიმე შედეგებამდე შეიძლება მივიდეთ.

„ნაცმოძრაობის“ ძალების კონცენტრაცია სამეგრელოში არ არის შემთხვევითი. ამ აქტივობებს მართავენ საქართველოს სახელმწიფოს მიმართ დაპირისპირებული მტრული ძალები უცხოეთიდან. მათი ამოცანა კი გახლავთ საქართველოს დაშლა-დაქუცმაცება და შემდეგ თავიანთი მიზნების განხორციელება, ისეთი, მაგალითად, როგორიც არის დიდი სომხეთის შექმნის იდეა და ა. შ.

პირველი ეტაპი ასეთი ამოცანების აფხაზეთში უკვე განხორციელდა. იქ ეთნიკურ უმრავლესობას დღეს სომხები წარმოადგენენ. დაახლოებით 80 000 სომეხი და 30 000 აფხაზი ცხოვრობს ახლა აფხაზეთში. ამას საგულდაგულოდ მალავენ, მაგრამ მე ჯერ კიდევ სამი წლის წინ ვწერდი, რომ 2018 წლისთვის ეს განზრახვა უკვე შესრულებული იქნება. აფხაზეთის წარმომადგენლობით და სახელისუფლებო ორგანოებში უმრავლესობაში იქნებიან სომხები. მათ დღეს უჭირავთ ყველა საკომანდო სიმაღლე როგორც აფხაზეთში, ასევე ჩრდილო კავკასიის ბევრ რეგიონში, ასევე რუსეთის რეგიონებში. არაფერს ვლაპარაკობ რუსეთის საბანკო სექტორში მათ მნიშვნელოვან პოსტებზე. სომხები არც მალავენ თავიანთ განზრახვებს. მოგეხსენებათ, „კრუნკმა“ უკვე გამოაცხადა, რომ აფხაზეთში უნდა შეიქმნას სომხური კულტურული ავტონომია. უაღრესად დაძაბულია ამ მხრივ ვითარება.

ხაჯიმბა, რომელიც ანქვაბის რევოლუციურად გადაყენების შემდეგ მოვიდა ხელისუფლებაში, დღეს სომხური ლობის ინტერესებს ახორციელებს, ანქვაბამდე ბაღაფშიც ეწინააღმდეგებოდა ამ ტენდენციას და აქტიურად ცდილობდა დაემყარებინა კავშირები საქართველოს შესაბამის სტრუქტურებთან, რომლებიც, რატომღაც ამ პრობლემით დაინტერესებულნი არ აღმოჩნდნენ. ბაღაფში ცდილობდა დაყრდნობოდა გალის ქართულ მოსახლეობას...

ამ საკითხებთან პირდაპირ არის მიბმული სამეგრელო. მთავარი ის კი არ არის, ნაციონალები იბოგინებენ თუ არა, მთავარია, ჩვენს მიმართ მტრულად განწყობილი ძალები, რომელთა ძირითადი ამოცანა, ამ ეტაპზე, არის გაღვივდეს საქართველოში შიდა დაპირისპირება. გაჩნდეს რადიკალური ანტაგონიზმი ცენტრალურ ხელისუფლებასა და რეგიონებს, კერძოდ, სამეგრელოს მოსახლეობას შორის ისევე, როგორც ეს მოხდა ე. წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შორის. არჩევნები მუდმივად ქმნის ამ განზრახვის განხორციელების შესრულების შესაძლებლობას.

არჩევნები იმ სახით, როგორადაც ჩვენთან ტარდება, დესტაბილიზაციისთვის იდეალური ინსტრუმენტია. ჩვენ ვერაფრით ვერ შევიგნეთ შიდაპოლიტიკური დაპირისპირებები რა ზიანის მომტანი შეიძლება იყოს. ვერაფრით ვერ გავიგეთ, რომ ჩვენ გარშემო მეგობრები არ გვარტყია.

— რას ფიქრობთ, მავანთა მიერ მეგრულ-აფხაზური სახელმწიფოს შექმნის იდეა კვლავ ძალაში რჩება?

— როგორც კი აფხაზეთში ხელისუფლებას თავის ხელში საბოლოოდ აიღებს სომხური წარმომადგენლობა, მერე დაიწყება ღია ქმედებები. ჯერ თვითონ აფხაზეთში არ არის სიტუაცია ისე, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდათ, ამიტომ იმ მზახვრული იდეის ხორცშესხმა, ჯერჯერობით, ჭიანურდება. თორემ მეგრულ-აფზაზური სახელმწიფოს შექმნის იდეა არ გამქრალა.

უამრავი სპეციალური ღონისძიება ტარდება აფხაზური ეთნოსის გასაქრობად, მათ შორის, ნარკოტიკებით, ეკონომიურად, იდეოლოგიურად, ფინანსურად და ამ საქმეში ჩართულნი არიან ძალიან სერიოზული ძალები და ბევრი მტკიცება არც სჭირდება ამას, რომ ეს ეთნოსი განადგურების პირასაა მისული. საქართველოშიც ანალოგიური ვითარებაა. მაგრამ აფხაზეთში უფრო მძიმე სიტუაციაა ამ მხრივ. ნარკოტიკზე დამოკიდებულ მამაკაცთა რაოდენობა იქ კატასტროფულ მასშტაბებს აღწევს. კიდევ ვიმეორებ, 2018 წლისთვის აფხაზეთში ხელისუფლებას ხელში აიღებენ სომხები, უკვე ოფიციალურად, თორემ არაოფიციალურად ახლა უკვე მართავენ სოხუმს.

სომხურ ლობს ძლიერი პოზიციები აქვს მოსკოვში და რუსული სპეცსამსახურები ჩართული არის ამ ინტერესების განხორციელებაში.

დიახ, ამის პარალელურად არის განზრახული აფხაზურ-მეგრული სახელმწიფოს პროექტის განხორციელება.

ძალიან ბევრს ეს ფანტასმაგორიულ სცენარად შეიძლება მოეჩვენოს, თუმცა ასე იყო აფხაზეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საკითხიც. არავის ეგონა, რომ აფხაზეთის სახელმწიფო შეიძლებოდა ოდესმე არსებულიყო. სამხრეთ აფხაზეთი მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული. ყველაფერი მოხდა ჩვენს თვალწინ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. ეს სცენარი ისე განახორციელეს, ვერც გავაცნობიერეთ, რა დაგვემართა. ქართველებს ფეხი ამოგვეკვეთებოდა ქსნის ხეობიდან, ფრონეს ხეობიდან, დიდი და მცირე ლიახვის ხეობებიდან, ამას წარმოვიდგენდით?

გვახსოვს, ელცინმა ზვიად გამსახურდიას შესთავაზა: გამოაცხადე აფხაზეთის დამოუკიდებლობა და მშვიდად გააგრძელე ქვეყნის მართვაო. გამსახურდია ამაზე, ცხადაია, არ დასთანხმდა და რაც მოხდა, მოხდა. შევარდნაძესაც შესთავაზეს — აღმოსავლეთით შენ იყავი პრეზიდენტი, დასავლეთით გამსახურდია იქნებაო. ამ გეგმის განხორციელებას აწერენ ხელს ნაცები. მათ ხომ სამშობლო არ გააჩნიათ, ესენი კოსმოპოლიტები არიან, ესენი ფიქრობენ მხოლოდ იმაზე, როგორ იყვნენ კარგად თვითონ. სამაჩაბლოს ტერიტორია მათ არ დათმეს? მერე სააკაშვილმა თქვა: ბოლოს და ბოლოს 135 ქვა-ღორღიანი სოფელი დავკარგეთ, დიდი ტრაგედია ეს არ არისო...

პირდაპირ ვიტყვი, სამეგრელოში ნაციონალების გამარჯვება ნიშნავს საქართველოს აფეთქებას, ეს იქნება ყველაზე დიდი განსაცდელი საქართველოსთვის,. რაც ჰქონია ბოლო საუკუნეების განმავლობაში და ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ. ვინც „ნაცმოძრაობას“ აძლევს ახლა ხმას, ისინი, ფაქტობრივად, საქართველოს დაშლას აძლევენ ხმას და ეს კარგად უნდა გააცნობიერონ. შედეგები უმძიმესი იქნება.

სააკაშვილისტებში ზოგიერთები ზვიად გამსახურდიას ყოფილი მომხრეები არიან. კარგად დააკვირდნენ მიშას საკადრო პოლიტიკას — რამდენი პუტჩისტი ჰყავდა მას ხელისუფლებაში, რურუა მე დავნიშნე კულტურის მინისტრად, გაბაშვილები მე ამოვიყენე გვერდით, ბარამიძე, ბოკერია ჩემი მეგობრები იყვნენ? შევარდნაძის ხაზს აგრძელებდა და მისი უშუალო მემკვიდრე იყო სააკაშვილი თავისი „ნაცმოძრაობით“, რომლებმაც გაათამაშეს შოუ „ვარდების რევოლუციის“ სახელით.

ტრაგიკული უფრო ის არის, რომ ჩვენ დღეს ამის შეხსენება გვიწევს ვიღაცებისთვის და ამ მოღალატეებს, კრიმინალურ ძალას კვლავ აქვს პერსპექტივა.

— სამეგრელოში ხალხს აჯერებენ, რომ „ქართული ოცნება“ პრორუსული ძალაა, რუსეთმა წაგგვგლიჯა აფხაზეთი, ის არის ოკუპანტი, ხოლო „ნაცმოძრაობა“ არის პროდასავლური ორიენტაციის პარტია, რომელიც საკადრისს მიუზღავს რუსეთს.

— ამ ქვეყანას არაფერი ეშველება, სანამ „რუსთავი-2“- იარსებებს და მის მიერ ჩაერგილი, აბსოლუტურ რეალობას მოწყვეტილი აზრები არ იქნება აღკვეთილი.

ეს სტერეოტიპები — რუსეთი, დასავლეთი, მიშა და ა.შ. ეს არის უკუღმა ყველაფერი. „რუსთავი-2“-ს რომ უყურებს ადამიანი ყოველდღე, იმ ჭკუაზე დგება, რასაც ჩასძახებენ. ეს არის დეზინფორმაციის წყარო. ბოლოს და ბოლოს გაიგოს, ვინც უნდა გაიგოს ეს. ეს ნიშნავს, ბოსტანში თხა შეუშვა. საინფორმაციო ომის მწარმოებელი ტელევიზიები გვაქვს და ამას სერიოზული ყურადღება სჭირდება.

გურამიშვილი გაიხსენეთ: „ვით მამალი სხვის მამალსა, დაჰმტერდეს და წაეკიდოს, მას სცემოს და თვით იცემოს, დაჰქოჩროს და დაეკიდოს, რა ორნივე დაღალულნი ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს, — ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!“

ასეა ჩვენი საქმე დღემდე.

— ზოგიერთი ამბობს, მთელმა მსოფლიომ საქართველოსთვის მოიცალა? რა საფრთხეებს ხედავთ ყველგანო.

— ეს არის გულუბრყვილო მიდგომა, ომი სხვადასხვა ფორმებით სულ მიმდინარეობს.

მაგალითად, სირიაში რაც მოხდა, ამას ვინმე მოელოდა? ან თურქეთში რაც ხდება დღეს? ჩვენ, იმის მაგივრად, რომ პრევენციას ვახორციელებდეთ, ბალიშზე გვძინავს.

სახელმწიფოს, ქვეყანას უნდა ვუყურებდეთ, როგორც საკუთარს, გულშემატკივარი უნდა ვიყოთ ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე-კუნჭულის, დავანებოთ თავი საკუთარი ცხვირის წინ ყურებას და კერძო ფიქრს — როგორ ვიყო კარგად მე, აი, მაშინ შეიძლება გვეშველოს, მაშინ ეშველება თბილისსაც, კახეთსაც, ხევსურეთსაც, სამეგრელოსაც და მთელ საქართველოსაც.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ღია წერილი ზუგდიდელ ინტელიგენციას

ზაურ ნაჭყებია: ვინც ცეცხლს ეთამაშება, ცეცხლშივე შთაინთქმება!

ბატონებო და ქალბატონებო:

ამ რამდენიმე დღის წინ „ივერიონის“ ვებ-გვერდზე ღია წერილით მივმართე ზუგდიდელ ამომრჩევლებს (**„ზაურ ნაჭყებია: ზუგდიდელებო, ჩასაფრებულ პროვოკატორებს ნუ ათქმევინებთ, რომ „მეგრელები ყველაფერზე მოაწერენ ხელს!“**) საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, სტატია სოციალურ ქსელშიც გამოქვეყნდა და იმაზე მეტი გამოხმაურება მოჰყვა, ვიდრე წარმომედგინა. სამწუხაროდ, კომენტარებში ზუგდიდელი „ნაღები“ ინტელიგენციის წარმომადგენლები ვერ ვიხილე, რამაც ძალიან ამაფორიაქა და დამაეჭვა.

მათ, ვისაც ზემოთ ხსენებული სტატია არ წაუკითხავს, შევახსენებ, რომ საქმე ეხება ექს-პირველ ლედის **სანდრა რულოვსის** მაჟორიტარობის კანდიდატად წარდგენას ზუგდიდის რაიონში ყველა მისთვის მოსალოდნელი შედეგებით...

სტატიაში ზუგდიდელი ამომრჩევლის ყურადღებას ვამახვილებდი იმ საშიშროებაზე, რაც რეალურად შეიძლება მოჰყვეს ადგილობრივი მოსახლეობის „აცუნდრუკებას“ (ჯიბრზე წასვლას) და გამოუსწორებელ შეცდომად იქცეს!

ნიშანდობლივია, რომ კომენტარებში არამეგრელი წარმოშობის ადამიანები უფრო აქტიურობდნენ – ისინი ღიად მიანიშნებენ, რომ **ზუგდიდელების მხრიდან სანდრა რულოვსის გადეპუტატება არა მარტო სამეგრელოს სირცხვილი იქნება, არამედ, ცენტრსა და რეგიონს შორის დაპირისპირების რეალური საფუძველი შეიძლება გახდეს!!!**

ასე მაგალითად, ქალბატონი **მზეო ჯანელიძე** ძალიან შორს მიდის და ღიად აფიქსირებს, რომ **თუ სამეგრელომ არ გააცნობიერა, „საქართველო უომრად არ დათმობს სამეგრელოს“**. სხვათაშორის, ამ კერძო შემთხვევას მკითხველის სამსჯავროზე არც გამოვიტანდი, ქალბატონ მზეოს თანამოაზრეები რომ არ ჰყავდეს.

„რულოვსის ზუგდიდიდან გადეპუტატება ვერაგული ჩანაფიქრია სამეგრელოსა და დანარჩენი საქართველოს დასაპირისპირებლად. ეს ემსახურება კიდევ უფრო შორეულ მიზანს – სამეგრელოს მოწყვეტას საქართველოსგან.

ოქტომბრის არჩევნების მთავარი საკითხია არა ის, თუ ვინ გაიმარჯვებს საქართველოში, არამედ, ის, თუ ვინ მოიგებს, კერძოდ, სამეგრელოს – წერს ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ბატონი **ზურაბ ხასაია.**

ცნობილი ფინანსისტი, ექს ფინანსთა მინისტრი, ბატონი **დავით იაკობიძე** კი სვამს რიტორიკულ კითხვას: **რა ჰიპოსტასით გვევლინება ქ-ნი სანდრა ზუგდიდის მაჟორიტარულ არჩევნებში?“**

სხვათაშორის, ეს კითხვა ძალიან ბევრს აწუხებს, მაგრამ პასუხი ჯერჯერობით არ ჩანს. სამწუხაროა, რომ ზუგდიდელთა გარკვეული ნაწილი თავიანთ კომენტარებში სანდრას ზუგდიდიდან შესაძლო გადეპუტატებას დემოკრატიული პროცესების ანარეკლად მიიჩნევენ და აქეთ გვამუნათებენ: **რატომ ვახდენთ ზეწოლას ამომრჩეველზე და რატომ არა აქვს ექს-პირველ ლედის უფლება კენჭი იყაროს ზუგდიდის მაჟორიტარულ ოლქში?**

აი, რას წერს ბატონი **ფრიდონ აბაკელია: „მე მგონი ბატონი ზაური დემოკრატიული არჩევნების და საერთოდ, დემოკრატიული საზოგადოების არსში ვერ ჩაწვდა... მას მეგრელი ხალხი წინასწარ დამნაშავეებად გამოჰყავს მათი პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიების გამო“.**

ჩემთვის გაურკვეველია, ვის აზრს გამოხატავს ბატონი ფრიდონი – **ჩვეულებრივი ზუგდიდელი ამომრჩევლის თუ ზუგდიდის ინტელიგენციის, რადგან, ხელწერაზე ეტყობა, რომ წერაკითხვასთან მთლად მწყრალად არ უნდა იყოს,** მაგრამ სხვა **საკითხია, როგორ იყენებს იგი საკუთარ ინტელექტუალურ რესურსებს და რამდენად თავსებადია მისთვის ყბადაღებული დემოკრატია ეროვნულ ინტერესებთან.**

ამასაც მაგალითად არ მოვიყვანდი, თანამოაზრეები რომ არ ჰყავდეს!

სამეგრელოს მკვიდრი **ნოდარ ცანავა** კი მიიჩნევს, რომ აქ **„დაფარულ გარემოებასთან“** გვაქვს საქმე: **„აქ რაღაც სხვა, დაფარულ გარემოებებთან გვაქვს საქმე, თორემ ზუგდიდელებში ერთი ღირსეული ქართველი ადამიანი როგორ არ გამოინახა?!“**

ეს კითხვა, სხვათაშორის, მეც მაწუხებს. **ზუგდიდს ყოველთვის ჰყავდა და დღესაც ჰყავს ბევრი ღირსეული ადამიანი, რომელთაც საზოგადოების უპირობო მხარდაჭერა გააჩნიათ. მაგრამ, რატომღაც განზე დგანან – ხელისუფლებას „ნაღები“ ზუგდიდელების კანდიდატურა რომ წამოეყენებინა, ამდენი ფორიაქი არ დაგვჭირდებოდა – ალბათ, არც სანდრა ისურვებდა იქ თავის შერცხვენას... თუმცა, ამაზე არც ხელისუფლებამ იზრუნა და არც „ნაღებმა“ ზუგდიდელებმა შეიწუხეს თავი“.**

ახლა კი ასეულობით კომენტარიდან (როგორც ვთქვი, სტატია სოციალურ ქსელშიც გამოქვეყნდა) სიცხადისთვის რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან:

„არსებობს საშიშროება, რომ დანარჩენი საქართველოს სიძულვილი დაიმსახურონ ზუგდიდელებმა, თუ ეს წაკლა გავა“;

„სამეგრელომ ღირსებას არ უნდა უღალატოს“;

„სანდრას თქვენი ბედი არ ანაღვლებს – ვერაგული გეგმის შესასრულებლად მოდის!“

„ზუგდიდს ნაღდი ლიდერი არ ჰყავს, პატრიოტიზმი ჩამკვდარია....“

ძალიან ბევრია ცინიზმითა და შეურაცხყოფით გაჟღენთილი კომენტარებიც, მაგრამ აქ მათი ხელახლა საჯაროდ დემონსტრირებისგან თავს შევიკავებ.

ბატონებო და ქალბატონებო,

სანდრა რომ პოტენციური „პარლამენტარია“ ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ მან ეს „ჯილდო“ ზუგდიდიდან არ უნდა მიიღოს!

ჩემთვის და ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის გამაღიზიანებელია ამ ბოლო დღეებში ზუგდიდიდან მიღებული ინფორმაცია, რომ **„სანდრამ შეიძლება ზუგდიდში გაიმარჯვოს“**. ეს არ უნდა დავუშვათ, თუმცა, ამაზე უფრო მეტად შემზარა ვინმე **ედემ იზორიას** ფეისბუქსტატუსმა, რომელიც სოციალურ ქსელში მან მეგრულ ენაზე გამოაქვეყნა და **„მეგრელ სეპარატისტებს“ მოუწოდა მონაწილეობა მიიღონ საპროტესტო აქციაში, რომელიც ზვიად გამსახურდიას ძეგლთან უკვე მეოთხე დღეა იმართება.**

არ ვიცი, რამდენი ადამიანი აღმოჩნდა ტვინნაღრძობი და რამდენი შეიკრიბა ზუგდიდში გამსახურდიას ძეგლთან ახლოს, მაგრამ, დავიშოკე, როცა შევიტყვე, **რომ პროტესტის მიზეზი მეგრული ენისთვის რეგიონალური ენის სტატუსის მინიჭება ყოფილა თურმე!**

გესმით, ხალხო – **მეგრული ენისთვის რეგიონალური ენის სტატუსი...**

იქნებ, თქვენ მაინც ამიხსნათ, რას ნიშნავს ეს და საით მიაქანებს ასეთი ავანტიურიზმი სამეგრელოს?!

გასაგებია, რომ ამ მართლაცდა სეპარატიზმის მიღმა უცხოური სპეცსამსახურების კვალი იკვეთება, მაგრამ რა შეღავათია ეს დანარჩენი საქართველოსთვის?!

გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ: დღესაც ვინ გვიშლის ვისაუბროთ მეგრულ ენაზე, ვწეროთ ლექსები მეგრულად, შევქმნათ უნიკალური მეგრული მელოდიები, გამოვცეთ თუნდაც „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“, მაგრამ რომელი სულწაწყმედილის ტვინში მწიფდება აზრი, რომ ყოველივე ამას რეგიონალური ენის სტატუსი სჭირდება? იქნებ სკოლებშიც მეგრულ ენაზე დავიწყოთ სწავლება და ქართული ენა ფაკულტატიური სტატუსით დავტოვოთ?!

ინტელიგენცია იმიტომაც არის ინტელიგენცია, რომ იგი ჩვეულებრივი მასისგან განსხვავდება და განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება ერის, სამშობლოს და მისი მომავლის წინაშე!

როგორც ჩანს, ადგილობრივი ინტელიგენცია **„არ ვიცი, არ დამინახავს“** პოზიციაშია, ან ამ ყველაფერს **„გაგებით“** ეკიდება (რაც, ფაქტიურად, თანამოაზრეობას ნიშნავს და იგივე დანაშაულია), მაგრამ, ხომ არსებობს ზუგდიდს გარეთ ზუგდიდელი ინტელიგენცია, რომელმაც სათანადოდ უნდა გაიაზროს კარს მომდგარი საშიშროება და ტვინნაღრძობ თანამოქალაქეებს საშუალება არ მისცეს ბრმად აიყოლიონ გაუთვითცნობიერებელი მასა!

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო: მართალია, ჯერ მეგრული ენის რეგიონალურ სტატუსს ითხოვენ, მაგრამ, შემდეგ ალბათ, სამეგრელოს დამოუკიდებლობაც ხომ არ მოუნდებათ 30 ვერცხლად გაყიდულ პროვოკატორებს?!

ბატონებო და ქალბატონებო,

წინა წერილში ვწერდი და ახლაც ვიმეორებ: **ზუგდიდს თქვენი სახით ბევრი ღირსეული მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ჰყავს, მაგრამ ყველაფერი ხუხულასავით დაინგრევა და ღირსებასაც ბზარი გაუჩნდება, თუ საყვირი დროზე არ დააგუგუნეთ და ისტროიული კოლხეთი სამარცხვინო ინიციატივებისგან არ დაიცავით!**

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ლეგენდარული ცოტნეს შთამომავლები ვართ, იმ ცოტნესი, რომელმაც მტერი გააოცა, თავისი სისხლი და ხორცი კი უბედურებისგან იხსნა.

მტკიცება არ უნდა, რომ ვიღაც ძალიან დაინტერესებულია სამეგრელოში სიტუაციის არევით და ისედაც დასუსტებული საქართველოს კიდევ უფრო დასუსტებით!!!

რაც სამეგრელოში ხდება, ეს ყველაფერი ცეცხლთან თამაშია, ხოლო ვინც ცეცხლს ეთამაშება, ცეცხლშივე შთაინთქმება!

ზაურ ნაჭყებია

შოთა ხაბარელი:

დარწმუნებული ვარ, წლევანდელ არჩევნებზე „ნაცმოძრაობის“ პარპაშს წერტილი დაესმება

გვესაუბრება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ოლიმპიური ჩემპიონი **შოთა ხაბარელი**

— ბატონო შოთა, თქვენ წინა მოწვევის პარლამენტის წევრი იყავით. მოდით, გვითხარით, რა გაკეთდა ამ ოთხი წლის მანძილზე და რისი გაკეთება ვერ მოასწარით?

— გაკეთებულ საქმეებზე საუბარი შორს წაგვიყვანს. მოსახლეობამ კარგად იცის, თუ რამდენი მართლაც კარგი საქმე გაკეთდა ამ ოთხი წლის მანძილზე. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საყოველთაო ჯანდაცვის დაზღვევით ამოისუნთქა მოსახლეობამ. გახსოვთ, ადრე ექიმთან მისვლის ეშინოდა ადამიანს. სხვა ბევრის გახსენებაც შეიძლება. ჩვენ, „ქართულ ოცნებას“, მართლაც მძიმე მემკვიდრეობა გვერგო. „ნაცმოძრაობის“ ყველა გაფუჭებული საქმის ერთბაშად გამოსწორება, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. შეიძლება ვინმე ჩვენი საქმიანობის ტემპით უკმაყოფილო იყოს, მაგრამ ჩვენ თანმიმდევრულად ვმუშაობდით. რაც შეეხება გასაკეთებელს, მინდა გითხრათ, რომ სამუშაო პროცესები დაწყებულია, არ შეჩერებულა და მომავალში გაკეთდება კიდეც. მერწმუნეთ, ჩვენს ყველა პირობას, რომელსაც ხალხს ვპირდებოდით და ვპირდებით, შევასრულებთ. გიმეორებთ, მომავალში გაგრძელდება და დასრულდება ის პროცესები, რაც დაწყებულია, რასაც ხალხი ითხოვს.

— ქვეყანაში და დედაქალაქში, მათ შორის, კრწანისის რაიონში, რომელ რაიონსაც თქვენ წარმოადგენდით პარლამენტში, მართლაც ბევრი კარგი საქმე გაკეთდა. თუმცა, თქვენი ოპონენტები კი გაკეთებულსაც მაინცდამაინც ვერ ხედავენ.

— ოპონენტები და ოპოზიციის ნაწილი გაკეთებულს ვერ დაინახავს, რადგან არ უნდათ პოზიტიური ცვლილებების ხილვა. მთავარი ეს არ გახლავთ. მთავარია, ხალხი ხედავს და აფასებს კიდეც. საზოგადოებას ვხვდები და ვიცი, რომ გაკეთებულ საქმეს კარგად ხედავენ. „ნაცმოძრაობის“ წევრებს ურცხვად შეუძლიათ თეთრზე თქვან, შავიაო. ესენი ოპოზიციად არ მიმაჩნია. ოპოზიცია კონსტრუქციული უნდა იყოს. თუ რამე მართლაც არასწორად კეთდება, იმის თაობაზე უნდა იყოს მსჯელობა და კამათი. ესენი ოპოზიციონერები ნამდვილად არ არიან.

— ბატონო შოთა, ახლა თქვენთვის, ასე ვთქვათ, ახალ, სამგორის რაიონში იყრით კენჭს. თუ იცნობთ იქაური მოსახლეობის პრობლემებს, თუ შეხვდით მათ?

— მოსახლეობასთან შეხვედრები, თავისთავად, მქონდა და თითქმის ყოველდღიურადაც შევხვდები მათ. ვინც მიცნობთ, იცით, რომ დამალვა და საქმის თავიდან არიდება არ მჩვევია. რაც შეეხება მოსახლეობის პრობლემებს, თავისთავად, ვიცნობ. სამწუხაროდ, იგივე გაჭირვება აქვთ, რაც მთლიანად საქართველოშია — ძირითადად, უმუშევრობა. ასევე მწვავედ დგას სოციალური პრობლემები. უნდა გითხრათ, რომ სოციალური საკითხების მოსაგვარებლად დიდი ხანია ვფიქრობთ, როგორც ჩვენ, დეპუტატები, ასევე მთავრობა. დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რათა ბიუჯეტში სამი მილიარდი გამოგვეყო სწორედ სოციალური საკითხებისთვის. უნდა გითხრათ, რომ მუშაობა ამ საკითხის მოსაგვარებლად თუ გასაუმჯობესებლად კვლავ გრძელდება. დაბეჯითებით გეტყვით, რომ მომავალ ოთხ წელში მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. რაც შეეხება უმუშევრობას, მართლაც მნიშვნელოვანი და რთული პრობლემაა, რომელიც მძიმედ აწვება ჩვენს მოსახლეობას. ამის მოსაგვარებლად მთავრობასთან ერთად ჩვენც ვმუშაობთ. უახლოეს მომავალში ახალი საწარმოები ამუშავდება, სადაც საქართველოს რამდენიმე ათეული ათასი მოქალაქე დასაქმდება, რაც თვალში საცემად გაუმჯობესებს ჩვენი მოსახლეობის ეკონომიურ მდგომარეობას.

— რადგან ეკონომიკას შეეხეთ, მინდა გკითხოთ: განვლილ ოთხ წელში, როგორც ვიცით, ბევრი ახალი საწარმო გაიხსნა ქვეყანაში, მაგრამ თქვენი გუნდის წევრები ამის შესახებ ნაკლებად საუბრობთ. რატომ?

— იცით, რა, ვისაც უნდა, ხედავს. ეს ფერი იცის და გაკეთებულ საქმეზე ზედმეტი ლაპარაკით თავი არავის უნდა მოაბეზრო. თუმცა, გეთანხმებით, რომ ხალხმა უნდა იცოდეს, რა გავაკეთეთ. ამისთვის აუცილებელია, პიარკომპანია გავაძლიეროთ, რასაც, ალბათ, მიმავლისთვის გავითვალისწინებთ. თუმცა მიმაჩნია, რომ მთავარი შემფასებელი საქმიანობისა, ხალხია და მთავარი სიტყვა მათ ეკუთვნით.

— ხალხს, სამართლიანობის აღდგენასთან ერთად, აინტერესებს, როდის დაერქმევა „ნაცმოძრაობას“ თავისი სახელი. თქვენი პარტიის ამომრჩევლები იმასაც გსაყვედურობენ, რომ ამ მოწვევის პარლამენტში არ მოხდა მათი ნამოქმედარის პოლიტიკური შეფასება.

— „ნაცმოძრაობას“ ნამდვილი სახელი, რასაც იმსახურებენ, უკვე ჰქვია. შეფასება ჩვენი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მისცა. საზოგადოებამ მათ უარი უთხრა. წლევანდელ არჩევნებზე წერტილი დაესმევა მათ პარპაშს საქართველოში. ამიტომ არის მნიშვნელოვანი 8 ოქტომბრის არჩევნები და აუცილებელია საზოგადოების აქტიურობა. ჩემი აზრით, წლევანდელი არჩევნები არანაკლებ მნიშვნელოვანია 2012 წლის არჩევნებზე. ეს უნდა გაითვალისწინოს მოსახლეობამ, თუ სურს „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური არენიდან გაქრობა.

— თქვენ რის გაკეთებას აპირებთ რაიონში, პირველ რიგში?

— გასაკეთებელი საქმე, როგორც უკვე გითხარით, იცოცხლეთ, ბევრია — გზების მოწესრიგება, ინფრასტრუქტურა, ავარიული სახლები, სოციალური საკითხები. მაგრამ ჩემი დიდი სურვილია, რაიონში სპორტული ინფრასტრუქტურა მოვაწესრიგოთ. სამგორის რაიონში ბევრი ბავშვია, ჩვენი მომავალი თაობა. მათ ხელი უნდა შევუწყოთ, რათა ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვრონ. ამ მიმართულებით, მართალია, უკვე მიდის მუშაობა, მაგრამ, ყველაფერთან ერთად, აუცილებელია, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, რაც ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, მომავალ არჩევნებზე ოპტიმისტურად ხართ განწყობილი, გამარჯვების იმედი გაქვთ?

— რა თქმა უნდა, ოპტიმისტი ვარ. უფრო მეტსაც გეტყვით, მომავალი ოთხი წელი საქართველოსთვის წინსვლის პერიოდი, აღმავლობის დასაწყისი იქნება. წინასწარ არ მინდა ვილაპარაკო, მაგრამ მერწმუნეთ, უახლოეს ხანში უამრავი პროექტის განხორციელება დაიწყება, რომელიც საქართველოს მოსახლეობას სიკეთეს და კეთილდღეობას მოუტანს. სწორედ ეს გარემოება მაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს. მანამდე კი არჩევნები გვაქვს ღირსეულად ჩასატარებელი.

გია ბურდული
551 71 27 07

®

ზურაბ ვახანია:

საქართველოში განათლების კანონი ხარისხიან განათლებას კრძალავს

ზურაბ ვახანია ერთ-ერთი მათგანი იყო, ვიზეც ყოფილი ხელისუფლების დროს, გამოგონილი ბრალდებებით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. თბილისის 38-ე და ქუთაისის მე-18 საავტორო სკოლების დამაარსებელს სამინისტროსთვის მიუღებელ პედაგოგთა პროფკავშირებთან თანამშრომლობის გამო საავტორო სკოლები დაუხურეს, სისხლის სამართლის საქმე აღუძრეს და პრობაციონერად აქციეს. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, სკოლების აღდგენის მოთხოვნით, ზურაბ ვახანიამ განათლების სამინისტროს რამდენჯერმე მიმართა, თუმცა უშედეგოდ. ყოფილი თუ მოქმედი ხელისუფლების დროს განათლების სისტემაში განვითარებულ მოვლენებზე, მიზეზებზე და შედეგებზე პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქოლოგიის პროფესორი, საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე და განათლების ექსპერტი **ზურაბ ვახანია** გვესაუბრა:

– როგორც იცით, ჩემი სამართლებრივი დევნის მიზეზი განათლების პროფკავშირებთან თანამშრომლობა გახდა. ამ დროს თბილისის 38-ე საჯარო სკოლის დირექტორი გახლდით, რომელიც ქუთაისის მე-18 საჯარო სკოლასთან ერთად, ჩემი საავტორო პროგრამით მუშაობდა. გემახსოვრებათ, დიმიტრი შაშკინის მინისტრობის დროს, როგორი მასშტაბური ომი გამოუცხადეს მანანა ღურჭუმელიძის პროფკავშირებს. სამინისტროდან და რესურს-ცენტრებიდან მოდიოდა მინიშნებები, რომ პროფკავშირებთან ურთიერთობა გაგვეწყვიტა და საწევროების გადარიცხვა შეგვეჩერებინა. ვინაიდან ყველაფერი სიტყვიერი დირექტივების და მინიშნებების დონეზე იყო, პროფკავშირებთან ურთიერთობა ჩვეულებრივ გავაგრძელე და დავისაჯე კიდეც: ჩემი საავტორო პროგრამით მომუშავე სკოლები დახურეს, ჩემზე კი სისხლის სამართლის საქმე აღძრეს და ოთხი წლით პრობაციონერად მაქციეს. ხელისუფლების შეცვლისთანავე, განათლების სამინისტროში და პარლამენტის განათლების კომიტეტში გავგზავნე წერილი, სადაც მომხდარი აღვწერე და სკოლის თავდაპირველი სახით აღდგენა მოვითხოვე. პარლამენტის განათლების კომიტეტი დამეთანხმა და სამინისტროს მიწერა- ამ სკოლას დიდი მიღწევები ჰქონდა და გთხოვთ დაეხმაროთო, მაგრამ თამარ სანიკიძემ არც ჩვენი და არც პარლამენტის თხოვნა ყურად არ იღო. ამის შემდეგ, მშობლებმაც მიწერეს, პარლამენტმაც განმეორებითი წერილი გააგზავნა, მაგრამ დღემდე პასუხი არ მიგვიღია, რასაც კანონდარღვევისა და უპასუხისმგებლობის გარდა, ვერაფერს ვუწოდებ.

რაც შეეხება ჩვენი საუბრის მთავარ თემას, ერი, რომელსაც მე-3 საუკუნეში რიტორიკული სკოლა-აკადემია ჰქონდა, 21-ე საუკუნეში წიგნიერებაში მოსწავლეების შედეგებით, მსოფლიოს უკანასკნელ 20 %-ში არ უნდა იყოს, თანაც ისეთი სახელმწიფოების გვერდით, რომლებსაც წიგნიერების 100-წლიანი ისტორიაც კი არა აქვთ. იმის მისახვედრად, რომ კატასტროფულ მდგომარეობაში ვართ, საკმარისია, საატესტატო და მისაღები გამოცდების შედეგებს და ტესტების სირთულეს გადავხედოთ. ჩემი აზრით, ამ უბედურების ერთ-ერთი, მთავარი მიზეზი კორუფციაა, რომელიც მხოლოდ მექრთამეობას არ გულისხმობს და ისეთ ფართო ცნებებსაც მოიცავს, როგორიცაა ნეპოტიზმი, კლანურობა, კონკურსების გაყალბება, პირადი სიმპათია-ანტიპათია და ა.შ. რუსეთთან, ყაზახეთთან და სომხეთთან შედარებით, ჩვენში

მექრთამეობა ნაკლებია, მაგრამ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არაპროფესიონალების წილი გაცილებით მეტი. ასეთი დამოკიდებულების შედეგია, რომ მოსწავლეთა საშუალო მიღწევებით, არათუ ბალტიისპირეთს და რუსეთს, ყაზახეთს და სომხეთსაც ჩამოვრჩებით. ისიც კორუფციაა, რომ ყველაზე «დაბალ ღობედ» მიჩნეულ მასწავლებლებს სასერტიფიკაციო გამოცდებში «წურავენ» და არავინ ამოწმებს მასწავლებელთა მწვრთნელების, სახელმძღვანელოთა ავტორების, ტესტების შემდგენლების, სამინისტროსა თუ არასამთავრობო ექსპერტების კომპეტენციას. სანამ საგარეჯოს ან ჩხოროწყუს რაიონის ქიმიის მასწავლებელს ბლუმის ტაქსონომიის ცოდნას მოთხოვ, ქიმიის სახელმძღვანელოს ავტორებისა და ტესტების შემდგენელთა კომპეტენციით არ უნდა დაინტერესდე? როგორ შეიძლება სასკოლო საგანმანათლებლო სტანდარტები ან სახელმძღვანელო შეადგინოს იმ პირმა, რომელმაც პიაჟეს თეორიის საწყისებიც კი არ იცის?

ექსპერტის აზრით, მეორე მთავარი პრობლემა, რომელიც მოსწავლეს ხარისხიანი განათლების მიღებაში ხელს უშლის, ცენტრალიზებული სკოლაა, რომელიც თავიდან ბოლომდე სამინისტროდან მიღებული დირექტივებით იმართება.

ზურაბ ვახანია: – დიახ, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, განათლების კანონი ხარისხიან განათლებას კრძალავს და დღევანდელი სკოლა უფრო ცენტრალიზებულია, ვიდრე საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში იყო. ფინანსებს, სახელმძღვანელოებს, სწავლების მეთოდებს, სასწავლო ბადეს, ერთი სიტყვით, ყველაფერს სამინისტრო აკონტროლებს. სკოლის დირექტორს კი დადგენილი წესიდან უმცირესი გადახვევაც კი შესაძლოა, თანამდებობის დაკარგვის ფასად დაუჯდეს. დღევანდელი სკოლა ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული და რეპრესიული სისტემის ნაწილს წარმოადგენს, რაც მთლიანად ყოფილი ხელისუფლების დამსახურებაა, თუმცა არც ახალს გაუკეთებია რამე ამის შესაცვლელად. ამ დრომდე, განათლების სამინისტროს თანამშრომელთა უმეტესობა

შაშკინის დროინდელი კადრია და მხოლოდ მინისტრების ცვლა რას შეცვლის, არ ვიცი. სხვათა შორის, შევარდნაძის დროინდელ კანონში იყო მე-13 მუხლი, სადაც ეწერა, რომ სახელმწიფო მხარს უჭერს გაღრმავებული სწავლებისა და საავტორო სკოლებს და შემოქმედებითობას, ოღონდ ეს დასაბუთებული უნდა ყოფილიყო. ნაციონალებმა ეს მუხლი კანონიდან ამოიღეს და ყველანაირი საავტორო სკოლა აკრძალეს. იმის ნაცვად, რომ სახელმწიფომ მაქსიმალურად ხელი შეუწყოს ბავშვთა ჩართულობას, ყველანაირ ინიციატივას ძირშივე სპობს. თითქმის აკრძალულია სკოლაში წრეობრივი მუშაობა. წარმოიდგინეთ, ბავშვმა ქუჩაში ხეტიალის ნაცვლად, სკოლაში, საგნობრივ წრეზე სიარული რომ მოინდომოს, კანონი ამის უფლებას არ მისცემს. აი, ასეთი აბსურდული მდგომარეობაა და რომელი განათლების ხარისხზე შეიძლება საუბარი.

გახსოვთ ალბათ, სააკაშვილის ინიციატივით, სტატუსი აღუდგა კომაროვის სახელობის ფიზიკა მათემატიკურ სკოლას, თუმცა „ნაციონალების“ მიერ გაუქმებული სხვა სპეციფიკური მიმართულების სკოლებისთვის ყველაფერი ძველებურად დარჩა. ზურაბ ვახანია ყოფილი პრეზიდენტის ინიციატივას კანონის დარღვევად და ფასადურ ცვლილებად მიიჩნევს და განათლების სამინისტროს კანონში შესაბამისი ცვლილების განხორციელებას ურჩევს.

ზურაბ ვახანია: კანონში ცვლილების გარეშე, პირველი ექსპერიმენტული და ფიზიკა-მათემატიკური სკოლისთვის სტატუსის აღდგენა სრული უკანონობა იყო. ვინ მისცა პრეზიდენტს კანონსაწინააღმდეგო ბრძანების გამოცემის უფლება? თუ მართლა ცვლილება გინდა, ჯერ კანონში შენს მიერ ჩაწერილი ცუდი მუხლი შეცვალე და პროფილური სწავლება მერე აღადგინე. სწორედ ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ იურიდიულად გაუმართავი ბრძანების გამო, ყველაფერი ძველებურად დარჩა. კომაროვში მართლაც არის განსხვავებული პროგრამები, მაგრამ პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში სწავლებას ჩვეულებრივი პროგრამით გადიან და ასე იქნება, სანამ დღეს არსებული, საშინელი განათლების კანონი არ შეიცვლება და სკოლების დეცენტრალიზაცია არ განხორციელდება. აი, ასეთ ჭაობში ვართ ახლა. სკოლის დირექტორს და მასწავლებელს, რომელიც მხოლოდ ხელფასზე არ ფიქრობს და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება უნდა, არც გამბედაობა, არც საშუალება და არც ხალისი შერჩა, რომ რაღაც შეცვალოს, იმიტომ, რომ ამის საშუალებას არ აძლევენ.

რაც შეეხება კერძო სექტორს, როგორც საჯარო სკოლაა დამოკიდებული სამინისტროზე, ასევე დამოკიდებულია კერძო სკოლა მშობელზე, რომელიც კარნახობს რა და როგორ გააკეთონ. თუ გინდა, რომ სკოლამ კონტინტინგენტი გაზარდოს და «მოგებაზე წავიდეს», იძულებული ხარ, ბავშვი დაბალი ქულებით არ გაანაწყენო და მშობლის ყველა, ზოგჯერ დაუსაბუთებელი პრეტენზია გაიზიარო. თუ იმას არ გააკეთებ, რასაც მშობელი მოითხოვს, ბავშვებს გაიყვანენ და სკოლა დაიხურება. საზოგადოდ, განათლება, მეცნიერება და კულტურა საკუთარ თავს ვერსად აფინანსებს. მე საფუძვლიანი კალკულაცია მაქვს გაკეთებული და შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა- კომერციული მიზნით გახსნილ სკოლაში ხარისხიანი სწავლება ვერ იქნება. თუ გინდა, რომ სკოლა მომგებიანი იყოს, უამრავ რამეზე, რაც სწავლების ხარისხს განაპირობებს, უარი უნდა თქვა, ამიტომ კერძო სკოლაც ცუდ დღეშია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არსებული კანონმდებლობის პირობებში, ერთადერთი გამოსავალია, ბავშვის სასარგებლოდ გამოვიყენოთ, კანონსა თუ ეროვნულ სასწავლო გეგმაში ლიტონ სიტყვებად ჩაწერილი «მოსწავლეზე ორიენტირებულობა». ეს იმას ნიშნავს, რომ პროგრამის გავლაზე უარი უნდა ვთქვათ. ჩვენთვის მთავარი პროგრამის გავლა კი არა, კონკრეტული კლასის და კონკრეტული მოსწავლის საჭიროება უნდა გახდეს. უფრო დავაკონკრეტებ და გეტყვით, რომ ყველა კლასში ერთი და იგივე პრობლემაა. ცუდი პროგრამის, უხარისხო სახელმძღვანელოების და სხვა მიზეზების გამო, უხარისხოდ ნასწავლი საკითხები გროვდება. არცოდნას არცოდნა ემატება და ბავშვები სკოლას ისე ამთავრებენ, რომ საკვანძო საკითხები არ იციან. მაგალითისთვის მათემატიკა ავიღოთ, რომელიც ყველაზე მკაცრად სტრუქტურირებული მეცნიერებაა და წინა მასალა თუ არ იცი, წინ ვეღარ წახვალ. სააატესტატო და მისაღები გამოცდები გვაჩვენებს, რომ მოსწავლეების 80% წილადი და პროცენტი არ იცის და ამ დროს, მასწავლებლები ტრიგონომეტრიულ უტოლობებს აზეპირებინებენ, რომელიც ვის რა ჯანდაბად უნდა, კაცმა არ იცის. ეს შეკრული წრე რომ დაირღვეს, საჭიროა, რომ მასწავლებელმა პროგრამა გვერდით გადადოს და ბავშვმა წინა მასალის საკვანძო საკითხები ასწავლოს. სწორედ ესაა მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებულობის პრინციპი და არა დაზეპირების თუ უცოდინრობის ფონზე პროგრამის გავლა.

ნელი თორდია
571 35 36 88

ნიკოლოზ მჟავანაძე:

8 ოქტომბრის მერე ფსიქიატრებს პაციენტები მოემატებათ, ციხეებს პატიმრები, პოლიტიკურ სანაგვეს კი არჩევნებში დამარცხებული და გაბითურებული პოლიტიკოსები

„ნაციონალებსა“ და ოპოზიციონერთა ნაწილს, გული უთქვამთ არჩევნების „გაყალბებას“ და მარტო ქუჩაში გამოსასვლელად კი არა, უკვე აჯანყებისთვისაც ემზადებიან. რა გამოწვევების წინაშე დგას ხელისუფლება და ქვეყანა, „საერთო გაზეთს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე, ადვოკატი ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრა, რომლის განცხადებითაც წინ ძალზე ცხელი ოქტომბერი გველის.

ნიკოლოზ მჟავანაძე: „ნაციონალები აჯანყებისთვის რომ ემზადებიან, ეს ნიკა გვარამიამ ერთ-ერთ ბრიფინგზეც თქვა. ბოლო ხანს გამოქვეყნებული სატელეფონო ჩანაწერიც მოწმობს, რომ ოპოზიციურ ფრონტზე რეალურად გვარამიას მიყავს „პარადი“, მან პატარა ბავშვივით დატუქსა პაატა ბურჭულაძე, როგორ შეიძლება ბიძინა ივანიშვილთან რაიმე თანამშრომლობაზე წახვიდეო. იმ პარტიისვის, რომელიც ბიძინა ივანიშვილს ლანძღავს, „რუსთავი-2“-ის კარი ღია, სპეციალურ გადაცემასაც მიუძღვნიან ნანუკასა თუ მაიას შოუები, ახლა შალვა ნათელაშვილზე ამზადებენ ერთსაათიან გადაცემას. ერთი სიტყვით, ივანიშვილის „ოპონენტებს“ გარანტირებული აქვთ სრული პიარი და ამ საქმეების „მოგვარებაში“, რეალურად გვარამიაა მიხეილ სააკაშვილის სპეცწარმომადგენელი. არჩევნების შემდგომი საპროტესტო აქციებისთვის ხსენებული პარტიებიც ემზადებიან, თქვეს კიდეც, რომ მეორე ადგილზე თუ არ გავლენ, ე.ი. არჩევნები გაყალბდა, ყველა რანაირად უნდა გავიდეს მეორე ადგილზე, გაუგებარია. საქმე იმაშია, რამდენად ეყოფათ მათ ადამიანური რესურსი დაანონსებული „გრანდიოზული“ გამოსვლებისთვის, ყველა ცდილობს ხალხის ქუჩაში გამოყვანას, ეს მცდელობა ადრეც არაერთხელ ჰქონდათ, მაგრამ ჩაუვარდათ, ხალხი არ გამოვიდა. იმედს მაინც არ კარგავენ, პლიუს ამას, სააკაშვილს ჰყავს 400 კბილებამდე შეიარაღებული კაცი უკრაინაში. მე არ ვიცი რამდენად მონაწილეობს ეს ხალხი სამხედრო ოპერაციებში, ზოგი შეიძლება მონაწილეობს კიდეც, მაგრამ გაუგებარია, რატომ უნდა იბრძოდნენ ისინი სხვა ქვეყნებში, როცა საქართველოს აქვს ტერიტორიები დასაბრუნებელი, რატომ უნდა შევწიროთ 50-მილიონიან უკრაინას ჩვენი მებრძოლები. აქედანაც ჩანს საკაშვილის უგუნურება, ის ვერ გაძღა ქართველების სისხლით, ახლა უკრაინაშიც უნდა დაღვაროს, პარალელურად ამ ადამიანების საქართველოში არეულობის მოსაწყობად გამოყენებაც უნდა. ჩემი აზრით, სწორედ ამ არეულობას აანონსებდნენ, როცა სააკაშვილი გვარამიას ეუბნებოდა „ბოევიკები“ შეკრიბეო. სცენარი 1991 წლის 2 სექტემბრის მსგავსი იქნება, „პროტესტანტების“ აქციაზე მოხდება გასროლა, დაიღვრება სისხლი, რაც პოლიციას დაბრალდება. ამის შემდგომ აპირებს სააკაშვილი საქართველოში ჩამოსვლას, რომლის მიზანიც გადატრიალების მოწყობაა, თავის ქმედებას იმით „გაამართლებს“, რომ თურმე ხელისუფლება ხალხის წინააღმდეგ წავიდა. 1991 წელს პუტჩისტებს 400 შეიარაღებულ კაცზე მეტი ნამდვილად არ ყოლიათ, მართალია, მაშინ მოშლილი იყო სახელმწიფო სტრუქტურები, ახლა რთულია 400 კაცით გადატრიალების მოხდენა, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნაციონალებს შეიძლება სახელმწიფო სტრუქტურებში ჰყავდეთ „ჩანერგილი“ თავიანთი ამფსონები და მათზეც ჰქონდეთ გათვლა. გარდა ამისა, ლევან ვარშალომიძესაც შეიძლება ჰქონდეს გარკვეული მხარდაჭერა თურქეთიდან, გავიხსენოთ მისი გამყიდველური განცხადება, ქართველები და თურქები ორ სახელმწიფოში მცხოვრები ერთი ხალხი ვართო, ასე რომ, ყველა მხრიდან გველის დიდი შეტევა.



რთული ოქტომბერი რომ გველის, ფაქტობრივად, ღიად ანონსდება, გადატრიალების დაწყებამდე უნდა იმოქმედოს ხელისუფლებამ უფრო გაბედულად, თუ საჭიროა, დააპატიმრონ გადატრიალების დამგეგმავ-ორგანიზატორები. ჩვენთან მარტო ხელისუფლება და ხალხი კი არ ამბობს გადატრიალება მზადდებაო, ოპოზიციური ფრთა აცხადებს, აჯანყებისთვის ვემზადებითო, ცნობისთვის, სახელმწიფო გადატრიალების მომზადება და შესაბამისი მოწოდებები დასჯადია, აუცილებელი არ არის, მაინც და მაინც გადატრიალების დაწყებისას დააპატიმრო ორგანიზატორები და მონაწილეები, მანმადე უნდა მოხდეს რეაგირება.

ვფიქრობ, ამ „რევოლუციურ“ სამზადისში რესპუბლიკელებიც არიან ჩართული. პარტია, რომელიც გუშინ ხელისუფლებაში იყო, მისი ლიდერები პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილს დითირამბებს უმღეროდნენ, დღეს გადატრიალების პროცესებში აპირებს მონაწილეობის მიღებას. ყოველ შემთხვევაში, მის ლიდერთა განცხადებები ამ შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ განცხადებებს გარკვეული მიზეზი აქვს, ჩემი ინფორმაციით, თინა ხიდაშელის დაპატიმრებას აპირებენ, საკმარისი მასალები ყოფილა, რომ იგი საგარეჯოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით პასუხისგებაში მიეცეს. თურმე არსებობს იმ სამხედრო პირთა ჩვენებები, რომლებიც საუბრობენ თუ როგორ აძლევდა დავალებებს მაშინდელი თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი. ეს ქალბატონი ისეთ დეპრესიაშია, რომ ფსიქოლოგთან დადისო, ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებული ჰქონია დავით ბერძენიშვილსაც, რაც თავისთავად სამწუხარო ფაქტია, ადამიანის ავადმყოფობა როგორ უნდა გაგიხარდეს. ეს ხალხი სუიციდისკენ რომაა მიმართული, თავადაც არ მალავენ, ლევან ბერძენიშვილი ამბობს, რომ არჩევნების წაგების შემთხვევაში, წყალში გადავარდება, იქით ნაციონალების აქტიური სახის მამა ანზორ მელია აპირებს თავის მოკვლას, თუ არჩევნებში ნაციონალები ვერ გაიმარჯვებენ. სიმართლე გითხრათ, რესპუბლიკელების მდგომარეობა არც მიკვირს, როგორია, გუშინ ხალხი „ვარსკვლავებს ეთამაშებოდა“, ნატოს სამიტებზე დადიოდა და ა.შ., ხვალ კი „ბორტს მიღმა“ დარჩენა ემუქრებათ. ამ არჩევნებს ერთი დიდი პლიუსი ის აქვს, რომ ერთხელ და სამუდამოდ დასამარდება რესპუბლიკური პარტია, საკუთარი ყურებივით ვეღარ იხილავენ დიდ თანამდებობებს, წარუმატებლობები ადრეც ჰქონიათ, მაგრამ ახლა წერტილი საბოლოოდ დაესმებათ. ერთია, დამოუკიდებლად ხმების 1%-საც ხომ ვერ მიიღებენ, მაგრამ მათთან ალიანსსაც არავინ ისურვებს, მათ შორის ნაციონალებიც, რომლებმაც საკუთარი გამოცდილებიდან იციან, რესპუბლიკელების დაუცხრომელი მადის ამბავი. „ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდში ნაციონალებთან „დაძმობილებული“ რესპუბლიკელები, 2004 წელს მათი დახმარებით მოხვდნენ პარლამენტში, მაგრამ მერე იმ თხის პრეტენზია გაუჩნდათ, მგლის შეჭმა რომ მოინდომა, მაშინაც მოუნდათ სერიოზული თანამდებობები, თუმცა დღევანდელი ხელისუფლებისგან განსხვავებით, სააკაშვილიმა არაფერი მისცა. ისინი კი ამბობენ ჩაუძირავი პარტია ვართო, მაგრამ დიდი ხანია ჩაძირულები არიან. ამათი „მზე“ კი ჩაესვენება, მაგრამ „ქართული ოცნება“ „ახალი“ რესპუბლიკელებით არ უნდა შეივსოს.

ვფიქრობ, ყველა ეს ოპოზიციონერი რომ გაერთიანდეს მოქმედი ხელისუფლების ჩამოსაგდებად, მაინც ვერაფერს მიიღებენ, რადგან ხალხის მხარდაჭერა არ ექნებათ, თუმცა როგორც გითხარით, პროვოკაციის მოწყობაზე აქვთ აქცენტი, ათასობით ადამიანია პოლიციასა და ჯარში, შეიძლება გამონახონ ვინმე მოდალატე, მას ასროლინონ და მერე თქვან, ხელისუფლებამ სისხლი დაღვარაო. **არაერთხელ მომიწოდებია და თქვენი გაზეთის საშუალებითაც მოვუწოდებ მთავრობას, გააკონტროლონ ყველაფერი, პროვოკაციისგან თავი რომ დავიზღვიოთ, თითოეული ჯარისკაცი და პოლიციელი იყოს კონტროლქვეშ, ვიდეოკამერებით თვალთვალიც იყოს, რადგან შეიძლება გადაცმულმა პოლიციელმა გაისროლოს. ესენი პროვოკაციის „დიდოსტატები“ არიან**, გვარამიას ბოლოდროინდელი ქმედებები არ იყო პროვოკაცია? გიჟი უნდა ყოფილიყო ეს ხელისუფლება, არჩევნებამდე ერთი თვით ადრე,

ხსენებული ჩანაწერი რომ გაევრცელებინა, ან რა ითქვა იქ განსაკუთრებული? თვითონ ამბობენ პირდაპირ ეთერში, ნაცების ტელევიზია ვართო, პაატა ბურჭულაძესაც კარგად ვიცნობთ, ასე რომ, არანაირი სიახლე არ გაუგია საზოგადოებას. ისეთი აფორიაქებულები არიან, ისეთი სახეებით აკეთებენ ერთმანეთზე სულელურ განცხადებებს ოპოზიციური სპექტრის ეს ნაწილი, რომ ვფიქრობ, 8 ოქტომბრის მერე, ფსიქიატრებს პაციენტები მოემატებათ, ციხეებს პატიმრები, ხოლო პოლიტიკურ სანაგვეს, „ნაგავი“ პოლიტიკოსები.

როგორც ყოფილი „კაგებეშნიკი“ არ არსებობს, ისე არ არსებობს ყოფილი „ნაცი“, ათასჯერ მითქვამს და გავიმეორებ, შეიძლება შს მინისტრი, უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და მათი მოადგილეები შეიცვალნენ, მაგრამ ინფორმაციების შემგროვებლები კვლავ ძველი სისტემის წარმომადგენლები არიან, გამორიცხავთ, რომ მათ არასწორი ინფორმაცია მიაწოდონ ხელმძღვანელობას? ხელმძღვანელობაც დაეყრდნობა ამ ყალბ ინფორმაციას და მის საფუძველზე წარმართავს პოლიტიკას, სწორედ ამიტომ იყო აუცილებელი ძალოვანი სტრუქტურების გაწმენდა.

- „ნაციონალები“ თვლიან, რომ სამეგრელოში არჩევნებს აუცილებლად მოიგებენ. იმ უბედურებების შემდეგ, რაც მათ სამეგრელოში დაატრიალეს, ნაციონალების სისხლიანი რეჟიმისგან ხომ ყველაზე მეტად ეს კუთხე დაზარალდა, რა აძლევთ ამის თქმის საფუძველს?

- ციხეებსა და სამეგრელოში არსებულ ჯურღმულებში რა მეთოდებითაც უსწორდებოდნენ ადამიანებს, ნაციონალებს აბუგრეიბის (ერაყი) ე.წ. სამხედრო დამნაშავეთა ციხიდან ჰქონდათ გადმოღებული. მთელმა მსოფლიომ იხილა, ფოტო და ვიდეოკადრები, თუ როგორ არაადამიანურად აწამებდნენ ამერიკელი სამხედროები უმწეო პატიმრებს. მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ მიხეილ სააკაშვილი იმ სამხედრო ინსტრუქტორებს იყენებდა, რომლებიც ფაქტობრივად, არც დაუსჯიათ. ჩვენთანაც ვითომ დასჯეს მწამებლები, მაგრამ იმ დანაშაულისთვის, რასაც ისინი სჩადიოდნენ, სამ თუ ოთხწლიანი სასჯელი არ არის საკმარისი. სასჯელების შეკრებითობა ნაციონალების სასარგებლოდ გაუქმდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვანო მერაბიშვილს და მისნაირებს 20-25-წლიანი სასჯელი ელოდათ. ხელისუფლება ამ უმძიმესი კატეგორიის დანაშაულების ჩამდენთა მიმართ, მკაცრი უნდა იყოს. ამ ხელისუფლების ყველაზე დიდი შეცდომა ის არის, რომ საზოგადოებას არ აჩვენა ის ციხის და სამეგრელოს სამალავებიდან ამოღებული ავთენტური კადრები, რომელიც თავის დროზე ირაკლი ღარიბაშვილმა გვაჩვენა უფლებადამცველებსა და ჟურნალისტებს. სახეები დაეფარათ, იდენტიფიცირება რომ არ მომხდარიყო, მაგრამ აუცილებლად უნდა ეჩვენებინათ, თორემ ხომ ხედავთ ნაციონალები ყველაფერს ლადო ბედუკაძეს აბრალებენ, კურიოზი ისაა, მთავრობას ამდენი მტკიცებულება აქვს, მაგრამ ინახავს, საზოგადოებას არ აჩვენებს, ნაცები იქით ედავებიან, მტკიცებულებები არ გაქვთ, დაგვიმტკიცეთ თუ გაქვთო, როდემდე უნდა იყოს უნიათოს პოზიციაში ჩვენი ხელისუფლება, ვერ გავიგე. საკუთარი თვალის მაქვს ნანახი, როგორ გადმოიყვანეს გალიდან ადამიანი, რომელსაც ტერორიზმში მონაწილეობის აღიარებას აიძულებდნენ, რომ არ აღიარა, მაგიდაზე დააბეს და ყავარჯნიანმა კაცმა გააუპატიურა, ასეთი სხვაც ბევრი ფაქტი იყო. სამეგრელოს მოსახლეობისა უკვირთ, ამ ყველაფრის შემდეგ ნაციონალებს მხარს როგორ უჭერენო, იმას რატომ არ ფიქრობენ, რომ ის ხალხი ფაქტობრივად, ინფორმაციულ ვაკუუმშია, ძირითადად ტელევიზიიდან იგებენ ინფორმაციას, „რუსთავი-2“ როგორ ობიექტურ ინფორმაციას მიაწვდის, კარგად მოგეხსენებათ. Uბედურება ისაა, რომ ერთი კი არა, ხუთი (თუ მეტი არა) „რუსთავი-2“ გვაქვს, რომელი ტელევიზია გადმოსცემს სიმართლეს?

სამეგრელოში ბრძენი ხალხი ცხოვრობს, მათი კი არა, არაინფორმირებულობის ბრალია, თუ იქ კიდევ ვინმეს ნაციონალების მიმართ დადებითი განწყობა აქვს. სამეგრელო ყოველთვის ეროვნული მოძრაობის ავანგარდში იდგა და დღეს რაც იქ ხდება, ხალხის არაინფორმირებულობის ბრალია, ამ ე.წ. პროდასავლელმა დემოკრატებმა თავი რომ გაიგიჟეს, გია სალუქვაძემ რატომ აჩვენა ის კადრები ხალხსო, მაშინ ებრაელებიც დასაჭერები ყოფილან დღესაც რომ აჩვენებენ ფაშისტების ჩადენილ საშინელებებს.

- კომპეტენტური ადამიანების ინფორმაციით, წამების მსხვერპლნი სამეგრელოში ძირითადად ნაცმოძრაობის მხარდამჭერები იყვნენ, ის ამაზრზენი ვიდეოკადრებიც მათ ბოლომდე დასაშანტაჟებლად გადაიღეს და არ არის გამორიცხული ამ ადამიანების უმეტესობამ არჩევნებში ხმა ნაციონალებს მისცესო.

- რა თქმა უნდა, ნაციონალები პირველ რიგში საკუთარი მომხრეების შანტაჟსა და დისკრედიტაციაზე მუშაობდნენ, რომ მათი „ერთგულები“ ყოფილიყვნენ, 28.000 ფაილს ეხუმრებით? ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ნაცმოძრაობა თითზე ჩამოსათვლელმა ადამიანებმა დატოვეს. თქვენ გგონიათ, ისეთი უჭკუოები არიან, რომ ვერ ხვდებიან, რაც ჩაიდინა მათმა პარტიამ, მაგრამ ისინი ამ კომპრომატებით არიან შებორკილი, ისევე, როგორც მათი მომხრეები, არც მე გამოვრიცხავ, რომ იმ გაუპატიურებებისა თუ სხვა კადრებში მათი ხალხი იყოს ასახული. როცა გვარამია ამბობს ჩემზეც არსებობს ფირიო, ვინ შექმნიდა, ამით ხომ დაადასტურა, რომ წინა ხელისუფლებას მასზეც ჰქონდა გადაღებული. სხვათა შორის ბევრმა სხვამაც აღიარა, რომ მათზეც არსებობს კომპრომატები. ნაცნობმა მომიყვა, როგორ ქმნიდნენ ნაციონალები ე.წ. კომპრომატებს, რისთვისაც მათთან „შეკრულ“ მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონებს იყენებდნენ. მავანს მიუგზავნიდნენ ლამაზ ქალს, ქართველ კაცსაც მეტი რა უნდა, მერე ეს ქალი სასმელში რაღაცას ჩაუყრიდა და უცებ ეს პიროვნება ქალის მაგივრად კაცთან ერთად აღმოჩნდებოდა. გადაუღებდნენ ფოტოს თუ ვიდეოს და კომპრომატიც მზად იყო, არ არის აუცილებელი სექსუალური აქტი ყოფილიყო, შიშველი კაცის გვერდით რომ იქნებოდა, მერე რამდენიც გინდა ემტკიცებინა, არაფერი მომხდარაო. სხვათა შორის, ე.წ. ელიტურ მეძავებს ყოველთვის იყენებდნენ სპეცსამსახურები, ხშირ შემთხვევაში, მათი მეშვეობით ხდებოდა ხალხის „დავერბოვკება“. ამ ხელისუფლების გიგა ბოკერია, ლევან რამიშვილი და სხვა ამ ტიპის „გლავარები“ რომ დაეჭირა, პირველ რიგში ნაცმოძრაობის წევრებსა და მხარდამჭერებს გაუხარდებოდათ, რადგან თავისუფლად ამოისუნთქავდნენ. Pირველ რიგში მათ უნდათ „ბობოლა“ ნაცების დაჭერა, მაგრამ ამას ხმამაღლა ვერ ამბობენ. ხელისუფლებას არ უნდა დაეჯერებინა ბოღმით სავსე, ჭკუანაღრძობი მაკეინისთვის და მისი მსგავსი სენატორებისთვის, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ გვაქეზებენ. თქვენ საკაშვილი ისეთი იდიოტი გგონიათ, რომ რომ თავისი ნებით დაეწყო 2008 წელს ომი, დასავლეთიდან იყო პირდაპირი მითითება, მათ უნდათ საქართველოს სადგისის ფუნქცია ჰქონდეს, რუსეთს უჩხვლიტონ, ისიც გაბრაზდეს და ტერიტორიები წაგვართვას. სამეგრელოს თემას მინდა დავუბრუნდე, ახლახანს ანაკლიაში ვიყავი და მოვისმინე, როგორ უხდიან ნაციონალები ფულს თავიანთ აქტივისტებს, მოსახლეობაზე ზეგავლენის მოსახდენად. საკუთარი თვალით ვნახე პიროვნება, რომელიც მთელი დღე პლაჟის შესასვლელთან იჯდა და ხალხს „მოძღვრავდა“, როგორი კარგები არიან ნაციონალები, ახალმა ხელისუფლებამ კი მათი ნაკეთები გააპარტახა და ა.შ. ჩემთვის გაუგებარი იყო, სოფელ კოკის სკოლაში მოსწავლეების სანდრა რულოვსთან შეხვედრა, მე რომ მკითხოთ, იმ სკოლის დირექტორი მოსახსნელია. ჯერ არასწორი ისტორია გაავრცელეს, ეს სკოლა მიშა სააკაშვილის გაკეთებულიაო, არავითარი მიშა და სანდრა, ამ სოფელში ბევრი დევნილი ცხოვრობს და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით გაკეთდა. გარდა ამისა, იქ რა უფლებით დახვდნენ სანდრა რულოვსს ყვავილებითა და დიდი აჟიოტაჟით, როცა სკოლა დეპოლიტიზირებული დაწესებულებაა. ეს ყველა პოლიტიკურ პარტიას ეხება, მოსწავლე-მასწავლებლებმა არც მიშა-მიშა უნდა იყვირონ და არც სხვა ლიდერის სახელი.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 77

ქალბატონი, რომლის ბედ-იღბალი სპეცსამსახურების კაბინეტებში დაიწერა

შემზარავი ფაქტები სანდრა რულოვსის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ს.გ“ N33-34)

ორიოდე წლის წინ „რუსთავი–2“-ის პირდაპირ ეთერში სანდრამ მსახიობის შესაშური ნიჭი გამოავლინა და კეთილშობილების ნიღაბაფარებულმა საყვედური გამოთქვა ხელისუფლების მიმართ, ოცი წლის განმავლობაში თურმე რამდენი სიკეთე ჰქონდა ქართველი ხალხისთვის და საქართველოსთვის გაკეთებული და სამაგიეროს მამის მიერ შეძენილი სახლის დაყადაღებით უხდიდნენ, თან წუხდა, მოულოდნელად დაწყებული გამოსახლების პროცესი როგორ იმოქმედებდა მის შვილზე და მასზეც, როგორი მძიმე ტრავმა მიადგებოდათ. გიორგი გაბუნია კი ამშვიდებდა, რომ სასამართლოს გამოსახლების დადგენილების მიღების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ ქონება დანაშაულებრივი გზითაა შეძენილიო. ყაურმოვნას დაავიწყდა, რომ მისი ნაძირალა, გარეწარი ქმრის მეთაურობით ხდებოდა სწორედ რვა წლის განმავლობაში ათიათასობით უდანაშაულო ადამიანების დაყაჩაღება ისე, რომ ოჯახს ნათლობის ჯვრებსაც არ უტოვებდნენ. შემდეგ დაპატიმრება, შვილების თვალწინ მშობლების წამება, დამცირება და მშობლების თანდასწრებით ცრუ ჩვენების და ქონების მისაღებად, შვილების და მეუღლეების გაუპატიურება და დამცირება და უამრავი ბინძური მეთოდით ქართველი ხალხის დათრგუნვა და დაჩმორება. თუ ეს ყველაფერი სანდრასთვის და მისი მხარდამჭერებისთვის სიკეთეა, მათ შორის, „რუსთავი-2“–სთვის, არ მოაკლდეთ სანდრასეული სიკეთე მათი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე.

სოციალურ ქსელში ექსლედის მისამართით არაერთი ბრალდება ვრცელდება. უმეტესობა მის სამედიცინო „მოღვაწეობას“ ეხება. ავტორის ცნობით, პროკურატურასაც არაერთხელ მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ! სააკაშვილის ზეობის პერიოდში პროფესიონალი ექიმები ღუდუშაურის კლინიკიდანაც გამოაძევეს. 2010 წელს, როცა ღუდუშაურის კლინიკა გაიყიდა, ცნობილ პროფესორებს და საუკეთესო სპეციალისტებს იქიდან წამოსვლა მოუხდათ. ახალ მეპატრონესთანაც იყო დაპირისპირება, აღნიშნული ფაქტი იმ პერიოდში

მედიის საშუალებითაც გაშუქდა. აი, რას წერს კლინიკის ერთ–ერთი თანამშრომელი: „ერთადერთი კაცი, ვინც გაპროტესტება გაბედა, გახლდათ პროფესორი მერაბ კილაძე, თუმცა, არაფერი შეცვლილა და კლინიკიდან ყველა წავიდა, უფრო სწორად, გაყარეს, თან ისეთი ბრძანებით, რომ კლინიკის პერიმეტრზე შემოსვლაც კი ეკრძალებოდათ. ამ კლინიკის მფლობელი გახდა ვინმე ქებურია...მოკლედ, გაიყიდა კლინიკა და გამოყარეს უმაგრესი სპეციალისტები! გაყიდვის შემდეგ „სტოსი“ მიჰყავდა სანდრას, დაქალობდა იმდროინდელ დირექტორებთან და რასაც ეტყოდა, იმას უსრულებდნენ... რაც კლინიკაში ხდებოდა, ეს უკვე დაუჯერებელია, იქ მოჰყავდათ ციხიდან ხალხი, ვითომ სამკურნალოდ, სინამდვილეში ცემით დალეწილები. ამის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლებოდა, არც კითხვის დასმა არავისთვის! შემოდიოდა სულ მცირე 50-70 ნიღბიანი სპეცრაზმელი ყოველდღე...და ყოველდღე იხოცებოდნენ პატიმრები, საკმაოდ ბლომად! ხშირად კი არა და, ყოველდღე იქ იყო ეს ქალბატონი, სანდრა რულოვსი, მოღიმარი და გაბრწყინებული. მაშინ მე კიდევ არ ვიცოდი მათი ვერაგობის შესახებ...მეგონა, მთავრობას ეს რომ გაეგო, არ აპატიებდნენ ციხის უფროსებს და მიხაროდა, იქნებ ეს ქალი დაინტერესდეს ამათი ამბებით-მეთქი. არა, პირიქით,მას უხაროდა, რამდენი მეტი ბიჭი კვდებოდა! ეს ქალი უფრო საშიშია, ვიდრე ზედაპირულად ჩანს... სადაც მივიდა, ისე გველურად დაშალა ყველაფერი, ვერავინ აზრზე ვერ მოვიდა. ეხლაც ეგეთებს იზამს. ქართველები 50 ლარს ხრამში გადაჰყვებიან.“ პატიმრები (ქალებიც და მამაკაცებიც) რომ ღუდუშაურის კლინიკის ხშირი „სტუმრები“ იყვნენ, მეც ვადასტურებ, თუმცა იქიდან დაბრუნებული „ნამკურნალები“ არავინ მინახავს. რასაკვირველია, იქ, სადაც სანდრა „გრიმიტობდა“, ფულის გათეთრებასაც ექნებოდა ადგილი და ბევრ სხვა უკანონო ქმედებასაც... ამბობენ, სანდრა ბავშვობაში წიგნის დაწერაზე ოცნებობდა, ზოგჯერ ოცნებები ხდება მან „დიდობაში“ დაწერა წიგნი „იდეალისტის ნაამბობი“. საქართველოში ინტეგრირებულმა და დისტანცირებულმა ლედიმ არსებული სიტუაცია ასე შეაფასა:

„აქ ნაკლებად ფიქრობენ მომავალზე, ადამიანი იმას სჯერდება, რაც ეძლევა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ მდგომარეობასა და სტატუსს. თუ ფული გაუჩნდათ, მაშინვე მოდურ ტანსაცმელსა და ძვირფას საათებს ყიდულობენ, იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ, მაგალითად, დაზიანებული ჭერი შეაკეთონ. ამგვარი გარეგნული სტატუსი არასტაბილურია, რადგან მის მიღმა მოსახლეობის უმეტესობას არაფერი აბადია. შეიძლება ზოგადად ითქვას, რომ ქართველებს უკიდურესობებს შორის უყვართ ბალანსირება. არიან ფატალისტურად მომართულნი, ხელგაშლილები და სტუმართმოყვარეები“. საინტერესოა „ლედის განმარტება“, რატომ ისწავლა მეგრული. „მეგრული ისწავლა იმიტომ, რომ 5–მილიონიანი საქართველოს მოსახლეობის ერთ მეოთხედს მეგრელები შეადგენენ და ის თავის სოციალურ ვალდებულებად თვლის, იცოდეს ამ ხალხის ენა და მათ თავიანთ ენაზე ელაპარაკოს.“ არადა სანდრამ მეგრული და მედიცინა ერთ დონეზე იცის. თუმცა ნამდვილად განსწავლულია ხალხის დაბოლებასა და სისულელეების შთაგონებაში. წიგნში ავტორი საიდუმლოს გვიმხელს, რატომ რჩებოდა მისი ყურადღების მიღმა ქუჩაში თუ ციხე-კოლონიაში ჩახოცილი ადამიანები: „ხანდახან ვფიქრობ, რომ ამ ქვეყნის ბევრი მაცხოვრებელი არ იმსახურებს იცხოვროს ამ სამოთხეში, რადგან მათ არ ყოფნით სურვილი და გული თანამედროვე პროგრესული საქართველოს განვითარებისთვის“, – ეტყობა, რეჟიმს შეწირულები არ იმსახურებდნენ „სანდრას სამოთხეს“... პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, მიშას სიდედრმა 48000–დოლარიანი იაგუარი უყიდა. სანდრას კომენტარი კი ასეთია, მიშა იმსახურებს ასეთ ავტომანქანას, რადგან საქართველოში ასეთი ჭკვიანი და ინტელექტუალური მამაკაცი არცთუ ბევრია! წიგნიდან გულისამაჩუყებელი ფაქტი ხდება ცნობილი: „მიშა დარწმუნებული იყო, რომ ის ერთადერთი იმედი გახლდათ ამ ქვეყნის, მეც დარწმუნებული ვიყავი.

ოჯახი რომ პირობითად ქვია ამ ორი აგენტის კავშირს, აღარც ესაა საიდუმლო და არც ის, რომ გაშიფრულ–გაბანძებული აგენტები ცუდად ამთავრებენ ცხოვრებას. თუმცა სულ სხვაა დავალება უკანასკნელი, რომელიც სანდრამ უნდა შეასრულოს. მიშა და სანდრა დღეს სოლო პოლიტიკურ კონცერტს მართავენ, ერთი – უკრაინაში მეორე – ზუგდიდში. არადა, უკრაინის და საქართველოს ბედისწერის წიგნიც იქ, სადღაც აშშ–ში დაიწერა...

„ცერეუს“ სპეციალისტებმა სხვა სპეცსამსახურებისთვისაც ნაცნობი სქემით შეადგინეს გეგმა, როგორ ექციათ დამწყები დიპლომატი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ლიდერ-ბელადად. გეგმის დიდი ნაწილის რეალიზაციისთვის გამოიყენეს შენიღბული ცრუ-ს აგენტი სანდრა რულოვსი, რომელსაც მიშას „შებმა“ და მის ცხოვრებაში აქტიურად შედწევა დაევალა. სანდრამ დავალება ბრწყინვალედ შეასრულა... სანდრამ გააცნო მიხეილს თავის „შეფი“ რო-

ბერტ სკოტომ ხორტონი, ცრუ-ს რეზიდენტი, რომელიც ესენგეს ქვეყნებს კურირებდა, ასევე კურირებდა „პეტერსონის“ ყველა პროექტს ესენგეს ქვეყნებში. ხორტონმა „პოპულარულ“ ენაზე აუხსნა ის პერსპექტივები, რაც მას გამოცდილ–განსწავლული სანდრას „ქოლგის ქვეშ“ ელოდა, მიხეილმა ყველაფერი გაიგო და მიხვდა, ამ თამაშში მას განუსაზღვრელი შესაძლებლობები ეძლეოდა ოკეანის გაღმელებისგან და ასევე, მათი მფარველობით მწვანე გაკაფული გზა დიდი პოლიტიკისკენ მის განკარგულებაში იქნებოდა... აღსანიშნავია, რომ „პეტერსონ ბელქნაფის“ფირმა, ფაქტობრივად, შირმა იყო, სინამდვილეში კი ცერეუ-ს დავალებით აწარმოებდა სნგ-ს დაზვერვას და დივერსიას. ასევე მჭიდრო კავშირში იყო „ნაციონალურ დემოკრატიულ ინსტიტუტთან“ (ენდიაი) ფერადი რევოლუციების შემოქმედთან და სულის ჩამდგმელთან. ასევე „ენდიაი“ ხელმძღვანელ მადლენ ოლბრაიტს ეხმარებოდა „პრობლემური ქვეყნების“ რევოლუციის და გადატრიალების მოსაწყობად შესაფერისი კადრების მოძიებაში. სარწმუნო წყაროს ცნობით, „კმარას“ „ნაციონალური მოძრაობის“ორგანიზაციულ

და იურიდიულ საკითხებს სანდრა უზრუნველყოფდა, ტექნიკური შემსრულებელი კი მიშა გახლდათ. მოძრაობა „კმარას“ გამოჩენა საქართველოში ქართულ საზოგადოებას ერთგვარად ყურადღების მიღმა დარჩა. არადა, ამ მოძრაობის გააქტიურება კარგად გათვლილი და აპრობირებული სცენარის შემადგენელი ნაწილი იყო, რომელსაც “კმარას” იდეოლოგები და დამფინანსებლები აქტიურად ახორციელებენ პოსტსაბჭოურ სივრცეში. მოძრაობის მიზანი თითქოს ხელისუფლების შეცვლა იყო დემოკრატიული გზით, ოღონდ არა არჩევნებით, არამედ მასობრივი საპროტესტო გამოსვლებით, სამოქალაქო დაუმორჩილებლობით, პიკეტით, გაფიცვით და ა.შ. ხელისუფლების ამ გზით შეცვლას მივყავართ სამოქალაქო დაპირისპირებამდე, რის შედეგადაც უნდა გაიმარჯვოს ძალამ, რომელიც მზად იქნება, საკუთარი ეროვნული ფასეულობების დათმობის ხარჯზე განახორციელოს მსოფლიოს გლობალური გაერთიანების ავტორთა სტრატეგიული მიზნები არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. ამ საზოგადოებას საკმაო ხანი ამზადებდნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის (გაიხსენეთ „ნაცმოძრაობის“ სარეკლამო საარჩევნო ლოზუნგი „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსათვის“) ცნობილი ქველმოქმედი ჯორჯ სოროსი, რომლის აქტიური ქმედებები, შესაძლოა, უბრალოდ, ფასადზე გამოჩენისათვის იყოს გათვლილი. თუმცა ძირითადი მიზნები ფასადზეც ადვილად იკითხება. სოროსის კავშირი NDI-სთან (ნაციონალური დემოკრატიული ინსტიტუტი) საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. NDI-მ დააფინანსა “სამართლიანი არჩევნების” მიერ ხმების პარალელური დათვლის პროცესი, რომელიც ბეიკერის გეგმის მიხედვით, ლამის კანონის დონეზე იყო აყვანილი, და რომლის შედეგების გამოქვეყნებამაც ბიძგი მისცა მასობრივ საპროტესტო აქციებს თბილისში 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ.

ამ აქციების ძირითადი სცენარში სწორედ მოძრაობა “კმარას” ეჭირა საკმაო ადგილი, რადგან საზოგადოების შედარებით აპოლიტიკური, ამავე დროს, გამოუცდელი ნაწილის – ახალგაზრდობის მართვა ამ პროცესში გაცილებით ეფექტურია, რადგან საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების უნიათობის წყალობით, ამბოხების განცდა ქართულ საზოგადოებაში და განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, ძალიან მაღალი იყო. ასევე სანდრა ორგანიზატორობდა უკრაინის ფერადი რევოლუციის ორგანიზაციულ საკითხებს. ვიქტორ იუშენკოს მეუღლის და სანდრას ფესვებიც სადღაც აშშ-ი იყო გადახლართული. თუმცა მათი ფუნქციები და ამოცანები უკავშირდებოდა აღნიშნული ტრანსნაციონალური კომპანიის მიზნებს. ზუსტად აღნიშნული კომპანია უწევდა კოორდინაციას უკრაინის და საქართველოს ფერად რევოლუციებს. სანდრა აკონტროლებდა მიშას და ის არგებდა მას გამოგონილ გმირულ ისტორიებს, „დემოკრატიისთვის და თავისუფლებისთვის მებრძოლი რაინდი“ კურატორების და ცოლის დავალებას პირნათლად ასრულებდა. 2003 წელს „მათი“ დაჟინებული თხოვნით მყისვე ჩამოიშორა შევარდნაძე თავის გუნდთან ერთად...სანდრა იყო მიშას მამოძრავებელი ძალა, ის ზრუნავდა მიშას იმიჯზეც. აგრეთვე კონსულტაციებს გადიოდა დასავლელ პოლიტიკოსებთან და ბიზმესმენებთან მათი ინტერესის საქართველოში, უკრაინაში და კავკასიაში გასატარებლად.პირველ რიგში, მისი ინტერესი იყო ნავთობი და გაზის პროექტები „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი“, „ბაქო-თბილისი-ერზუმი“, ასევე ამბიციური ევროპულ თურქული პროექტი „ნაბუქო“. მოკლედ, ცერეუ-ს და აშშ-ს სანდრა პირნათლად ემსახურებოდა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 1990 წელს „პეტერსონ ბელქნაფი“ მოსკოვში „ბინადრობდა“. ალბათ, აღნიშნულ წლებში შესაფერისი ნიადაგი იქაც იყო..

„პეტერსონ ბელკნაფის“ ინტერესთა სხვა სფეროებშიც აშკარად იკვეთება სააკაშვილის ინტერესები, რომელიც სხვადასხვა უმსხვილესი საწარმოების გაკოტრებასა და სახელმწიფოსათვის მილიონობით ზარალის მიყენებას ეხება.

1999-2001 წლებში ანტიკორუფციული საგამოძიებო ჯგუფი აღნიშნავდა, რომ სააკაშვილის კლანის მიერ საქართველოდან გაზიდული მილიონები სხვადასხვა ფონდების გავლით უკან გრანტების სახით ბრუნდებოდა და ამ კლანის პოლიტიკურ ინტერესებს ხმარდებოდა. მოკვლეული დოკუმენტები პროკურატურასაც გადაეცა, მაგრამ მიხეილს

„პეტერსონ ბელქნაფის“ საინფორმაციო გვერდში აღარ არის სააკაშვილის გვარი. თუმცა იგი მაინც შემორჩენილია ერთ-ერთ გვერდზე, ფირმის დსთ-ის ქვეყნებსა და ფილიალებში საკონტაქტო პირების ჩამონათვალში. საკონტაქტო პირებად კი საქართველოში მიხეილ სააკაშვილი, კონსტანტინე რიჟინაშვილი და გიორგი ბაზღაძე წერია.

სააკაშვილის არც ერთ ოფიციალურ ბიოგრაფიაში ფირმა „ჯი-სი-ჯი“-ს დამფუძნებლობა არსად წერია და საერთოდაც, ეს ფირმა სააკაშვილის „გამჭირვალე“ ცხოვრებაში ნახსენებიც არ არის. 1968 წელს ბჟეზინსკი წერდა: „ჩვენი ეპოქა არა მხოლოდ რევოლუციურია, არამედ ჩვენ შევედით კაცობრიობის ისტორიის ახალ მეტამორფოზულ ფაზაში. სამყარო ტრანსფორმირების წინაშე დგას, რომელიც ისტორიული და ადამიანური შედეგებით უფრო დრამატული იქნება, ვიდრე საფრანგეთისა და ბოლშევიკური რევოლუცია. 2000 წელს აღიარებენ, რომ რობესპიერი და ლენინი ლიბერალი რეფორმატორები იყვნენ.“

2000 წლისთვის მსოფლიო რევოლუციის გამარჯვების პროგნოზირებით ბჟეზინსკი აშკარად შეცდა. თუმცა იდეოლოგიურ პროექტს, რომელზეც საუბარი მიდის, იმდენად ტოტალური ხასიათი აქვს, რომ მისი გამტარებლებისათვის პროგნოზის დროში ცდომილებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს – ისევე, როგორც მსოფლიოში კომუნიზმისა და ნაციზმის დამყარების იდეოლოგებს.

გლობალიზაცია მოწოდებულია, მოახდინოს მსოფლიოს უდიდესი ნაწილის ტრანსფორმაცია სტანდარტიზირებულ მოდელში, რომელსაც თავისი ცხოვრებისეული იდეალები, მასკულტურა და ფასეულობები გააჩნია.

„მე მსურს, ამ იდეას მოვუპოვო საკმარისი მხარდამჭერები, რათა მისი განხორციელება რეალობაში შევძლო“, – აცხადებდა ჯორჯ სოროსი და საქართველოში იუგოსლავიის „ოტპორის“ პროტოტიპს აყალიბებს მოძრაობა „კმარას“ სახით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, მას საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე ზეგავლენა ანდა ინფორმაციულ ბაზაზე ხელმისაწვდომობა ჰქონდა. ეს ინფორმაცია ეხებოდა ადამიანებს, ორგანიზაციებს, ინსტიტუტებს, ფონდებს, ბიზნეს ორგანიზაციებს, ბანკებს, ინფორმაციულ ბაზებს, ბიბლიოთეკებს, ინტერნეტ ბაზებს, ბეჭდვითი მედიის ბაზებს, ელექტრონულ ბაზებს, ბიბლიოგრაფიულ ბაზებს, ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას

ძლიერი რეგიონები

საჩხერე

საჩხერის 6 სოფლის 5 ათასი ოჯახი სასმელი წყლით უზრუნველყოფილი იქნება

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი მალხაზ ბაზაძე „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრის“ წარმომადგენლებს შეხვდა. აღნიშნულმა კომპანიამ სარეკი-ბაჯითისა და საირხე ჭორვილის წყალმომარაგებისთვის გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა. ეს პროექტი მოძვი-ჯალაურთის მოსახლეობასაც შეეხება.

შეხვედრაზე, რომელსაც აღნიშნულ სოფლებში გამგებლის წარმომადგენლები და შესაბამისი სამსახურის უფროსები ესწრებოდნენ, სწორედ პროექტთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

სარეკი-ბაჯითის, საირხე-ჭორვილისა და მოძვი-ჯალაურთის წყალმომარაგების პროექტის დასრულების შემდეგ 5 000 ოჯახი სასმელი წყლით იქნება უზრუნველყოფილი.

თელავის მერმა მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა

თელავში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრისა და ცენტრალური ბიბლიოთეკის მისასვლელი გზის რეაბლიტაცია მიმდინარეობს. ქალაქ თელავის მერი პლატონ კალმახელიძე და ვიცე-მერი თენგიზ მთვარელიშვილი სამუშაო პროცესს გაეცნენ.

აქამდე არსებული დაზიანებული ტრავერტინის ფილები დისკომფორტს უქმნიდა ფეხით მოსიარულეებს, და მათ შორის ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, რომელთა შეფასებებიც ქალაქის მერმა უშუალოდ მოისმინა. ტრავერტინის ნაცვლად ბაზალტის ქვაფენილი იგება.

მუნიციპალური განვითარების ფონდის შეხვედრა მოსახლეობასთან

6. სულხანიშვილის სახელობის თელავის სამუსიკო სასწავლებლის დარბაზში მუნიციპალური განვითარების ფონდმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა. მათ ქალაქ თელავსა და თვითმმართველ თემში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები წარმოადგინეს:

1. „თელავის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა და კოლექტორი“ (ბიუჯეტი 17 მილიონი ლარი, სამუშაოების განხორციელების ვადა 1,5 წელი);

2. „თელავის ხევის რეაბილიტაცია“ (ბიუჯეტი 2 მილიონი ლარი, სამუშაოების განხორციელების ვადა 6 თვე);

3. „უსახელო ხევის რეაბილიტაცია“ (ბიუჯეტი 2 მილიონი ლარი, სამუშაოების განხორციელების ვადა - 9 თვე).

პრეზენტაციის მსვლელობისას, შეკრებილ საზოგადოებასთან ერთად აღნიშნული პროექტების მნიშვნელობაზე ისაუბრეს თვითმმართველი თემის, თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ დავით ნაპირელმა და ქალაქ თელავის მერმა პლატონ კალმახელიძემ.

თელავი

გურჯაანში C ჰეპატიტის უფასო სკრინინგის აქცია გაიმართა

საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის გეგმის ფარგლებში, „სკრინინგული კვლევებისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №1974 განკარგულების საფუძველზე დამტკიცებული საყოველთაო სკრინინგის ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობა ეძლევა ჩაიტაროს უფასო სკრინინგი dksjec-ის ცენტრის ლაბორატორიებში.

ამ პროგრამის ფარგლებში, ქართულ ფრანგულ სამედიცინო ცენტრ „კახეთი-იონში“ მოსახლეობის უფასო სკრინინგის პროცესში ყველა მსურველს შეუძლია მონაწილეობის მიღება.

გურჯაანის გარდა C ჰეპატიტის უფასო სკრინინგის აქციები ჩატარდა ველისციხის, კარდენახისა და კაჭრეთის ამბულატორიებში.

სიღნაღი – სოფელ ჯუგაანში საბავშვო ბაღი შენდება

სოფელში საბავშვო ბაღის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. სულ მალე 75 ბავშვზე გათვლილი ევროსტანდარტების შესაბამისი შენობა აღსაზრდელებს მიიღებს.

შეგახსენებთ, ჯუგაანში საბავშვო ბაღისთვის განკუთვნილი შენობის არარსებობის გამო, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება რამდენიმე წლის განმავლობაში კერძო სახლში ფუნქციონირებდა.

საბავშვო ბაღის მშენებლობა რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა და მასზე 340 000 ლარი დაიხარჯა.

12 რეგიონული საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია დასრულდა

ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა, საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში, 12 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია დაასრულა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა ბებნისის, გორის №5, ზერტის, თიანეთის №1, ოკამის, საქაშეთის, სკრის, ტინისხიდის, ტყვიავის, ფხვენისის, ძეგვისა და ხიდისთავის საჯარო სკოლების საერთო სარგებლობის ობიექტებისა და კომუნიკაციების რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია.

პირველი სარეაბილიტაციო სეზონი მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში 30-მდე საჯარო სკოლას მოიცავს, ხოლო 100-მდე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია იგეგმება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

პროექტი ხორციელდება აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის

სიღნაღი

დაფინანსებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით.

ფოთისა და ანაკლიის პორტების ძირითად მაგისტრალებთან დამაკავშირებელი გზები აშენდება

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ქვეყნის სივრცითი მოწყობის პროექტის პრეზენტაციაზე განაცხადა. პრემიერის განმარტებით, სამტრედია-ზუგდიდის შემოვლითი გზა ანაკლიის პორტის გათვალისწინებით აშენდება და მისი სიგრძე 90 კილომეტრი იქნება, ასევე აშენდება ფოთი-გრიგოლეთის დამაკავშირებელი 24-კილომეტრიანი ახალი მაგისტრალი.

ამჟამად არსებული ორზოლიანი გზების ჩქაროსნულ ავტომაგისტრალებად მოდერნიზაციის შემდეგ გადაადგილების სიჩქარეები საშუალოდ 80-100 პროცენტით გაიზრდება, მგზავრობის დრო 2-ჯერ შემცირდება, ხოლო გამტარუნარიანობა 4-ჯერ გაიზრდება.

ქვეყნის სივრცითი მოწყობის პროექტის განხორციელების შემდეგ, წითელი ხიდი-ანაკლიის გზაზე მგზავრობის დრო შემცირდება 2,5 საათით; წითელი ხიდი-ფოთი — 1,5 საათით; სადახლო-ანაკლია — 3 საათით; სადახლო-ფოთის, ლაგოდეხი-ანაკლიისა და ლაგოდეხი-ფოთის გზაზე კი — 2,5-2,5 საათით.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, 2020 წლის ჩათვლით დაგეგმილია 1000-კილომეტრამდე საავტომობილო გზის მშენებლობა-რეკონსტრუქცია, რომლის სავარაუდო ღირებულება დაახლოებით 3,5 მილიარდ დოლარს შეადგენს, მათ შორის იგეგმება 550 კმ ავტომაგისტრალის მშენებლობა, ასევე, 800 კილომეტრამდე გზის რეაბილიტაცია. იგეგმება 300-მდე სახიდე გადასასვლელისა და 50 საავტომობილო გვირაბის მშენებლობა. სივრცითი მოწყობა ასევე ითვალისწინებს რკინიგზის სადგურების, პორტებისა და აეროპორტების აშენებასა და რეაბილიტაციას, არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და ახლის შექმნას. პრემიერის განმარტებით საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნის პროცესში ყოველწლიურად 30-40 ათასი კაცი დასაქმდება.

მარტვილის მუნიციპალიტეტში

მარტვილის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მუნიციპალიტეტის გამგებელმა ალექსანდრე გრიგალავამ გამგეობის სამსახურების ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა და დასაქმებულ მუშახელსა და მოსახლეობას გაესაუბრა.

„მარტვილის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურული სამუშაოები სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს. ინტენსიურად ხორციელდება გზების, ხიდების, მილხიდების, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტები წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. ვხრუნავთ, რომ სამუშაოები დროულად და ხარისხიანად შესრულდეს“, — აღნიშნა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ალექსანდრე გრიგალავამ.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განსახორციელებ-

ძლიერი საქართველოსთვის


მარტვილი

ლად საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №54 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მარტვილის მუნიციპალიტეტისთვის 985 257 ლარი გამოყო. ეს თანხა კომლთა რაოდენობის მიხედვით გადანაწილდა 21 ადმინისტრაციული ერთეულის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტის აღდგენა-რეაბილიტაციისთვის.

2015 წლის 30 ნოემბერს დაიწყო და 5 დეკემბრამდე გაგრძელდა მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2016 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ შესასრულებელი სამუშაოების განხილვა. ყველა სოფელში გაიმართა კრება, რომლის მიზანი მოსახლეობის ფართო ჩართულობა და პრიორიტეტების გამოვლენა იყო. შეხვედრები მიმდინარეობდა გრაფიკის მიხედვით, მონაწილეობდა ნებისმიერი დაინტერესებული პირი.

აღნიშნული პროგრამით განსახილველ საერთო კრებებზე მოსახლეობის წინადადებებიდან შეირჩა პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

აფხაზეთში დაღუპული მებრძოლი სენაკში სამხედრო პატივით დაკრძალეს

იოანე ნათლისმცემლის სახელობის სენაკის საკათედრო ტაძარში პატივი მიაგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული მებრძოლის, ოთარ გოგოხიას ხსოვნას.

სამგლოვიარო ცერემონიას სენაკის საკათედრო ტაძარში ესწრებოდნენ დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მანანა კობახიძე, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი ლევან შონია, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა დგებუაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ჯუმბერ ლაშქარავა, სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის სარდლობა, სამინისტროს, გუბერნიის ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, სენაკის საზოგადოება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მებრძოლი ოთარ გოგოხია 1993 წელს აფხაზეთში, სოფელ აჩადარასთან, საომარი მოქმედებების დროს დაიღუპა. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით. აფხაზეთის ომში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისას დაღუპული მებრძოლი თეკლათის სასაფლაოზე, სამხედრო პატივით დაკრძალეს.

სენაკი

უფასო სამედიცინო გამოკვლევები წალენჯიხაში

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, აფხაზეთის მთავრობის ინიციატივითა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, თბილისის წამყვანი კლინიკების ექიმთა ჯგუფმა მოქალაქეებს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარა.

ექიმთა ჯგუფი (კარდიოლოგები, ნევროლოგები, ენდოკრინოლოგები, ოფთალმოლოგები, გინეკოლოგები, ქირურგები, ოტოლარინგოლოგები, დერმატოლოგები) თავდაპირველად იმყოფებოდა ჯვარში, შემდეგ კი გამოკვლევები მიმდინარეობდა წალენჯიხის კლინიკურ-დიაგნოსტიკურ ცენტრ „ლასტანში“.

ადიგენის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტები

აქტიურად მიმდინარეობს სკოლის მშენებლობა სოფელ არალში. 200 მოსწავლეზე გათვლილ თანამედროვე სტანდარტების სკოლას კეთილმოწყობილი კლასები, სასწავლო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, სპორტული და საქტო დარბაზები ექნება, სკოლის მოსწავლეები ისარგებლებენ ღია სპორტული მოედნითაც. სკოლა ასევე უზრუნველყოფილი იქნება გათბობის სისტემითა და ახალი სასკოლო ინვენტარით. შეგახსენებთ, რომ წლების განმავლობაში სოფელ არალში სასწავლო პროცესი ავარიულ შენობაში მიმდინარეობდა.

ადიგენი

დასასრულს უახლოვდება სოფელ ლელოვანში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები. საბავშვო ბაღის შენობა განკუთვნილია ორი საბავშვო ჯგუფისთვის. პროექტის შესასრულებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 114 184 ლარი გამოიყო. აღსანიშნავია, რომ სოფელ ლელოვანში და მიმდებარე სოფლებში საბავშვო ბაღი წლების განმავლობაში არ ფუნქციონირებდა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო არქევანში სახელმწიფო პროგრამის — „აწარმოე საქართველოში“ — ფარგლებში მინერალური პროდუქტების მწარმოებელი საწარმოს მშენებლობისთვის სახელმწიფო კომპანიას, სიმბოლურ ფასად, საკუთრებაში 10 650 კვ. მ მიწის ნაკვეთი გადაეცემა.

ბოლნისს კიდევ ერთი განახლებული სკვერი შეემატება-მუსიკალური სკოლის ტერიტორიაზე არსებულ სკვერს რეაბილიტაცია უტარდება

ზაურ ხუჯაძის სახელობის სამუსიკო სკოლისა და კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სკვერი მალე ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი იქნება. სკვერში სარეაბილიტაციო სამუშაოები თვეზე მეტია მიმდინარეობს. დაიგება ბაზალტის ფილები, მოეწყობა სკამები, მწვანე ზონა და მინიატრაქციონები. სკვერში დასვენება სასიამოვნო გახდება პატარებისთვისაც. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ამორტიზებული ქვაფენილი უკვე აიღო და ამ ეტაპზე ზედაპირის მოპირკეთების სამუშაოები მიმდინარეობს. ობიექტზე ადგილობრივი მუშახელია დასაქმებული. სექტემბრის ბოლოსთვის ბოლნისს კეთილმოწყობილი სკვერი შეემატება.

სარეაბილიტაციო ცენტრი დმანისში

დმანისში სასწავლო და სარეაბილიტაციო სამედიცინო დაწესებულების მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. ცერემონიას ამერიკის ელჩი ესწრებოდა.

„დაწესებულება ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებისა და ავადმყოფებისთვის, ასევე ჯარისკაცებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის იქნება განკუთვნილი. სამედიცინო ცენტრი წელიწადში შვიდას ადამიანს მოემსახურება. პროექტს ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია დმანისის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ახორციელებს“, — განაცხადა დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგი ბარბაქაძემ.

ქედის სასწრაფო სამედიცინო ცენტრს ახალი შენობა გადაეცა

ქედის მუნიციპალიტეტის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონულ ცენტრს ახალი ადმინისტრაციული შენობა ოფიციალურად გადაეცა. ცენტრს გარემონტებული ფართი მუნიციპალიტეტმა გამოუყო, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 50 000 ლარამდე დაიხარჯა. 90 კვ. მ. ფართობზე ცენტრის 26 თანამშრომლისთვის სამუშაო და მოსასვენებელი ოთახებია მოწყობილი, გათვალისწინებულია აგრეთვე სამედიცინო სახარჯი მასალის შესანახი სივრცეც. ოფისი ცენტრის ადმინისტრაციამ საყოფაცხოვრებო და კომპიუტერული ინვენტარით სრულად აღჭურვა.

შუახევი — ინფრასტრუქტურული პროექტები ხიმშიაშვილის ქუჩაზე

ს. ხიმშიაშვილის ქ. №4-ში სახლის საძირკვლის გამაგრებითი და ფერდასამაგრი სამუშაოები მიმდინარეობს. 21-მეტრიან მონაკვეთზე საყრდენი კედლის ჩამოსხმისა და სახლის საძირკვლის გამაგრებისთვის 15 484 ლარი დაიხარჯება. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები ოქტომბრის დასაწყისში უნდა დასრულდეს.

მიმდინარე სამუშაოებს მუნიციპალიტეტის გამგებელი ტარიელ ებრალიძე გამგებლის პირველ მოადგილე ავთანდილ დიასამიძესა და ინფრასტრუქტურული ღონისძიებების მიმღები კომისიის წევრებთან ერთად გაეცნო.

შუახევი

ქართველი „შაჰიდი“ ქალბატონები

25 წელია (ცოტათი მეტი), საქართველოს ერთი დიდი პრობლემა აქვს — ესაა უკიდურესად აგრესიული ქალბატონების საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასის ზღვარგადასული აქტიურობა პოლიტიკურ პროცესებში.

აქტიურობას ვერავის დავუშლით და, მათ შორის, ვერ დავუშლით ვერც ამ ქალბატონებს, მაგრამ, როცა ეს აქტიურობა საზოგადოებისა და პოლიტიკური პროცესების, საბოლოო ჯამში კი სახელმწიფოს ნორმალურ განვითარებას უშლის ხელს, ამ თემაზე საუბარი, ჩვენი აზრით, აუცილებელია.

არავის ვაყენებთ შეურაცხყოფას, არავის არ ვაკნინებთ და არ ვამცირებთ, მაგრამ როცა ამ ეგზალტირებული ადამიანების ქმედებები სახელმწიფოს უქმნის საფრთხეს, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში გაჩუმება და პრობლემის მიფუჩეჩების მცდელობა ყოვლად გაუმართლებელია.

ამასწინათ ერთმა ზუგდიდელმა კაცმა შემომჩივლა: — მრცხვენია, რომ ჩემს კუთხეში ასეთი ამბები ხდება. მრცხვენია, რომ სანდრა რულოვსს და მის ბანდას, „ნაცმოძრაობას“, სამეგრელოში ვიღაც-ვიღაცები ყვავილებით და სიყვარულის გამომხატველი შეძახილებით ხვდებიან. საქმეში ჩაუხედავმა კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ მთელი სამეგრელოა ასე განწყობილი, რაც სრული სიცრუეა. ესაა, ძირითადად, ფოჩო-ფოჩო და ტვინგა-ტვინგა დედაკაცების მასა, რომლებსაც ვიღაცამ ისე მოუღრიცა ტვინი, ისე დააზომბირა, რომ არაფრის მოსმენა, არაფის გაგონება არ უნდათ. შეიძლება ცუდი შედარებაა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: ესენი რაღაცით ჰგვანან სპეციალურ ბანაკებში გაწვრთნილ შაჰიდ ქალებს, რომლებიც მზად არიან, თავი აიფეთქონ და ააფეთქონ სხვებიც.



ეს ჩვენი ქართველი „შაჰიდებიც“, ალაჰ-აკბარის ნცავლად სანდრა! სანდრას! რომ გაჰკივიან, თავიანთი საქციელით სიტუაციის აფეთქებას და ქვეყნის არევ-დარევას ემსახურებიან, თუმცა, არ არის გამორიცხული, მათ ეს ყველაფერი ბოლომდე არც ჰქონდეთ გაცნობიერებული. მე ისინი არ მძულს, მე ისინი მებრალებიან და მეცოდებიან, მაგრამ ჩემი კუთხეც, ჩემი სამეგრელოც მეცოდება ამათ ხელში და ამიტომ ვამბობ, რასაც ვამბობ.

არ შეიძლება, ამ ზუგდიდელი კაცის ნათქვამმა მწარედ არ დაგაფიქროს.

ფანატიზმი სახიფათო და საშიშია ყველგან და ყოველთვის, მაგრამ განსაკუთრებით საშიშია იგი, როცა ფანატიზმით შეპყრობილი ადამიანების მასა აქტიურად ერთვება პოლიტიკურ პროცესებში და თავისი რადიკალიზმით და ხაზგასმული აგრესიით გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მთელ საზოგადოებაზე.

ადამიანებზე ფსიქოლოგიური ზეწოლის, ადამიანების დაჰიპნოზების და მონუსხვის, ადამიანების ზომბირების ტექნოლოგია ისევე ძველია, როგორც კაცობრიობა, თუმცა, ამ ტექნოლოგიების მასშტაბები არნახულად გაიზარდა და გაფართოვდა მეოცე საუკუნეში, ხოლო 21-ე საუკუნის დასაწყისიდან, როცა საქმეში ჩერთო ინტერნეტი თავისი სოციალური ქსელით და კომუნიკაციის კიდევ სხვა საშუალებებით, ადამიანებზე ზემოქმედების მოხდენა და მათი მართვა კიდევ უფრო მარტივი და ადვილად მიღწევადი გახდა.

ძალიან ვრცელი და ფართო თემაა ეს და ამაზე ამომწურავ საუბარს აქ ვერ მოვახერხებთ, თუმცა, ვიტყვი ერთს: საერთაშორისო ინსტიტუტების და სპეცსამსახურების ლაბორატორებში გაწვრთნილი და დატრენინგებული „ნაცმოძრაობა“, რა თქმა უნდა, კარგად ფლობს ადამიანებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ტექნოლოგიებს და დღესაც ისეთივე წარმატებით იყენებს მათ, როგორც ხელისუფლებაში ყოფნის დროს (და მანამდეც) იყენებდა.

„ნაცმოძრაობა“, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ვერასოდეს მოიპოვებდა სიყვარულს და ავტორიტეტს საზოგადოების ასე თუ ისე წიგნიერ და განათლებულ ნაწილში, მთავარი აქცენტი მოსახლეობის იმ ფენაზე გააკეთა, რომელიც ნაკლებად ინფორმირებულია, ნაკლებად განათლებულია და, აქედან გამომდინარე, ადვილად ემორჩილება სხვადასხვა მანიპულაციებს.

როგორც ირკვევა, ადამიანთა ეს კატეგორია ჯერჯერობით საკმაოდ მრავალრიცხოვანია, ხოლო სახელმწიფო, საზოგადოება, ფაქტობრივად, არაფერს აკეთებს, მეტი ინფორმაცია მიაწოდოს ამ ადამიანებს, რომ მათთვის უფრო ადვილი გასაგები და ხელმისაწვდომი იყოს პოლიტიკის ბილინგვური ხასიათის ენა.

თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დააარსა.

წერა-კითხვა კი ვისწავლეთ, მაგრამ ახლა წაკითხულიდან თუ მოსმენილიდან სწორი აზრის გამოტანა გვიჭირს და ამ პრობლემის დაძლევაში საზოგადოებას ვიღაც თუ არ დაეხმარა, შეიძლება ეს ყველაფერი დროთა განმავლობაში სახელმწიფოსთვის სახიფათო მოვლენად იქცეს.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ 25 წელია (როგორც ზემოთ ვთქვით, ცოტა მეტიც...), სერიოზულ ძალად შეკრული ფანატიკოსთა და უბირთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი მთელი მონდომებით ცდილობს, გონიერ, ჭკვიან, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანთა ხმა გადაფაროს თავისი წეივილ-კივილით, თავისი აგრესიით და მაქსიმალიზმით.

ეს, ფაქტობრივად, გონიერების წინააღმდეგ, ანუ ქვეყნის მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული შანტაჟია.

დემოკრატიას ერთი დიდი მინუსი აქვს — სულელის თუ ჭკვიანის, გიჟის თუ ბრძენის ხმას ერთი წონა და ერთი ძალა აქვს და როდესაც ქვეყანაში უფრო მეტი გიჟი და სულელია, ვიდრე ჭკვიანი, გამოდის, რომ გადაწყვეტილებებს გიჟები და სულელები იღებენ, რომელთა გამოსწორებაზე მერე თავი ჭკვიანებმა უნდა იმტვრიონ.

გიორგი გამეზარდაშვილი

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სგ“ N15)

თეოლოგიური მითოლოგიის მიხედვით, კოლხეთი მზის ღმერთის, ჰელიოსის შვილის სამეფოა. ამ ჯაჭვის მიხედვით, კოლხეთის მეფის, აიეტის მამა ჰელიოსია, რომელიც მსოფლიოს ანათებს...

კოლხურ კოსმოგენურ ეპოსს ათასწლეულებია საიდანღაც მოაქვს, რომ ციური მნათობები, მზე და მთვარე მათი დედამაა, ვარსკვლავები კი მათი და-ძმა, რამაც გააჩინა ჰიპოთეზა (სხვა ყველაფერ ზემოთთქმულთან ერთად), თვით კოლხები ხომ არ იყვნენ იმ ხალხის პირდაპირი შთამომავლები რომლებიც „ციდან ჩამოვიდნენ“?

2011 წლის ივლისში საააგენტო „Reuters-მა“ სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა, რომ ციურიხში მდებარე გენეალოგიური კვლევების ცენტრმა iGENEA ტუტანჰამონის დნმ-ის კვლევის შედეგები გადასცა ეგვიპტელ კოლეგებს. აღმოჩნდა, რომ ეგვიპტის ფარაონი ტუტანჰამონი, ეგვიპტის მე-18 დინასტიის შთამომავალი, კავკასიელი, დიდი ალბათობით, ქართველი იყო. რა იყო იმის მიზეზი, რომ აღნიშნული კვლევის შედეგები მსოფლიო ფართო განსჯის საგანი არ გახდა, გასაგებია, მაგრამ თვით საქართველოში რომ წაუყრუეს, ეს უკვე გასაოცარია. არა მხოლოდ წაუყრუეს, საქილიკოც

კი გახადეს... ნებისმიერი ქვეყანა და ნებისმიერი ერი იამაყებდა ამგვარი აღმოჩენით, საქართველო კი კიდევ ერთხელ დამუნჯდა საკუთარ ისტორიაზე და მხოლოდ მას მერეღა დაიწყეს ოთხი წლის წინანდელი ინფორმაციის ფრიალი, თითქოს ახალთახალი ამბავი იყო, რაც რუსულმა მედიამ გაავრცელა. ესეც არაფერია... (ვრცლად იხილეთ „საერთო გაზეთის გამოშვებებში)

ეგვიპტის რესპუბლიკის სიძველეთა უმაღლესი საბჭოს გენერალური მდივნის ზაჰი ჰაავასის განცხადებით, ტუტანჰამონის მუმიის გაკვეთა განსაკუთრებული სიფრთხილით მიმდინარეობდა, რის შედეგადაც მუმია არ დაზიანებულა. დნმ-ის სინჯი აიღეს მარცხენა მხრისა და მარცხენა ფეხის ძვლოვანი ქსოვილიდან. მისი თქმით, მთავარი მიზანი იყო დადგენა და ნათელის მოფენა ფარაონის ოჯახის ნათესაური კავშირებისა, რომელიც ძალზე არეულია, საიდუმოებებითაა მოცული მრავალრიცხოვანი ინცესტების გამო. ფარაონის დნმ-ის ევროპელებთან შედარებამ დაადგინა, რომ მას ევროპელებთან გაცილებით მეტი საერთო ჰქონდა, ვიდრე ეგვიპტელებთან (1%). ბიოლოგების კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თანამედროვე ეგვიპტელები საერთო მასაში დეგრადირებული ფარაონის შთამომავლები კი არ არიან, პირიქით, არავითარი საერთო არ აქვთ თავიანთ უძველეს მმართველებთან.

ტუტანჰამონის მუმიის გაკვეთის მონაწილე მეცნიერმა რომან შოლცმა განაცხადა, რომ ეგვიპტელი ფარაონებისა და ევროპელი ადამიანების საერთო წინაპარი 9500 წლის წინ კავკასიაში ცხოვრობდა. დაახლოებით 7000 წლის უკან მათი პირდაპირი შთამომავლები განსახლდნენ ევროპაში, რაღაც ნაწილმა კი მიაღწია ეგვიპტემდე და შემდეგ „იბარტყა“ ფარაონებად...

გამოდის, რომ დაწყებული ტუტანჰამონის ბაბუის, ბაბუის ბაბუისგან და მისი ჩათვლით იყვნენ კავკასიელები. რაც შეეხება ევროპელებს, გენეტიკური თვალსაზრისით არცთუ ძლიერ დაშორებიან წინაპარ კავკასიელებს.

ტუტანჰამონის მუმიის გარდა მეცნიერებმა გამოიკვლიეს კიდევ 16 მუმიის დნმ და მათ შორის ახლო ნათესაური კავშირის დადგენას შეეცადნენ. დადასტურებულად აღმოჩნდა, რომ ტუტანჰამონი მართლა მამამისის, ეხნატონის შვილია და ამენჰოტეპ III-ის შვილიშვილი. მეცნიერებმა მიაკვლიეს ბებიას, თაიასაც, ეხნატონის დედას. დედის შესახებ ჯერჯერობით ინფორმაცია არ გავრცელებულა, ანუ უცნობია ვინ არის ქალის მუმია, ეხნატონის და თუ თვით ნეფერტიტი, მამის პირველი ცოლი.

აღნიშნული კვლევითი ცენტრის აზრით, აგროკულტურის განვითარებამ გამოიწვია ამ ჯგუფის ხალხების მიგრაცია კავკასიიდან ევროპაში, მაგრამ ვერ ხსნიან როგორ მოხვდნენ ტუტანჰამონის წინაპრები კავკასიიდან ეგვიპტეში.

არანაკლებ საინტერესოა თუთანქამონის ხანჯალი, რომელიც მისი სარკოფაგის გახსნისას აღმოაჩინეს. ტურინის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკის პროფესორი ფრანჩესკო პორჩელი, რომელიც ექსპერტიზაში იღებდა მონაწილეობას, აღნიშნავს, რომ 35 სმ სიგრძის ხანჯალი, რომელიც მუმიის სახვევებში აღმოაჩინეს, პოლემიკას იწვევდა სამეცნიერო წრეებში.

„ძველ ეგვიპტეში რკინის ნაკეთობები ცოტა იყო. ეს მასალა ოქროზე მეტად ფასობდა. საოცარია, რომ ადრე არავის მოუვიდა აზრად ამ შენადნობის ანალიზის გაკეთება. რენტგენის სხივების მეშვეობით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ხანჯლის მასალა 10% ნიკელს და 0,6% კობალტს შეიცავს. ამგვარი შენადნობი მეტეორიტებისთვის არის დამახასიათებელი. იმ ეპოქაში მისი ხელოვნური გზით მიღება ყოვლად შეუძლებელი იყო,“ — ამბობს პორჩელი.

მისი თქმით, მეცნიერებმა თუთანქამონის ხანჯლის შესახებ მხოლოდ 2010 წელს ეგვიპტის უდაბნოში მეტეორიტული კამილის კრატერის შემდეგ გაიხსენეს. „ციდან ჩამოვარდნილი რკინის“ შესახებ ერთ-ერთ ცნობილ ძველ ეგვიპტურ პაპირუსში წერია, მაგრამ ხანჯლის არამიწიერი წარმომავლობის შესახებ არავის უფიქრია. საინტერესოა, რომელი ცივილიზაციის წარმომადგენლის დამზადებული შეიძლება იყო მეტეორიტული, ანუ ციური მასალისგან ფარაონის ხანჯალი, მათივე ხომ არ არა, ვინც „ციდან მოსულები“ ან მათი დანატოვარები იყვნენ დედამიწაზე?

სხვათაშორის, უფოლოგები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ „ბიჭი“ (თუთანქამონი) უცხოპლანეტელების გენეტიკური კვლევების მსხვერპლად იქცა. ჰაავასმა დაადასტურა, რომ ასეთი სკანდალური ჰიპოტეზებიც არსებობდა, მაგრამ ისინი დაფუძნებული იყო მხოლოდ ფარაონის გარეგნულ დაკვირვებებზე და არა ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით. არ მგონია, თუთანქამონში რაიმე უცხოპლანეტური იყოს, რასაც ვერ ვიტყვი დარწმუნებით ბიჭის წინაპრებზეო — თითქოს არანაკლებ სკანდალურად საინტერესო თქვა...

„ისტორიის მამა“, ჰეროდოტე წერდა, რომ ეგვიპტელები და კოლხები მონათესავე ხალხები არიან, მხოლოდ ისინი ამუშავებდნენ სელს ერთნაირად; ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ, ასევე, თმა, კანის ფერიო... და ამტკიცებდა, რომ ეგვიპტელები სკვითების დამარცხების შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ, როდესაც მეფე სესოსტრისმა გამოჰყო თავისი ლაშქრის რაღაც ნაწილი და დატოვა აქ, ამ ქვეყნის მცხოვრებლად, მდინარე ფაზისთან. ამ აზრს სასტიკად ეწინააღმდეგებოდა სიმონ ყაუხჩიშვილი, რაკიღა ეგვიპტე არის ჰეროდოტესთვის ძირითადი წყარო თითქმის ყველაფრისთვის, კოლხთა თავდაპირველ სამშობლოდაც ეგვიპტე მიაჩნიაო. და აი, უახლესი მეცნიერული კვლევით დასტურდება, რომ კავკასიიდან წასულან ეგვიპტეში...

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სანამ ციურიხის გენეალოგიური კვლევების ცენტრი ამ ინფორმაციას გაავრცელებდა, ბევრად ადრე ამტკიცებდა ცხონებული კლიმენტი შელია, რომ კლეოპატრამდე ეგვიპტის ყველა ფარაონი კოლხი (ქართველი) იყო.

კლიმენტი შელია: — „ძვ. წ XIV საუკუნის შუა წლებში ჩრდ. საქართველოს სამეფოს, მითანის (მითანის მთიანეთი) მეფე იყო რატი, მთავარსარდალი — ართაშური. რატის ასული თათუ ქიმეთის (ეგვიპტის) მეფემ, ფარაონმა ექნათონმა (ექნათონ-აჩინა, ეხნატონი), „მეფე-ერეტიკოსმა“ შეირთო ცოლად.

1911 წელს, გერმანელმა არქეოლოგმა ლუდვიგ ბორჰარდტმა ქალაქ ახეტატონში (ქალაქი ბენი ჰასანიდან სამხრეთით მდებარეობს და ეხნათონმა ააგო როგორც ახალი დედაქალაქი. მან ეგვიპტის ღმერთების თაყვანისცემა აკრძალა და ერთი ღმერთის, ატონის კულტი დააწესა. მრავალღმერთიანობა მხოლოდ „ექნატონ ამარნას პერიოდის“ შემდეგ აღდგა) ეხნათონის მეუღლის, ნეფერტიტის კარის მოქანდაკის თუთმოსის სახელოსნოს ნანგრევებში აღმოაჩინა ექნათონის ოჯახის წევრების: ფარაონ ექნათონის მამის, ამენჰოტეპ III-ის პორტრეტი და ნეფერტიტის მცირე ზომის კირქვის ქანდაკება და მისი ორი პორტრეტი, ერთი — თაბაშირის, მეორე კი გრანიტისგან დამზადებული. აღმოჩენებს შორის მნიშვნელოვანი იყო ნეფერტიტის ბიუსტი, რომლის შესახებაც ბორჰარდტმა დღიურში ჩაწერა: „იგი ცოცხალივით სუნთქავს... მისი აღწერა შეუძლებელია, იგი უნდა ნახო...“

(გაგრძელება იქნება)

წინასაარჩევნო კალამბურები

წინასაარჩევნოდ ბევრ რამეს გვპირდებიან ამომრჩევლებს, უმეტესობა მაინც პენსიაზე აკეთებს აქცენტს და უკვე მართლა მესმის იმ პირველკლასელი ბავშვის, რომელმაც კითხვაზე: ვინ გინდა გამოხვიდე? – უპასუხა, – პენსიონერიო...

რათქმაუნდა, დაპირებების ნაწილი ყურით მოთრეულია წინასაარჩევნოდ და ყველამ ვიცით, რომ, არც პუტინს უნდა საქართველოში რუსული პენსიის დარიგება და არც ამერიკა ჩააყენებს საქართველოში უსუფაშვილის კარნახით ჯარს, მაგრამ, პოლიტიკოსები არ ნებდებიან...

ჰო, ზოგის სიტყვები ღიმილის მომგვრელია, ზოგზე ვერ

გაარკვევ, იცინო უნდა თუ იტირო, ზოგზე პირდაპირ, უნდა დაჯდე და იტირო, იმიტომ რომ, ეს თუ პოლიტიკაშია და ამას თუ მომხრეები კი არადა, მდივანი ჰყავს ნაპოვნი, ერთმნიშვნელოვნად (უყვართ ეს სიტყვა პოლიტიკოსებს და ვასიამოვნებ – ერთმნიშვნელოვნად) სატირალია... ზოგზე კი თან იცინი და თან ტირი... თან ვტიროდი, თან ვიცინოდი... როცა, პაატა ბურჭულაძემ იბურჭალა სოციალურად დაუცველნი ცოტანი ყოფილან და მოვალ თუ არა მაგათ რიცხვსო ვუზამო, ანუ გავამრავლებო, ანუ, ორჯერ მეტს გავხდიო, ვიტირე... ნუ, ახლა თინა ხიდაშელი, რომ, თურმე, ტაქსით დადის დღეში 8-9-ჯერ და არც ერთი ფულს არ ახდევინებს, მაგ ამბავზე მე კი არა ტაქსისტმა მძღოლებმაც კი იცინეს...

სიცილი კარგია, სიცილი აჯანმრთელებს სხეულს და აჯანსაღებს სულს... კარგი იქნებოდა, ცირკში გვეცინა, გასართობი შოუების დროს გვეცინა და არა პოლიტიკოსების ხუმრობაზე, მაგრამ, როცა სულ სამი მილიონი ვართ დარჩენილი და სამასი პოლიტიკური პარტია გვყავს ლამის, პოლიტიკოსებზე სიცილიც არ მგონია ურიგო ამბავი...

დიდი პოლიტიკური არენიდან არ მეყოფოდა ვითომ კალამბურები, რომ კარზე მომიკაკუნეს სამიოდე დღის წინ, ახალგაზრდა გოგო იყო, ხელში ფურცლებით... სავარაუდოდ «შპარგალკებით»... «შპარგალკა» კარგია, მაგრამ გამოყენების ინსტრუქცია არ მოაყოლეს პარტიიდან და რა ექნა?! ესაო, ისაო, მეო ამა და ამ ალიანსიდან ვარო...

ოჰ, დაუწყიათ «ალიანსს» კარდაკარი-თქო, გავიფიქრე და მივესალმე.

– თქვენ იცითო, ალიანსი ვინ არისო?

– არა-თქო, გავუღიმე... ჩავთვალე, რომ რაკი მოვიდა, ცოტახანს საუბრის შანს მივცემდი...

– გურგენიძეო...

– ბატონო-თქო?

– გურგენიძეო...

ისეთი თვალებით მიცქერდა, შემეცოდა სიმართლის გამხელისთვის და გავიფიქრე, მოდი, დავტოვებ, როგორც ჰგონია ისე, იყოს გურგენიძე – ალიასანსი-თქო და რაკი საუბრის გაგრძელებასაც აზრი აღარ ჰქონდა, ვუთხარი: მე მაინც ვოლსკს მივცემ, ალბათ, ჩემს ხმას და ტყუილად ნუ შეწუხდებით...

რას ამბობთო, გურგენიძე და ვოლსკი ერთად არიანო... ისევე, როგორც ალიანსი და «ქართული ოცნებაო», ამიტომ გურგენიძეს თუ მისცემთ ხმას, ეს იგივეა რომ ვოლსკს მისცეთ ხმაო...

კაი, კაცო... უკვე დავინტერესდი

კი, ეგრეაო, ეგენი ერთნი არიანო, უბრალოდ ჰქვია ალიანსი, თორემ ერთია ეგო...

მაინც ვინ არის ეს გურგენიძე–თქო, თავიდან ჩავეძიე...

– უფროსი

– ვისი უფროსი?

– ალიანსის

– როგორ? აკი...

შემაწყვეტინა – არა, არ იცით ეგ ახალიაო, ახალ მოსულია, მაგრამ ძალიან კარგი კაცია და უკვე ჩვენი უფროსიაო...

ჰო, ახლა, თუ უფროსია და თუ მხოლოდ ხმის მიცემა უნდა და თავსაც თუ არ მომკვეთს.... დავფიქრდები, ალბათ...

წასვლის წინ დამიბარა, ამ დღეებში გურგენიძე მოვა და პირადად აგიხსნითო...

ჩემთან? თავად გურგენიძე???

არა, საერთოდ ყველასთან მოვა, ნუ, თავად გურგენიძე არა, კაცები მოვლენო, დამიბარა და გაცუქცუქდა...

ნუ, ახლა, კაცები თუ მოვლენენ... კაი... ჰა... ვოლსკს სად ჰყავს აბა კაცები, ვოლსკი სულ ქალებს აგზავნის...

ეჰ, ამ კარდაკარის დროს, დოლიძეზე მიბრძანებული ნაციონალების აგიტატორი, გამოვარდნია ერთი მამაკაცი: როგორ არ გრცხვენიათო, მე თავად ვარ მოწმე, რანაირად ექცეოდით საპატიმროებში ადამიანებს, მაგ დროს მეც ჩამსვით ციხეში და ის შემზარავი კადრები მინახავს კიდეც და საკუთარ თავზეც გამომიცდიაო... მობრუნებია აგიტატორი და მერე ექიმის ცნობა სადა გაქვთო... ექიმის ცნობაო??? ძლივს დაუღწევია აგიტატორს თავი განრისხებული მამაკაცისგან...

ამ მთავრობასაც ჰყავს გაგულისებული მოსახლეობა, როგორ არა, მაგალითად, ზუსტად რომ საჩხერეში, გამოსულა ერთი ქალბატონი, ამ მთავრობამ, ამ მთავრობამ დამაქცია და დამაგდოო... კარგა ხანი რომ იქოთქოთა, ჰკითხეს, თურმე, მაინც რა გიჭირთო? დილის 6 საათზე მიწევს ადგომა, რომ სამსახურში წავიდეო... ესაა ამათი დაპირებაო? ჰო, ქალბატონო, ივანიშვილი დაგპირდათ, დილით გამოგაძინებთო... ის კი არადა, მამალს მოველაპარაკები, დღის 11 საათამდე არ დაიყივლოს, რომ თქვენი მშვიდი ძილი არ დაირღვესო...

ჭიათურის ერთ სოფელს ამბავი აუტეხავს წინასარჩევნოდ,

რას გვიკეთებთო, წყალი არა გვაქვს სოფელსო... სოფლის დაფინანსება რაში მოიხმარეთო? ე, როგორ რაში, საბანკეტო დარბაზი ავაშენეთ, ქელეხებისთვის გვჭირდებაო... ნუ, ახლა, წყალზე მნიშვნელოვანი თუ საბანკეტო დარბაზია... ისე, რაღა მაინცდამაინც ქელეხებისთვის, ქორწილები გიმრავლოთ, ღმერთმა... თუ არ გიმრავლებთ კიდევ, ჯერ აქაა ივანიშვილი და ეგაც მაგას დავაბრალოთ...

ჰოდა, ეს ამბავი მოვყევი ერთ დუშელ ქალბატონთან... არ გაღიმებია... თვალები მოჭუტა, ამომზედა და კარგი უქნიათო, ამას წინათ სამი დღე რიგში ვიდექით, ქელეხისთვის დარბაზი ვერ ვნახეთ თავისუფალიო...

თქვენ კი არა, მიცვალებული მდგარა რიგში–თქო, მინდოდა მეთქვა, მაგრამ ენა მოვიკვნიტე...

დუშელი ქალბატონი კი დაფიქრდაააა.... ეჰ, საბანკეტო დარბაზის აშენება ჩვენ როგორ არ გაგვახსენდაო...

იქეთ ბურჭულაძე ითხოვს მარიხუანა გავყიდოთ აფთიაქებში, თორემ დავიღალეთ, ჯერ უნდა დათესო, მერე ელოლიავო და გაზარდო, მერე გაახმო და მოკლედ, გრძელვადიანი, რთული პროცესია და პირდაპირ რომ მოგვყიდონ მზა სახით სჯობსო...

აქეთ, ნათელაშვილი გვამუნათებს, არ გადაშალოთ გეოგრაფიის სახელმძღვანელოო: «ჩვენმა მთავრობამ არ იცის, რომ დედამიწა ბრუნავს, თორემ კატაობაში ფულს გადაგვახდევინებენ!»-ო...

ფეისბუქზე გვარამია «ემუქრება» მეგობრებს: ვინც ამათ ჩანაწერებს მოისმენსო, (ანუ, ჩემს საუბარსო ბურჭულაძესთანო) ვინც ამას დაალაიქებსო, ვინც ასე არ ფიქრობს და სხვანაირად ფიქრობს, დაგაანფრენდებთო...

ნათელაშვილი პასუხობს (უკვე კარგა ხანია ასე პასუხობს) – ჰიტლერს რომ «რუსთავი–2» ჰყოლოდა, გერმანიას ახლაც არ ეცოდინებოდა, რომ ომი წააგესო...

რას გავუგებთ ჩვენ ამ პოლიტიკოსებს, გენაცვალე: ზოგს რუსის უნდა, ზოგს ამერიკის, ზოგს უბრალოდ უნდა და არ იცის რა და ვისი, ზოგს არაფერი უნდა, მაგრამ იბრალებს, ვითომ რამე მასაც უნდა, იმიტომ, რომ ახლა ეგრეა მოდაში... მარგველაშვილსაც კი უნდა და... ჩემი მარგველა, ვენაცვალე კანჭებში, მდიდრული სექსით დაკავებულს რომ გამოუჩნდება ხოლმე საბნის კიდიდან... რა ჰქნას, არ იცის მაგან ისე ცხოვრება, სადამდეც საბანი სწვდება და სულ მაღლა და მაღლა მიიწევს... მაგრამ კანჭები არ გაეყინება, იმიტომ კი არა, რომ რეზიდენციაში თბილა, იმიტომ რომ მარგველამ ქსოვა იცის და თავისივე ხელით მოქსივილი წინდა ექნება ამოკვართული ტერფებზე...

ჰოდა, რავიცი, ყველა იმას ამბობს და აკეთებს, რაც უნდა და მე კიდევ, ცოტა გახალისება მინდოდა და მგონი გავხალისდი... იმედია, თქვენც გაგახალისეთ....

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

ჭრელი გვერდი

გაიმარჯვა პარტიამ, რომელმაც სიმართლე თქვა

2010 წელს რეიკიავიკში საქალაქო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო „ყველაზე საუკეთესო პარტიამ“, რომელიც არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე კომედიურმა მსახიობმა იონ გნარმა ჩამოაყალიბა.

პარტიის პროგრამა პოპულისტური ლოზუნგებით, ათასგვარი შეღავათითა და დაპირებებით იყო სავსე, მაგრამ იქვე ნათქვამი იყო, რომ გამარჯვების შემთხვევაში პარტია დანაპირებიდან არაფერს შეასრულებდა. პარტიის პროგრამის ერთ პუნქტში ასევე გაცხადებული იყო, რომ თუ სხვა პარტიები მალავენ, რომ ისინი კორუმპირებულები არიან, ეს პარტია ამის შესახებ ხმამაღლა განაცხადებდა.

შედეგად, „ყველაზე საუკეთესო პარტიამ“ არჩევნებში ხმათა 34,7% მოიპოვა და იონ გნარი რეიკიავიკის მერი გახდა.

„საინტერესოა, რაში დასჭირდა ეს?“

შარლ მორის დე ტალეირან-პერიგორი, ან, უბრალოდ, ტალეირანი გახლდათ ფრანგი პოლიტიკოსი და დიპლომატი. მისი სახელი ეშმაკობისა და უპრინციპობის აღმნიშვნელი ეტიოეტი გახდა.

ტალეირანი კარიერის დასაწყისში მღვდელი იყო, შემდგომში კი დირექტორიაში საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობამდე მიაღწია. ამის შემდეგ ნაპოლეონს ეხმარებოდა იმპერიის შექმნაში.

ომში საფრანგეთის დამარცხებისა და ნაპოლეონის გადასახლების შემდეგ ტალეირანი მეფის ინტერესების დამცველი გახდა და ბურბონების დინასტიის რესტავრაციას უწყობდა ხელს. იგი კვლავ გახდა საგარეო საქმეთა მინისტრი, მაგრამ ამჯერად უკვე ლუი-ფილიპეს მთავრობაში.

მთელი ცხოვრების განმავლობაში ტალეირანი ქრთამებს იღებდა სხვადასხვა სახელმწიფოებისგან და ინტრიგებს ხლართავდა მთელ ევროპაში. ყველასთვის ცნობილი იყო, რომ სარგებლის გარეშე იგი არაფერს გააკეთებდა. სწორედ ამიტომ, მისი გარდაცვალების შემდეგ ენამწარედ ხუმრობდნენ: „ტალეირანი გარდაიცვალა? საინტერესოა, რაში დასჭირდა ეს?“

„მემარჯვენეები“ და „მემარცხენეები“

1789 წელს, საფრანგეთის ნაციონალური ასამბლეის დეპუტატებმა, რომლებიც მეფეს ემხრობოდნენ, სხდომაზე თავმჯდომარისგან მარჯვენა მხარე დაიკავეს, რევოლუციის მომხრეები კი მარცხენა მხარეს განთავსდნენ.

საკანონმდებლო კრებაზე, რომელმაც ნაციონალური ასამბლეა შეცვალა, ეს განლაგება შენარჩუნდა — კონსტიტუციის მომხრეები მარჯვენა მხარეს დასხდნენ, ინოვატორები — მარცხნივ, ხოლო ზომიერმა დეპუტატებმა ცენტრალური ადგილები დაიკავეს.

სწორედ იმ დროიდან მოდის

პოლიტიკოსების დაყოფა „მემარჯვენეებად“ (კონსერვატორები, კაპიტალისტები, მონარქისტები, ფაშისტები), „ცენტრისტებად“ და „მემარცხენეებად“ (სოციალისტები, კომუნისტები, ანარქისტები, მწვანეები).

ბუნდესტაგის წევრი გამოგონილი პოლიტიკოსია

გერმანიის პარლამენტის, ბუნდესტაგის წევრად 1979 წლიდან ითვლება იაკობ მარია მირშაიდი, გამოგონილი პოლიტიკოსი, რომელიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენს.

ლეგენდის მიხედვით, ეს პერსონაჟი თანაპარტიელებმა ჯერ კიდევ 1920-იან წლებში გამოიგონეს, როცა რესტორანში ქეიფის შემდეგ ფულის გადახდა არ უნდოდათ და განაცხადეს, რომ ანგარიშს მირშაიდი გააწორებდა.

დეპუტატს ბუნდესტაგის საიტზე საკუთარი გვერდი აქვს, სადაც განთავსებულია მისი ბიოგრაფია და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია. მასობრივი საინფორმაციო საშუალებები იყენებენ ამ ფაქტს და ბეჭდურ მედიაში ხშირად ქვეყნდება წერილები მისი სახელით.

სინგაპური დამოუკიდებელი ქვეყანა საკუთარი ნების გარეშე გახდა

დიდი ხნის მანძილზე ის ბრიტანეთის კოლონია იყო. მეორე მსოფლიო ომიდან რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ მან ავტონომია მიიღო, 1963 წელს კი ახალშექმნილი ქვეყნის, მალაიზიის შემადგენლობაში შევიდა. თუმცა, სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზების, ასევე მალაიზიელებსა და ჩინელებს შორის გაჩაღებული ეთნიკური კონფლიქტის გამო, მალაიზიის სხვა შტატებმა გადაწყვიტეს, სინგაპური სახელმწიფოს შემადგენლობიდან გაეყვანათ. ეს 1965 წელს მოხდა.

დამწუხრებული სინგაპურის ლიდერი ლი კუან იუ იძულებული გახდა, კუნძულის დამოუკიდებლობა ეღიარებინა.

რას ნიშნავდა „იდიოტი“ ძველ საბერძნეთში?

სიტყვა „იდიოტი“ ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა და თავიდან იმ ადამიანის აღმნიშვნელი იყო, რომელსაც პოლიტიკა არ აინტერესებდა. როცა ათენში დემოკრატიის განვითარება დაიწყო, ორატორები ამ სიტყვას დამამცირებელ კონტექსტში იყენებდნენ და გულისხმობდნენ, რომ იდიოტი ასე იქცევა (პოლიტიკა არ აინტერესებს) არა საკუთარი არჩევანის გამო, არამედ იმის გამო, რომ ჭკუა არ ჰყოფნის.

ამგვარად, „იდიოტმა“ თანდათან მიიღო ის მნიშვნელობა, რომლითაც მას დღეს ვიყენებთ.

სამხრეთ ავსტრალიის შტატის პარლამენტში უზრდელი დეპუტატები არიან

2003 წელს სამხრეთ ავსტრალიის შტატის დეპუტატმა კერლინ მეიუოლდმა მინისტრს წყლის გამოყენების შეზღუდვის შესახებ მიმართა: „თუ შეიძლება, მითხარით, როგორ აპირებთ, მოსახლეობას აცნობოთ თქვენი გეგმების შესახებ?“ პარლამენტის სპიკერმა მინისტრს პასუხის გაცემის საშუალება არ მისცა და დეპუტატს განუმარტა, რომ ზრდილობიანი მიმართვა „თუ შეიძლება“, არ უნდა გამოეყენებინა, რადგან დეპუტატმა არავის არაფერი არ უნდა სთხოვოს.

როგორც აღმოჩნდა, ეს წესი ამ პარლამენტის პირველივე რეგლამენტში იყო ჩაწერილი.

დაჭრილი რეიგანის ხუმრობა

1981 წლის 30 მარტს რონალდ რეიგანზე თავდასხმის შემდეგ, როცა იგი საავადმყოფოში მიიყვანეს, პრეზიდენტმა ჟანგბადის ნიღაბი მოიხსნა და ექიმებს ხუმრობით ჰკითხა: „იმედი მაქვს, თქვენ ყველანი რესპუბლიკელები ხართ“. ამაზე ერთ-ერთმა ქირურგმა, რომელსაც ლიბერალურ-დეკოკრატიული პოზიცია ეკავა, უპასუხა: „დღეს, ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ ყველანი რესპუბლიკელები ვართ“.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

საზოგადოების მოთხოვნით და ერთ–ერთი მკითხველის ფინანსური მხარდაჭერით, ძალიან მცირე დამატებითი ტირაჟით გამოიცა ჩემი წიგნი: **„ბიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“**. წიგნის შეძენა შეგიძლიათ ჭავჭავაძის 22-ში, მაღაზია „პარნასში“.

აგრეთვე გაცნობებთ, რომ საზოგადოებრივი ეროვნული აკადემიის (პრეზიდენტი ბ-ნი ლადო რამიშვილი) შუამდგომლობით ახლახანს დაფუძნებულმა პოლიტიკურმა პარტიამ - „საქართველო“-მ წარმადგინა საქართველოს პარლამენტის წევრობის მაჟორიტარ კანდიდატად (№17) მცხეთაში და შემიყვანა პარტიული სიის პირველ ათეულში.

დენიზა სუმბაძე ტელ.: 599 43 12 17

38 წლის **ლევან გეგიძე**, რომელსაც ავტოკატასტროფის შედეგად უამრავი დაზიანება აქვს მიღებული და უკვე მეორე თვეა კომაშია, სასწრაფოდ საჭიროებს საზღვარგარეთ მკურნალობას, რისი საშუალებაც ოჯახს არ გააჩნია.

ლევან გეგიძის საბანკო რეკვიზიტებია:
თიბისი ბანკი, ანგ # **GE72TB7805445 165 100 009.**
მადლობას გიხდით გულისხმიერებისთვის.

ლ. გეგიძის ოჯახი

ზუგდიდობა - 2016

ზუგდიდში პირველად ქალაქის დღესასწაული აღინიშნა. „ზუგდიდობა 2016“ საზეიმო თეატრალიზებული მსვლელობით გაიხსნა. დღის განმავლობაში ცენტრალურ ბულვარში ხალხური რეწვის ნიმუშები, ზუგდიდელ მხატვართა ნამუშევრები და ქალაქის ისტორიული ფოტოები გამოიფინა. გაიმართა ფოლკლორული ანსამბლებისა და ბენდების კონცერტები. ზუგდიდობის დღესასწაულზე, ქალაქის ცენტრალური ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე, თეატრალიზებულმა სუფრამ „კინტიარიაშ დიარა“ მეგრული სამზარეულოს დაგემოვნების მსურველებს უმასპინძლა. ქალაქის ცენტრალურ ბულვარში, ზუგდიდელი ქორეოგრაფის და ანსამბლ „ჩელას“ დამაარსებლის, რეზო ბულიას ვარსკვლავი გაიხსნა. ზუგდიდის სამხატვრო გალერეას კი ცნობილი მხატვრის მიხეილ (მაცი) ხორავას სახელი მიენიჭა. შედგა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთობლივი პროექტის, მაცი ხორავას წიგნი-ალბომის წარდგინება. დღის ბოლოს საპატიო ზუგდიდელის დაჯილდოების საზეიმო ცერემონია დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ეზოში გაიმართა. ზუგდიდის საპატიო მოქალაქის წოდება აკადემიკოს ფრიდონ თოდუას მიენიჭა. საპატიო ზუგდიდელის წოდება კი საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარე ოთარ ფაცაციას, ქორეოგრაფ თამაზ მოსიას, სახანძრო-სამაშველო სამსახურის ხელმძღვანელ თამაზ უბილავასა და „ზუგდიდდასუფთავების“ სამსახურის თანამშრომელ ზაირა-თამარ სალიას მიენიჭა.. დადიანების სასახლის ეზოში დაჯილდოების ცერემონიის მთავარ სცენაზე კონცერტი ნატო მეტონიძემ, ლიზა ბაგრატიონმა, დავით ევგენიძის ბენდმა და ანსამბლმა „ოდოია“-მ გამართეს.

პირველი „ზუგდიდობა“ **CHECK IN GEORGIA**-ს ფარგლებში, ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილები“, ელენე ფოჩხუას, თემო საჯაიას, სოფო ბედიას, ბორის ბედიას და ანსამბლ „ფორტე“-ს მონაწილეობით გამართული კონცერტით დასრულდა.

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.

E-mail: asavaliprint@yahoo.com

საერთო საფეთი

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა